ისტორიულ-მეცნიერებითი ჟურნალი №3 (75), 2017, მაისი ფასი 3 ლარი

ისტორიანი

უღელტეხილის ბრძოლა მეფისთვის
ეგვიპტე, 1941

ქართლის მეფის სამართალი

სამშვიდობო ომი უკრაინისთვის

„50 პერსონა — მათ შეძლეს ისტორია"
ტომი XIII
„ალბერტ აინშტაინი"
წიგნი „ისტორიანთან" ერთად – 8 ლარი

ქართული სალოცავები თქმულებებში

ტერაქტი ტერაქტის წინააღმდეგ

მუხრანის სამთავადო ციხე

რომაული სიმაგრეები საქართველოში და აფსაროსის ციხის რეკონსტრუქცია

ბევრიელი

გავაცნოთ ყველაზე ცნობილი ადგილები



სარჩევი

ახალი ამბები
კლდის შპველესი მხატვრობა ირანიდან 6

ჯედარი ისტორიიდან
ჰაკა მეფისთვის 7

მოკლე ამბები
ორი გერმანელი ჯარისკაცი და ჯორი 8
ერთად ჯერადი ჭურჭელი... შუა საუკუნეებიდან 9
რას შეგრებოდნენ რომაელები ნარჩენებს 9
საუკუნეებიდან 10-11

ქართული ხელნაწერი
ქართლის მეფის სამართალი 12

საიუბილეო
აფხაზთა საგვარეულოს მემკვიდრეობა საქართველოსა და კანადაში 18

სამხედრო საქმე
რომაული სიმაგრეები საქართველოში და აფსაროსის ციხის რეკონსტრუქცია 26

ილუსტრირებული ისტორია
ალექსანდრე I დიდი 33

ანთროპოლოგიური ძიებანი
ცაიშელები 36

ახალი ამბები
შოპენის უცნობი ფოტო აღმოაჩინეს 40



სარჩევი

ჯვეყნდება ჰიჩვეცად
ნიკოლოზ ბარათაშვილის სვლა
განჯიდან მთაწმინდამდე 41

ეთნოლობიური ნახევევი
ძარღვული სალოცავები თქმულებებში 47

ჰოლემიკა
მეცნიერება და ჭურნალისტიკა 52

ახალი ამბები
ბაგრატიონთა საგვარეულოს მატიანე 54

უახლესი ისტორია
ტერაქტი ტერაქტის წინააღმდეგ 58

ხსოვნა
რაულ ჩაგუნავას მოსაგონარი 64

ჯაშუშური თამაშები
სამმხრივი ომი უკრაინისთვის 66

ქართული ძებნები
მუხრანის სათავადო ციხე 74

ხსოვნება
დავით ჭუსხელიშვილი: „სკოლა რომ
დავამთავრე, ვიცოდი,
ისტორიკოსობა მინდოდა“ 82

მოკლე ამბები
როგორ განსახლდა ადამიანი ამერიკაში? ... 87

ფუძისღები ნახსენიდან
ისტორიული ამბები ძველი
ჭურნალ-გაზეთებიდან 88
სკანვორდი 90

ჟურნალ „ისტორიანის“ ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ
„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში. ფასი 2 ლარი

ხედვა ისტორიის სვეტი

რომაული ძეგლებიდან საქართველოში შედარებით უკეთ გონიოს ციხეა შემორჩენილი. მსგავსი ისტორიული ძეგლები მთელ ყოფილ რომაულ სამყაროში გვხვდება. ბოლო წლებში მოახდინეს არაერთი ციხის რეკონსტრუქცია — ნაგებობები აღადგინეს ან გრაფიკული გამოსახულებები შექმნეს. „ისტორიანის“ ამ ნომერში მკითხველს საშუალება ექნება, გაეცნოს აფსაროსის (გონიოს) ციხის მიახლოებით რეკონსტრუქციას.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული ყოველთვის იქცევდა ქართული სამართლისა და ქვეყნის ისტორიის მკვლევართა ყურადღებას. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ სტატიას ამ ძეგლის ნუსხების ორი უცნობი ხელნაწერის შესახებ. პირველი კრებული შვიდ საკანონმდებლო ძეგლს შეიცავს და მოსამართლეთა მიმართ ამგვარი სიტყვით იწყება: „ამას გაკადრებთ და მოგახსენებთ, მეფეთა და მსაჯულთა და ყოველს სამართალში მჯდომს კაცს. ეს იცოდეთ დამარხვით გულში გქონდეს რომ ღმერთი ყოვლისა დამბადებელი, თქვენგან სამართალს ითხოვს და რისხვა ღვთისა უსამართლობით მოვლინების ქვეყანაზედ“...

ნიშანდობლივია შედარება, როგორ უვლიან თავადი აფხაზების მემკვიდრეობას საქართველოსა და კანადაში. ეს საგვარეულო ანჩაბაძეთა კახეთში დამკვიდრებულ შტოს წარმოადგენს და არაერთი ღირსეული პიროვნება მისცა ქვეყანას, მათ შორის საქართველოს ეროვნული გმირი კონსტანტინე (კოტე) აფხაზი. მისი ვაჟი ნიკოლოზი ნიუ-იორკში დაქორწინდა და კანადაში გადავიდა საცხოვრებლად. ცოლ-ქმრის გაშენებულ ბაღს დღეს კანადელები „აფხაზების ბაღს“ უწოდებენ და მას უამრავი ტურისტი და დამთვალიერებელი ჰყავს. აფხაზთა საგვარეულო სასახლე კი, სოფელ კარდენახში, წლების განმავლობაში ინგრეოდა და იძარცვებოდა. დღეს ის ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და გადაუდებელ რესტავრაციას საჭიროებს.

მკითხველს ერთი სასიამოვნო სიახლის შესახებ ვაცნობებთ. ამიერიდან ჟურნალი „ისტორიანი“ ადგილს უთმობს ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკას. „ივერიელი“ ამ ნომერში ექსკლუზიურად წარმოგიდგენთ სტატიას ნიკოლოზ ბარათაშვილის დოკუმენტური პორტრეტის შესახებ და გთავაზობთ უნიკალურ ფოტომასალას.

ჟურნალი ტრადიციისამებრ გთავაზობთ რუბრიკებს, რომელთაც კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი: „ჯაშუშური თამაშები“, „ცხოვრება“, „უახლესი ისტორია“ და სხვ.

პანადაში „აფხაზების ბაღს“ უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს, სოფელ კარდენახში აფხაზთა საგვარეულო სასახლე კი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათითაშვილი, კახაბერ ყალიჩავა, ნიკოლოზ ხოფერია

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი: **219-60-13; 219-60-53**
e-mail: contact@palitra.ge

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით,
ვებ-გვერდზე: **www.elva.ge**
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

ნახატებს ირანელმა მეცნიერმა მოჰამედ ნასერიფადმა მიაკვლია



ირანელი არქეოლოგი ამბობს, რომ მხატვრობის ამ მეტად მნიშვნელოვანი ნიმუშების ასაკი სულ მცირე 40 000 წელი უნდა იყოს

ᲙᲚᲓᲘᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ ᲘᲠᲐᲜᲘᲓᲐᲜ

ირანში, ცენტრალურ პროვინციაში, ქალაქ ჰომეინთან ახლოს ნაპოვნი კლდის მხატვრობის ნიმუშები შესაძლოა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი აღმოჩნდეს.

ნახატებს ირანელმა არქეოლოგმა მოჰამედ ნასერიფადმა მიაკვლია, რომელიც უძველესი მხატვრობის ნიმუშების აღმოჩენაზე 2008 წლიდან მუშაობს. შემოვლილი აქვს მთელი ქვეყანა, სხვადასხვა დროს აღმოუჩენია მხატვრობის მრავალი ნიმუში, რომელიც რიტუალურ ცეკვებს, ნადირობის სცენებსა თუ ცხოველებს ასახავს.

მეგობრებთან ერთად პიკნიკზე მყოფმა მოჰამედმა კლდეზე ფიგურების გამოსახულებები შემთხვევით შენიშნა. ეს მაშინ მოხდა, როცა სადილობის შემდეგ მისმა მეგობრებმა დაიძინეს, მან კი გასეირნება გადაწყვიტა.

ირანელი არქეოლოგი ამბობს, რომ მხატვრობის ამ მეტად მნიშვნელოვანი ნიმუშების ასაკი სულ მცირე 40 000 წელი უნდა იყოს.

„ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს განძის დიდ საცავს მოვაკლიე“, — აღნიშნა მან.

ტერიტორიის შესწავლა, სადაც ნახატებს მიაკვლიეს, გრძელდება. შესწავლის პროცესში ჰოლანდიელი და კანადელი სპეციალისტებიც ჩაერთნენ. ისინი ამ არეალში დამატებით მხატვრობის სხვა ნიმუშების არსებობასაც არ გამორიცხავენ. ფიქრობენ, რომ მუჰამედ ნასერიფადის აღმოჩენა ადასტურებს ვარაუდს, რომლის თანახმად უძველესმა ადამიანებმა მხატვრობის საერთო ტრადიციები მანამდე შეიმუშავეს, ვიდრე აფრიკას დატოვებდნენ. სწორედ ამით აიხსნება კლდის მხატვრობის კალიფორნიაში, ესპანეთში, ირანსა თუ სამხრეთ აფრიკაში გაფანტულ ნიმუშებს რომ თემა და ფორმები იდენტური აქვს.

მომზადებულია ISNA-ს მიხედვით

ᲰᲐᲙᲐ ᲛᲔᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მაორების ბატალიონის ჰაკა საბერძნეთის მეფის პატივსაცემად. პირველ პლანზე, მარცხნიდან მარჯვნივ: ჯონ მანუელი (მოგვიანებით დაიღუპა ბრძოლაში), მააკა ბილ უატი (დაიღუპა ბრძოლაში), ტე კოოტი რეიხანა, ტე არაროა რენჯი ჰენდერსონი (დაიღუპა ბრძოლაში)

ახალი ზელანდიის არმიის 28-ე ბატალიონი, სახელწოდებით „ბატალიონი მაორი“, 1940 წელს ჩამოყალიბდა ახალზელანდიელ აბორიგენთა სხვადასხვა ორგანიზაციის დაჟინებული მოთხოვნით. მათ სურდათ, ჰქონოდათ ეროვნული სამხედრო ნაწილი. მისი შექმნა დაემყარა „ახალზელანდიელ პიონერ მაორთა ბატალიონის“ გამოცდილებას, რომელიც წარმატებით მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. მაორებს, რომლებიც განთქმულნი იყვნენ თავისი საბრძოლო უნარებით, კვლავაც სურდათ ომში საკუთარი თავის გამოცდა.

„ბატალიონი მაორი“ გახდა ახალზელანდიური საექსპედიციო არმიის ნაწილი — მე-2 ახალზელანდიური დივიზიის 28-ე ბატალიონი. ის მონაწილეობდა ჰიტლერელთა წინააღმდეგ ბრძოლებში საბერძნეთისა და კრეტის ოპერაციებში (1941), აგრეთვე ჩრდილოეთაფრიკულ და იტალიურ კამპანიებში, სადაც ახალი ზელანდიის ჯარები მოკავშირეთა არმიების შემადგენლობაში იბრძოდნენ. მაღალი მეომრული სულის წყალობით, ბატალიონმა დიდი პატივისცემა დაიმსახურა არა მარტო ინგლისელი და ამერიკელი, არამედ გერმანელი სარდლობის მხრიდან და ახალი ზელანდიის არმიაშიც ყველაზე მეტი ჯილდო მიიღო.

ბრძოლების დასრულების შემდეგ ბატალიონის შემადგენლობის ნაწილი იაპონიაში გადაიყვანეს, ბრიტანული თანამეგობრობის საოკუპაციო ჯარების შემადგენლობაში, 1946 წელს კი „ბატალიონი მაორი“ გაუქმდა...

კრეტის ოპერაციის შემდეგ, ბატალიონი ეგვიპტეში ხუთ თვეს გაჩერდა ძალების აღსადგენად. აღსანიშნავია, რომ აპრილში საბერძნეთში გამგზავრებული 730-მდე მებრძოლიდან ეგვიპტეში 500-ნაკლები ჩავიდა: 84 ადამიანი დაიღუპა, 161 კი ტყვედ ჩავარდა. ეგვიპტეში ბატალიონს 6 ოფიცერი და 250-მდე ჯარისკაცი დაუმატეს. აქ ჯარისკაცებს საზაფხულო ფორმა დაურიგეს, 1941 წლის ივნისში კი მონაწილეობდნენ გაერთიანებული სამეფოს მონარქის, ჯორჯ VI-ისა და მისი მეუღლის, ელისაბეთ ბოუზ-ლაიონის პატივსაცემად გამართულ საზეიმო აღლუმში. აღლუმს მე-2 დივიზიის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ბერნარდ ფრეიბერგიც ესწრებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ „ბატალიონი მაორი“ მონაწილებდა სპორტულ აღლუმში, რომლის დროსაც საბერძნეთის მეფის პატივსაცემად ახალზელანდიელი მაორების ტრადიციული საბრძოლო ცეკვა, ჰაკა შეასრულეს. სამხედრო ფოტოქრონიკამ შემოინახა ამ ცეკვის ისტორიული ფოტო.

„ისტორიანი“

ორი გერმანელი ჯარისკაცი და ჯორი აირწინაღით

პირველ მსოფლიო ომში, საბრძოლო მოქმედებებისას არაერთ ცხოველსა თუ ფრინველს იყენებდნენ. მათ შორის ცხენებს, სახედრებს, ჯორებს, ძაღლებსა და მტრედებს. მომწამვლელი აირისგან დაცვას ისინიც საჭიროებდნენ. ცხენს მომწამვლელი აირისგან სპეციალური აირწინაღი იცავდა, ოღონდ მხოლოდ სასუნთქ ორგანოებს, თვალები კი დაუცველი რჩებოდა.

მეომარ მხარეებს მრავალრიცხოვანი კავალერია ჰყავდათ. ფრონტის ხაზზე გადასროლილი მილიონამდე ბრიტანული ცხენიდან შინ მხოლოდ 62 ათასი დაბრუნდა. ეს დიდი ომის მივიწყებული ტრაგედიაა — კონფლიქტის, რომლის დროსაც ცეცხლის ხაზზე ადამიანებთან ერთად აურაცხელი ცხოველი დაიღუპა. წლების განმავლობაში ცოტამ თუ იცოდა იმ აუწერელი ტანჯვის შესახებ, რომელიც არხის გავლით დასავლეთის ფრონტზე გადასროლილმა ცხოველებმა გამოიარეს.

1914 წლიდან მრავალრიცხოვანი კავალერია, რომლის რიგში აქლემებიც იყვნენ, მრავალ სხვადასხვა სამხედრო კამპანიაში მონაწილეობდა, მაგრამ დასავლეთის ფრონტზე ახალი ტიპის იარაღის, მათ შორის, ტყვიამფრქვევის გამოჩენამ, კავალერიის ამოცანები შეუსრულებელი გახადა. თუმცა ცხოველები საომარი მოქმედებებში მაინც ძალიან გამოსადეგი იყვნენ — ცხენები, ვირები, ჯორები და აქლემები მებრძოლებისთვის ფრონტზე ეზიდებოდნენ საკვებს, წყალს, საბრძოლო მასალებსა და მედიკამენტებს. ძაღლებსა და მტრედებს მიჰქონდათ შეტყობინებები. იადონებს იყენებდნენ მომწამვლელი გაზის აღმოსაჩენად, კატებსა და ძაღლებს კი სანგრებში — ვირთხებზე სანადიროდ...

მომზადებულია BBC-ის მიხედვით

ჩას უშვიებოდნენ ჩომპეელები ნაჩენებს

თუ გავითვალისწინებით, როგორ ეპყრობოდნენ პომპეელები საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი უფრო უფრთხილდებოდნენ გარემოს, ვიდრე ჩვენ.

როცა ვეზუვის ამოფრქვევისას დამარხული ანტიკური ქალაქების გათხრები დაიწყო, მდიდრულმა ვილებმა, ულამაზესმა ფრესკებმა და ოქროს სამკაულებმა სხვა ყველა ინფორმაცია გადაფარა. ახლა კი, ათეულობით წლის შემდეგ, მეცნიერებმა სხვა დეტალების კვლევაც დაიწყეს, მათ შორის, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა.

სპეციალისტები ნაგვის ნარჩენებს პომპეისა და მის მეზობელ ქალაქებში წლების განმავლობაში სწავლობდნენ, რათა გაერკვიათ, როგორ ექცეოდნენ ამ ქალაქების მოქალაქეები საკუთარ ნივთებს. აღმოჩნდა, რომ პომპეის ქუჩებში განთავსებული იყო ნაგვის ურნები და კალათები. თუმცა პომპეისთან ახლოს, ერთ-ერთ სოფელში, სამზარეულოში ქურა ისეთი მტვრით იყო დაფარული, შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ის არასოდეს გაუსუფთავებიათ.

თეოდორ პენია, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, კვლევის ხელმძღვანელი: „ქურის პირველადი დათვალიერებისას რჩებოდა განცდა, რომ მისი მფლობელები იყვნენ ბიჭები საერთო საცხოვრებლიდან. სამზარეულოსთან ახლოს მყოფი სათავსოც არ ტოვებდა კარგ შთაბეჭდილებას. უწესრიგოდ იყო მიგდებული ბრინჯაოს სათლი, რომლითაც ჭიდან წყალი მოჰქონდათ. ქოთნებს ნაპირები ჰქონდათ ჩამომსხვრეული და ქვაბები შეკეთებული იყო, მაგრამ შესაძლოა მეტად ადვილად დაშლილიყვნენ. თუმცა, ამ ნივთებით მაინც სარგებლობდნენ და მათ გადაყრას აშკარად არ ჩქარობდნენ“.

დაზიანებულ ამფორებს პომპეელები შეკეთების შემდეგ კვლავ იყენებდნენ

ასევე პომპეისთან ახლოს მდებარე სამეურნეო კომპლექსში, სადაც ღვინოს აყენებდნენ, ათასზე მეტი ამფორაა, რომლითაც ღვინო გადაჰქონდათ. შეკეთების კვალი ბევრ ამფორას ეტყობა. თუმცა შეკეთებულებსაც ისევე იყენებდნენ ღვინის გადასატანად, როგორც ახლებს.

როცა მეცნიერებმა ქუჩაში გამოტანილი ნარჩენების შესწავლა დაიწყეს, ელოდნენ, რომ მრავლად იპოვიდნენ მინის ნივთებს, მაგალითად სუნამოს ბოთლებს, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. აღმოჩნდა, რომ მათ აგროვებდნენ, აღნობდნენ და სხვა დანიშნულებით იყენებდნენ.

რა თქმა უნდა, გადაჭარბებული შეფასება იქნება, რომ პომპეის მცხოვრებლები ნარჩენების გადამუშავების თავგამოდებული მომხრეები იყვნენ, მაგრამ იმის თქმა დანამდვილებით შეიძლება, რომ საკუთრებას უფრთხილდებოდნენ, კერამიკის თუ სხვა ჭურჭელს დიდხანს იყენებდნენ, ხოლო დაზიანებულს შეაკეთებდნენ ან სხვა დანიშნულებას უძებნიდნენ.

რომაული საპირფარეშო ოსტიაში

მომზადებულია
Usatoday.com-ის მიხედვით

ᲔᲠᲗᲯᲔᲠᲐᲓᲘ ᲭᲣᲠᲭᲔᲚᲘ... ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ



საქსონიის კურფიურსტი ფრიდრიხ III

ერთჯერადი ჭურჭელი თანამედროვე სამყაროს გამოგონება არ ყოფილა. ამაზე მეტყველებს აღმოჩენა, რომელიც მეცნიერებმა ვიტენბერგის გერმანულ ციხესიმაგრეში მიმდინარე კვლევებისას გააკეთეს. გაირკვა, რომ ერთჯერად ჭურჭელს შუა საუკუნეებშიც იყენებდნენ. მათი ნარჩენები ციხესიმაგრის ეზოში უხვად აღმოჩნდა, ცხოველების ძვლებსა და ჭურჭლის ნამსხვრევებთან ერთად.

მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელი ჰოლგერ როდე ყვება, რომ XV საუკუნეში ციხესიმაგრის ეზოში ხშირად იმართებოდა დღესასწაულები, იშლებოდა სადღესასწაულო სუფრები, ნადიმობდნენ, სვამდნენ სასმელს, დაცარიელებულ თასებსა და ჭიქებს კი ჯერ მხარზე იმსხვრევდნენ, შემდეგ ისევე ყრიდნენ, როგორც ჩვენ ვყრით ქაღალდის ერთჯერად ჭურჭელს.

მეცნიერები ამბობენ, რომ თიხის ეს თასები თავიდანვე ერთჯერადი გამოყენებისთვის იყო დამზადებული. ასეთი ფუფუნების უფლებას თავს მხოლოდ მდიდრები თუ მისცემდნენ. მათ ჰქონდათ სხვა ჭურჭელიც — ფაიფურის, სხვადასხვა ორნამენტებით შემკული. ამ ჭურჭელს, რა თქმა უნდა, უფრთხილდებოდნენ.

მარტინ ლუთერი 95 თეზისს ვიტენბერგის ტაძრის კარზე აჭედებს

ვიტენბერგის ციხესიმაგრე ასკანიების თავადურ საგვარეულოს ეკუთვნოდა. წყაროებში იგი პირველად 1180 წელს იხსენიება. 1260 წლიდან ეს ციხესიმაგრე საქსონ-ვიტენბერგის ჰერცოგთა რეზიდენცია ხდება, 1293 წლიდან კი ქალაქის სტატუსს იძენს.

ხელსაყრელი მდებარეობის გამო, ვიტენბერგი მალე იქცა ერთ-ერთ ძლიერ საგაჭრო ცენტრად. მოგვიანებით ის ვეტინების სამეფო და თავადური საგვარეულოს მფლობელობაში გადავიდა, XV საუკუნეში კი საქსონიის კურფიურსტის, ფრიდრიხ III-ის რეზიდენცია იყო.

ფრიდრიხ III-ის დროს განახლდა ციხესიმაგრე და აიგო ეკლესიაც. სწორედ ამ ტაძრის კარზე, 1517 წელს მარტინ ლუთერმა გამოაკრა 95 თეზისი ინდულგენციით ვაჭრობის წინააღმდეგ და საფუძველი დაუდო რეფორმაციას.

მომზადებულია
Deutsche Welle-ს მიხედვით

ვიტენბერგი, ბაზრის მოედანი

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

პალიტრა მედია გისმენთ!..

დარეკეთ: 219 60 13

მოგვწერეთ: contact@palitra.ge

ან: „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის")

საფოსტო ყუთების საშუალებით

მეფე ვახტანგ VI. ასლი საყარაულოდ პირველი ქართული პორტრეტისა, რომლის დედანიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული. აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი ამ ნახატს (რომლის ავტორიც, სამწუხაროდ, უცნობია) ვახტანგ VI-ის პირველ პორტრეტად მიიჩნევდა. პორტრეტის ასლი, რომლის ფოტორეპროდუქციასაც ამჯერად გთავაზობთ, შესრულებულია ასევე უცნობი მხატვრის მიერ (ტილო, ზეთი) და იგი დღეს საქართველოს ხელოვნების სასახლეში ინახება

ქართლის მეფის სამართალი

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის უცნობი ნუსხები

ჩვენი მკითხველისთვის არაერთხელ წარგვიდგენია უცნობი ხელნაწერების აღწერილობა და თავგადასავალი ცნობილი კოლექციონერის არჩილ გელოვანის ბიბლიოთეკიდან. ამჯერად შემოგთავაზებთ დღემდე უცნობი, ძვირფასი ორი ხელნაწერის ისტორიას. პირველი კოლექციონერის, მეორე კი ხელოვნების სასახლის კუთვნილებაა, თუმცა ორივე ქართლის სახელოვანი მეფის, ვახტანგ VI-ის სახელს უკავშირდება.

ერთი ხელნაწერი 212 გვერდისგან შედგება და ყურადღებას იქცევს დიდი ზომისა (17X31 სმ) და ყდის გამო. ტყავზე ჩაჭედვით, ორნამენტებითა და გაფორმების სტილით, გარეკანი ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნებს გვახსენებს. ტექსტი დაწერილია მწვანე ქაღალდზე, ლა-



ტექსტი დაწერილია მწვანე ქაღალდზე, ლამაზი მხედრულით, სათაურები და თავები გამოყოფილია სინგურით

მაზი მხედრულით, სათაურებად და თავების გამოსაყოფად გამოყენებულია სინგური.

ცნობილია, რომ სამართლის წიგნთა კრებული, ვახტანგ ბატონიშვილის ბრძანებით შეიქმნა საკოდიფიკაციო კომისიის მიერ 1705-1708 წლებში. ამ დროს მას ქართლის გამგებლის ანუ ჯანიშინის თანამდებობა ეკავა. ეს ის პერიოდია, როცა მემატიანე ვახტანგს ამგვარად ახასიათებს: „კაცი შემკული პირად-პირადად ქველის საქმითა და განშვენებული ყოფითა და ქცევით სახელმწიფოთათა, მართლმადიდებლობის მხნე და მხედარი, სიონისა რჯულმტკიცეობითა შეურყეველი სვეტი და გოდოლი, განუტეხელი ზღუდე, სიტყვითა ბრწყინვალე და საქმითა წმიდა, გვამითა შვენიერი და წესითა რჩეული, განზრახვითა მდიდარი, ზნეობითა და სწავლით გარემოზღუდვილი, ზარდახშანი სიბრძნისა,



კათალიკოსთა სამართლის საწყისი გვერდი

კეთილ-შვენიერ-ჰაეროვან- განთიადი ბატონიშვილი ვახტანგ“.

კრებული შეიცავს შვიდ საკანონმდებლო ძეგლს. ესენია: სამართალი მოსესი, სამართალი ბერძნული, სამართალი სომხური, სამართალი კათალიკოსთა, სამართალი მეფის გიორგისა, სამართალი აღბუღასი და სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა. ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერს მხოლოდ სომხური სამართალი აკლია და საკანონმდებლო ძეგლებიც სხვა თანამიმდევრობით არის განლაგებული. წიგნი დამკვეთის, ანუ ვახტანგის კანონებით იწყება. ლამაზი გრაფიკული ორნამენტის ქვეშ წითელი ასოებით აღნიშნულია: „სამართლის წიგნი ვახტანგ მეფისა“. საყურადღებოა, რომ კოდექსს არ ახლავს შესავალი, სადაც გადმოცემული იქნებოდა როგორც ხელნაწერის, ისე კანონების შექმნისა და საჭიროების ისტორია.

კანონების შემსწავლელ მოაზროვნეთ სახელმწიფოს უპირველეს ფუნქციად მიაჩნიათ მართლმსაჯულება, რომელსაც საფუძვლად ედება მტკიცე კანონიერება. ამიტომაც კრებული შემდეგი სიტყვებით იწყება: „ამას გაკადრებთ და მოგახსენებთ, მეფეთა და მსაჯულთა და ყოველს სამართალში მჯდომს კაცს. ეს იცოდეთ დამარხვით გულში გქონდესთ რომ ღმერთი ყოვლისა დამბადებელი, თქვენგან სამართალს ითხოვს და რისხვა ღვთისა უსამართლობით მოივლინების ქვეყანაზედ“. ვახტანგის სამართალში ბრწყინვალედ არის განმარტებული მოსამართლის მოვალეობა, ფუნქცია და დანიშნულება. იგი ხელნაწერის მეორე გვერდზეა წარმოდგენილი: „პირველად ესე ვსთქვათ, მოსამართლე უნდა დიდათ გამსინჯავი, მიმხდომი და გამომძიებელი, გონება აუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდები, გამსინჯავი, მოჩივრის მოადის მომცდელი, სხვისაც მკითხველი: თუ ამისი სამართალი თქვენგან როგორ ისინჯვისო. მოწმის მაძებარი, უქრთამო, ღვთის მოშიში. და თუ მოსამართლე სამართალში სხვასმეს საქმობს და მოჩივრის სიტყვას ყურს არ მიუგდებს ან ჯავრობს და მოჩივარს უწყრების, ამასაც სიტყვას დააკარგინებს და ვერცა რას თავად მიხვდების და უსამართლო მოუა“.

ცხადია, ვახტანგ VI-ის სამართალი განსაკუთრებული მოვლენა იყო ქვეყნის ისტორიაში. მეფემ მართლმსაჯულებას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო და ამით ზღვარი დაუდო მოხელეთა თვითნებობას. ვახტანგისეული სამართლის დანერგვამ კი საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთესობისკენ სვლა მოიტანა.

ბატონიშვილის სამართალი, ხელნაწერში 64-ე გვერდზე მთავრდება და მას ზანდუკი ანუ სარჩევი მოსდევს. კრებულის შემდეგი თავი „ბერძნულ სამსაჯულო სათვალუხვოს“ ეთმობა. იგი სარჩევის ჩათვლით 121-ე გვერდამდე გრძელდება. ეს საკანონმდებლო აქტი ბერძნულ-რომაული (ბიზანტიური) სამართლის ქართული ვერსიაა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში ძირითადად მეორე ნაწილად არის შეტანილი. ცნობილია, რომ მეფემ „ძიება-ყო საბერძნეთით“ და „მოიშოვა“ იქაური „წიგნი სასამართლონი“. ასეთი „ფრიადითა შრომითა“ მოპოვებული ბერძნული კანონები გადმოაქართულეს „ბრძენთა კაცთა“ თვით ვახტანგ VI-ის აქტიური მონაწილეობით. დედნიდან ეპისკოპოს კვიპრიანე სამთავნელს (ერისკაცობაში კოზმა არაგვის ერისთავი) უთარგმნია თავისუფალი წესით. ზოგი ადგილი შეუმოკლებია, ზოგიც კი განუვრცია.

122-ე გვერდიდან კრებულში ჩართულია

უმნიშვნელოვანესი ქართული იურიდიული დოკუმენტი „კათალიკოზთა სამართალი“. პროფესორ ისიდორე დოლიძის გამოკვლევით, ეს საკანონმდებლო ძეგლი XVI საუკუნის 40-იან წლებში იმერეთის მეფის ბაგრატის დროს არის (1510-1565) შედგენილი. სამართალი ტყვეთა სყიდვის აკრძალვით იწყება. დოკუმენტში ნათქვამია: „რამანც კაცმან კაცი გაყიდოს, დიდმან ანუ მცირედმან, აზნაურმან ან გლეხმან, წმიდათა კრებათაგან შეჩვენებული იყოს. რასაც კაცს მართლის განკითხვითა და გამოძიებითა კაცის სყიდვა გამოჩნდეს, თუ ის კაცი დაიხსნას და მოიყვანოს, მის საყდარსა და ეპისკოპოზსა დაუურვოს, რა ერთიც ძალ-ედვას, დამკლებისა პატრონსაც დაუუროს.

და თუ ვერ მოიყვანს, ვინც იყოს, დიდი ანუ მცირე ვერა საქმემ ვერ იხსნას, უკანონოდმცა არის ძელსა მიეცნეს.

ან ვინც ქრთამი აიღოს და არ ჩამოარჩოს, შეჩვენებული იყოს წმიდათა კრებათაგან და კანონს ქვეშ არის წმიდათა მოციქულთასა“.

დოკუმენტის გაცნობისთანავე ჩნდება ლოგიკური კითხვა, თუ რამ განაპირობა „კათალიკოზთა სამართლის“ დაწყება ტყვეთა სყიდვის აკრძალვით, ხოლო ამ საქმეში ბრალეულის, უმკაცრესად, ჩამოხრჩობით დასჯა სოციალური სტატუსის მიუხედავად! რა თქმა უნდა, ეს გარემოება იმ მძიმე სენზე მიუთითებს, რომელიც საქართველოში XVI საუკუნიდან გამეფდა და XVII საუკუნეში არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

ამ სენს ტყვეთა სყიდვა ერქვა და მასში აქტიურად მონაწილეობდნენ თავად-აზნაურები, საეკლესიო პირებთან ერთად. ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის ცნობით, XVII საუკუნეში ყოველწლიურად მარტო სამეგრელოდან 3 ათასი ტყვე გაჰყავდათ ოსმალეთში, სადაც ახალგაზრდა ვაჟებს იანიჩართა რაზმში რიცხავდნენ, ყმაწვილ ქალებს სულთნისა და მისი ფაშების ჰარამხანებში აგზავნიდნენ, ხოლო ხანში შესულებს მონებად ჰყიდდნენ. ოსმალების წარჩინებულთა სასახლეებში იმ დროისთვის მრავლად იყვნენ გაყიდული ქართველები. ისტორიკოს მიხეილ რეხვიაშვილის თქმით, „იმერეთის მეფეებს თუ გუ-

ვახტანგის სამართლის კიდევ ერთი ხელნაწერი სამეგრელოს სამთავროში, კერძოდ ზუგდიდშია გადაწერილი



ძლიერ დაზიანებული ანდერძი ხელნაწერის შექმნის თაგადასავალს მოგვითხრობს

რიისა და ოდიშის მთავრებს დამპყრობელი ქვეყნებისთვის (თურქეთი, ირანი) პერიოდული თუ ერთდროული ხარკი ხშირად ადამიანთა (ქალ-ვაჟთა) განსაზღვრული რაოდენობით უნდა გადაეხადათ. ამავე დროს მთავრებსა და დიდებულებს თავიანთი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო უცხო საქონელიც ტყვეებზე გადაცვლით უნდა შეეძინათ“.

როგორც იტალიელი დონ ჯუსტი პრატო და ასევე სხვა კათოლიკე მისიონერები აღნიშნავდნენ, სპარსელები და თურქები ყველა საშუალებას მიმართავდნენ, რათა საქართველოდან ახალგაზრდები წაეყვანათ. ისინი მათ იყენებდნენ პირველ რიგში თავიანთი ლაშქრის გასაძლიერებლად და ასევე ამით დიდ ზიანს აყენებდნენ საქართველოს. აქ ხომ ათეულ და ასეულ ყმაწვილზე არაა ლაპარაკი, არამედ ათასობით ახალგაზრდაზე, რომელთაგანაც საქართველო განუწყვეტლივ იცლებოდა და ქვეყანა ნადგურდებოდა.

„წარმოდგენაც კი ძნელია, — წერს დონ ჯუსტი პრატო, — თუ რამდენად დიდია სპარსეთისა და კონსტანტინოპოლელი თურქების სიხარბე ყმაწვილი ქრისტიანებისადმი. ამ მხარეებში ვერავინ ბედავს გადაიყვანოს ბიჭები ერთი ადგილიდან მეორეში, მაშინაც კი, როდესაც მას მიჰყვება საკუთარი მამა. მცირე მოწყალების ფასად (სპარსელები და თურქები) ართმევენ მათ ბავშვებს, არა მარტო იმიტომ, რომ იყოლიონ ბავშვები, არამედ იმ მიზნით, რომ აიძულონ ისინი უარი თქვან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, რომელიც მეტად სძულთ“.

იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის თქმით „...რიზე, გონია და ტრაპიზონიდან მოდის მრავალი თურქი ვაჭარი. მათ მოაქვთ ბლომად ფული და ტანისამოსი, რაც ფრიად ეჭირვება აქაურ ხალხს. თურქები კი სამაგიეროდ მხოლოდ ტყვეებს თხოულობენ. ამიტომაც აქ მოჰყავთ თურქებზე ტყვედ გასაყიდად ქართველებიც და აფხაზებიც. ყველანი ისე არიან დახელოვნებული ამ ხელობაში, რომ ადვილად იპარავენ როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს, დიდებსაც და პატარებსაც. ზოგჯერ ასეთი ავაზაკები ღამე თავს დაესხმიან მეზობლის სახლს, შეტეხენ ძალით სახლის კარს, შებოჭავენ, ვისაც კი შიგ იპოვიან და პირდაპირ ქობულეთში გააქანებენ თურქებზე გასაყიდად“. ცნობილია, რომ „ტყვეთა სყიდვამ“ სამეგრელოს 40 ათასინი მოსახლეობა, 1640-იანი წლებიდან სულ რაღაც 30 წელიწადში, 20 ათასამდე შეამცირა.

შესაბამისად, ვახტანგ VI-ის კრებულში წარმოდგენილი დოკუმენტი კარგად მიუთითებს ხელისუფლებისა და ეკლესიის მამამთავართა ნებაზე — საკანონმდებლო დოკუმენტის დახმარებით დაუნდობლად შებრძოლებოდნენ საქართველოსთვის მომაკვდინებელ სენს.

ამას გარდა, ხელნაწერში ასევე ჩართულია სამი იურიდიული დოკუმენტი. „სამართალი მეფისა გიორგისა“, შედგენილი გიორგი

ბრწყინვალის (1314-1346) მიერ 1335 წელს; ბექა აღბუღას სამართალი, დათარიღებული 1381-1386 წლებით და მოსეს სამართალი, რომელიც „მეორე სჯულიდან“ გამონაკრებს წარმოადგენს. მათი შინაარსის აღწერილობით მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ, რადგან ტექსტები ცნობილია და ყველა ძირითად ნუსხას იმეორებს მცირე ცვლილებებით. მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტია თავად ხელნაწერიც. იურიდიული ხასიათის ტექსტებთან ერთად, ინტერესს იწვევს კალიგრაფია, გვერდების გაფორმება და ტერმინოლოგია.

მართალია, ხელნაწერზე არ არის მინაწერი, რომელიც მის დათარიღებაში დაგვეხმარებოდა, ამ საკითხის გარკვევა მაინც საკმაოდ ადვილი აღმოჩნდა. კერძოდ, ყველა ფურცელზე დატანილია ჭვირნიშნიანი გერბითა და რუსული ასოებით „МФЯ“. ამგვარი ტიპის ქაღალდი 1756-დან 1760 წლამდე მიმოიქცეოდა. ამდენად, ჩვენს ხელთ არსებული უცნობი ნუსხა XVIII საუკუნის 60-იანი წლებით უნდა დავათარიღოთ.

ხელოვნების სასახლეში დაცული ვახტანგის სამართლის კიდევ ერთი ხელნაწერი 2014 წელს მუზეუმს პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა უსახსოვრა. მცირე ზომის (10 X 16 სმ) წიგნი საუცხოოდ გაფორმებული ტყავის შესაკრავებიან ყდაში ზის. ტექსტში ჩართულია რამდენიმე პრიმიტიული, მაგრამ მიმზიდველი ორნამენტი. ნაწერია გაუწაფავი მხედრულით, გამოყენებულია შავი მელანი და სინგური. წიგნი მთლიანად ვახტანგ ბატონიშვილის სამართალსა და მისადმი დართულ ზანდუკს შეიცავს.

ხელნაწერი განსაკუთრებით საინტერესოა იმ ცხრა მინაწერით, რომელიც მას წინა და უკანა გვერდებზე ახლავს. მათი წაკითხვის შემდეგ ცხადი ხდება, რომ წიგნი სამეგრელოს სამთავროში, კერძოდ ზუგდიდშია გადაწერილი. სავსებით შესაძლებელია, რომ ნაშრომი ოდესღაც სამეგრელოს მთავრების სახელგანთქმულ ბიბლიოთეკაში ინახებოდა.

ზანდუკის ბოლოში შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული ანდერძი, რომელიც მოგვითხრობს ხელნაწერის შექმნის თავგადასავალს, თუმცა იგი იმდენადაა გაფუჭებული, რომ ჩვენეული წაკითხვა ერთობ პირობითია: „აღიწერა წელსა ჩყმ (1840) აპრილის იდ (14) ერმა[ილე] [ლეო]ნიძის მიერ...“ ამგვარად, წიგნი 1840 წელს ვინმე ერმაილე ლეონიძეს გადაუწერია. არის კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მინაწერიც. „ჩყმვ (1846) წელსა ივლისის ლ (30)ს დღესა სამშაბათს [გარდა]იცვალა განსუენებული ლევან [დად]იანი აბასთუმანს სასახლეში“. სამეგრელოს მთავრებს რომ ამჟამინდელ სოფელ ძველ აბასთუმანში (ზუგდიდის რაიონი) სააგარაკო სასახლე ჰქონდათ, ეს ცნობილი იყო, თუმცა მინაწერი უფრო მეტ ინფორმაციას იძლევა, აკონკრეტებს რა ლევანის სიკვდილის დღესა და რიცხვს.

წიგნი სამეგრელოს კიდევ ერთი მთავრის, დავით დადიანის გარდაცვალების შესახებაც შეიცავს მინაწერს. აქ ნათქვამია: „ჩყნგ (1853) აგვისტოს ლ (30) მიიცვალა ნეტარ ხსენებული მთავარი მენგრელიისა დავით დადიანი, გორდს, დღესა კუირას“.

ვახტანგის სამართლის წიგნთა ეს ორი უცნობი ნუსხა მრავალმხრივ საყურადღებო ნიმუშებია, ვფიქრობთ, მომავალში ის ქართული კალიგრაფიითა და იურისპრუდენციის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართა ყურადღებასაც მიიქცევს.

გიორგი კალანდია

ხელოვნების სასახლის დირექტორი

ზუგდიდური ნუსხის გარეკანი

აფხაზთა საბვაჰეუღოს მემკვიდრეობა საქართველოსა და კანადაში

„აფხაზების ბაღი“ კანადაში

თავად აფხაზთა საგვარეულო სათავეს აფხაზეთიდან იღებს. ეს საგვარეულო გახლავთ აფხაზეთის ერთ-ერთი წარჩინებული გვარის — ანჩაბაძეთა კახეთში დამკვიდრებული შტო. ქართულ საისტორიო წყაროებში აფხაზთა საგვარეულოს წარმომადგენლები XVII საუკუნის შუა ხანებიდან მოიხსენებიან. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ისინი საკმაოდ დაწინაურდნენ ქართლ-კახეთის თავადთა შორის. სამშობლოსა და მეფის ერთგულების საპასუხოდ აფხაზებს დიდად სწყალობდნენ მეფეები — ერეკლე II და გიორგი XII.

კონსტანტინე (კოტე) აფხაზი. ალექსანდრე როინაშვილის ფოტო

აფხაზთა გვარმა საქართველოს არაერთი ღირსეული პიროვნება მისცა. მათ შორის გამორჩეულია საქართველოს ეროვნული გმირი, კონსტანტინე (კოტე) აფხაზი. მის სახელს არაერთი საქველმოქმედო საქმე უკავშირდება. გენერალი კონსტანტინე აფხაზი არჩეული იყო თბილისის საადგილმამულო ბანკის სამეურვეო კომიტეტის წევრად. ასრულებდა ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა წინამძღოლის მოვალეობას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით კახეთში გაიყვანეს რკინიგზა. 1917-1918 წლებში ის იყო თბილისში ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების თავმჯდომარე. კონსტანტინე აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლაში. იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ხოლო 1921-1923 წლებში ამ პარტიის თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებდა.

ბიოგრაფიული წიგნების სერია

მარტიდან
ჟურნალ **ისტორიანთან** ერთად

50
პერსონა
მათ შექმნეს ისტორია



ტომი 13

ალბერტ აინშტაინი

შემდეგი წიგნი:
რიჩარდ ლომგული

სერიის სხვა წიგნები

სპეციალური ფასი **5 ლ**
ჟურნალთან ერთად **8 ლ**

გამოდის თვეში ერთხელ

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში.

პალიტრა L

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში და პრესის გავრცელების ჯიხურებში ან დარეკეთ ნომრებზე:
0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.

Palitra.L.Publishing www.palitral.ge

(მარცხნიდან) დავით აფხაზი — გენერალ-მაიორი, I-ლი მსოფლიო ომის მონაწილე, მე-5 საკავალერიო დივიზიის მსროლელი პოლკის მეთაური, გიორგი აფხაზი და კონსტანტინე (კოტე) აფხაზი

1917 წელს საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ კონსტანტინე აფხაზი საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად აირჩია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში იყო დამფუძნებელი კრების წევრი, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებაში. 1921 წელს, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, გენერალი კონსტანტინე აფხაზი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. მისი თაოსნობით დაარსდა საქართველოს ინტერპარტიული პარიტეტული კომიტეტის (საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი) სამხედრო ცენტრი, რომელიც კოორდინაციას უწევდა საერთო-სახალხო ამბოხისთვის მზადებას. გამცემლობის შედეგად, სამხედრო ცენტრს ჩეკისტებმა მიაგნეს. კოტე აფხაზი დააპატიმრეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. 1923 წლის 20 მაისს გენერალი კონსტანტინე აფხაზი თოთხმეტ თანამებრძოლთან ერთად დახვრიტეს.

კონსტანტინე (კოტე) აფხაზი მეუღლესთან, ელენე იოსელიანთან ერთად. ალექსანდრე როინაშვილის ფოტო

1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, კონსტანტინე აფხაზის მეუღლე ელენე იოსელიანი და ვაჟი ნიკოლოზი საფრანგეთში გაემგზავრნენ. ნიკოლოზმა განათლება იქვე მიიღო, სწავლობდა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მან 1922 წელს პარიზში გაიცნო მომავალი მეუღლე მარჯორი (პეგი) პემბერტონ-კარტერი, თუმცა ოჯახი მხოლოდ 1946 წელს შექმნეს. მანამდე კი ორივემ ტყვეობა გამოიარა — ნიკოლოზმა გერმანელთა, ხოლო პეგიმ — იაპონელთა. 1946 წელს ნიკოლოზი და პეგი ნიუ-იორკში ქორწინდებიან. ამის შემდეგ კანადაში გადადიან საცხოვრებლად.

„აფხაზების ბაღი“, რომელსაც „სიყვარულის ბაღსაც“ უწოდებენ, კანადაში, ბრიტანეთის კოლუმბიაში, კუნძულ ვანკუვერის ქალაქ ვიქტორიაში მდებარეობს. პეგი და ნიკოლოზ აფხაზებმა ბაღის გაშენებას მთელი ცხოვრება მიუძღვნეს. ანდერძის თანახმად, კრემაციის

შემდეგ მათი ფერფლი ბაღში მიმოაბნიეს. მის შემდეგ ბაღმა რამდენიმე მეპატრონე გამოიცვალა. ბოლოს კი ისე მოხდა, რომ ის ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის მფლობელობაში აღმოჩნდა, რომელსაც აქ საცხოვრებელი კომპლექსის აშენება სურდა. მოსახლეობამ წამოიწყო კამპანია ბაღის გადასარჩენად და მის გამოსასყიდად. მათმა მცდელობამ შედეგი გამოიღო. დღეს „აფხაზების ბაღი“ (Abkhazi Garden) ერთ-ერთი გამორჩეული ადგილია კანადაში. ბაღს უამრავი ტურისტი და დამთვალიერებელი სტუმრობს. ბაღი გამორჩეულია უნიკალური ფლორითა და ლამაზი პეიზაჟებით.

აფხაზთა საგვარეულო სასახლე კი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახში მდებარეობს. XIX საუკუნის ძეგლი დიმიტრი აფხაზს აუშენებია, რომელიც სიღნაღის მაზრის ხაზინადარი ყოფილა. მოგვიანებით აფხაზებს საგვარეულო სასახლე დაუკარგავთ, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში კვლავ დაუბრუნებიათ. სასახლის ბოლო მფლობელები ნიკოლოზ აფხაზი და მისი შვილი კონსტანტინე იყვნენ. ნიკოლოზ აფხაზს ცოლად ჰყავდა ნინო გრიგოლის ასული ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძის და. ამ სასახლეში ხშირად მოდიოდა ილია ჭავჭავაძე. კაკო ყაჩაღის პროტოტიპი პოემიდან

ნიკოლოზ აფხაზი

ნიკოლოზ აფხაზის მეუღლის, პეგის ოჯახის — პემბერტონ-კარტერების სახლი შანხაიში (1945 წ.)

„აფხაზების ბაღი“ კანადაში

„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ კარდენახელი გლეხი ყოფილა, რომელსაც ილია პირადად შეხვედრია. გადმოცემით, სასახლეში ერთი ოთახი კოტე აფხაზს მასთან სტუმრად მყოფი გერმანელი მწერლის, არტურ ლაისტის რჩევით მოუწყვია.

1923 წელს, კოტე აფხაზის დახვრეტის შემდეგ, აფხაზებს სასახლე ჩამოართვეს. 1948 წლიდან აქ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა თავშესაფარი ფუნქციონირებდა, რომელიც მოგვიანებით გაუქმდა. 2005 წელს გურჯაანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სასახლე აფხაზთა საგვარეულოს წარმომადგენელს საკუთრებაში გადაეცა.

აფხაზთა საგვარეულო სასახლე მრავალი წლის განმავლობაში ინგრეოდა და იძარცვებოდა. დღეს ის ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და გადაუდებელ რესტავრაციას საჭიროებს. 2017 წელი საიუბილეოა — კოტე აფხაზის დაბადებიდან 150 წელი სრულდება. კარგი იქნებოდა, ამ თარიღს კონსტანტინე აფხაზის მუზეუმის დაარსებით შევხვედროდით. ის ამას ნამდვილად იმსახურებს.

ამირან გასილაშვილი



ჰეგი აფხაზი

აფხაზთა საგვარეულო სასახლე სოფელ კარდენახში

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘ

2017 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ

Panavia Tornado

1950-იანი წლების ბოლოდან ევროპის ქვეყნების სამხედრო ავიაცია სწრაფი ტემპით ვითარდებოდა და ტექნიკურმა ნახტომმა კონსტრუქტორებს ფართო შესაძლებლობები მისცა. განსაკუთრებით ფრანგები აქტიურობდნენ. ათწლიან პერიოდში ფირმა Dassault-მა იმ დროისთვის თანამედროვე გამანადგურებლები Mirage III, Mirage 5, Mirage F1 და Etendard IV ჩაუშვა სერიულ წარმოებაში. სამხედრო თვითმფრინავებზე ინტენსიურად მუშაობდნენ შვედეთში, გერმანიასა და იტალიაში. ევროპის ქვეყნებში ავიამრეწველობის განვითარება გარკვეულწილად ამერიკულ საავიაციო წარმოებაზე დამოკიდებულების შემცირების სურვილმაც განაპირობა.

კონტინენტური ევროპისგან განსხვავებით, საპირისპირო სურათი იყო დიდ ბრიტანეთში, სადაც სამხედრო ხარჯების შემცირების პირობებში მთავარი ყურადღება ბირთვული იარაღის მატარებელ სტრატეგიულ ბომბდამშენებზე იყო გადატანილი...

იმ დროს დინამიკურად არა მხოლოდ ავიაცია ვითარდებოდა. საზენიტო რაკეტები ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის უმთავრესი კომპონენტი გახდა, ამიტომ ომის შემთხვევაში მეტი დატვირთვა მოწინააღმდეგის საზენიტო ბარიერის გადასალახი გზების მოძიებამ მიიღო. ალტერნატივა ფრენის ახალი რეჟიმების შემუშავებით მოინახა, ანუ ამიერიდან შეტევა დაბალ სიმაღლეზე, ზებგერითი სიჩქარით უნდა მომხდარიყო.

გონიოს
ციხე

რომაული სიმაგრეები საქართველოში



...და აფსაროსის ციხის რეკონსტრუქცია

ლეგიონერები შრომის ხელსაწყოებსაც ისეთივე ოსტატობით იყენებდნენ, როგორც სატყორცნ შუბსა და მახვილს

საქართველოში ანტიკური ხანის რომაული ძეგლებიდან გონიოს ციხე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. იგი დიდი ხანია იწვევს არქეოლოგებისა და ისტორიკოსების ინტერესს. მსგავსი ისტორიული ძეგლები მთელ რომაულ სამყაროში გვხვდება, ბოლო ათწლეულში დაასრულეს ზოგიერთი რომაული ციხის რეკონსტრუქცია — ან ნაგებობები აღადგინეს, ან გრაფიკული გამოსახულებები შექმნეს. ამჯერად გთავაზობთ აფსაროსის (გონიოს) ციხის მიახლოებით რეკონსტრუქციას.

რომაული გარნიზონები

რომაული მესაზღვრე ჯარები საქართველოში უკვე ახ.წ. I საუკუნეში, იმპერატორ ნერონის (54-68 წწ.) დროს უნდა გამოჩენილიყვნენ. გამორიცხულია, რომ ისეთი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის რეგიონი, როგორიც საქართველოს შავი ზღვისპირეთი იყო, რომაელებს დაუცველად დაეტოვებინათ.

პონტოს პროვინციის ფლოტი ტრაპიზონში, სინოპსა და ამასტრისში იდგა და კოლხი მეკობრეების მოქმედებას აკონტროლებდა. ტრაპიზონში იჭრებოდა ბრინჯაოს მონეტა, რომლითაც ჯამაგირს უხდიდნენ კოლხეთში მდგარ გარნიზონებს. იოსებ ფლავიუსი ასახელებს 3 ათას მეომარსა და 40 ხომალდს, რომელთაც მორჩილებდნენ ჰენიოხები, კოლხები, ტავრები, ბოსფორანები და პონტოსა და მეოტიდის (დღევანდელი აზოვის ზღვა) ირგვლივ მცხოვრები ხალხები. არსებობდა Castellum-ები, რომაული სიმაგრეები გარნიზონებით, რომელთაც რომაელები საზღვრებზე აგებდნენ და შიგნით მესაზღვრე ლიმიტანებს აყენებდნენ. ძირითადად, ისინი მუდმივად იდგნენ ამ სიმაგრეებში.

კასტელუმები, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო აფსაროსსა და სებასტოპოლისში. ხოლო ფასისში, ფლავიუს არიანეს ცნობის მიხედვით, იდგა Pila Muralia — ხის ძელური სიმაგრე, უფრო დამახასიათებელი ბრიტანეთისა და რაინ-დუნაისპირეთისთვის. უკვე შემდგომ, II საუკუნეში, არიანემ დაათვალიერა

სებასტოპოლისის სიმაგრე, სადაც 200-მდე ჯარისკაცი უნდა მდგარიყო. პიტიუნტში, აღმოჩენილი რომაული წარწერის მიხედვით, გარნიზონი აქ 135-152 წლებში უნდა მდგარიყო.

ამის მიუხედავად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული სირთულეებისა და რომაული გარნიზონების მცირერიცხოვნობის გამო, აქ ნაკლებად საჭარაუდოა კარგად ორგანიზებული თავდაცვითი ხაზისა და გამართული საკომუნიკაციო ქსელის არსებობა. ამიტომ რომაელი ავტორები არა Limes-ად (სასაზღვრო სიმაგრეების სისტემა), არამედ უბრალოდ რომის სამფლობელოდ მოხსენიებენ. აქ არსებული თავდაცვა განამტკიცა იმპერატორმა ვესპასიანემ. გერმანელი ისტორიკოსი თეოდორ მომზენი მიიჩნევდა, რომ აფსაროსისა და ფასისის გარდა, რომის შენაერთები მცხეთაშიც იდგნენ. ამის დამამტკიცებლად შეიძლება ძვ.წ. 75 წლით დათარიღებული მცხეთის წარწერა მივიჩნიოთ, სადაც წერია, რომ ვესპასიანემ გაამაგრა მცხეთის გალავნები 75 წელს, ხოლო 96 წლის შემდეგ კი გვაქვს ცნობა (წარწერა აზერბაიჯანში, ქობუსტანში), რომ XII ლეგიონის (Fulminata) ცენტურიონი, იმპერატორ დომიციანეს მმართველობისას სამხრეთ ალბანეთშიც კი იყო (შესაძლებელია, დიპლომატიური მისიითაც).

მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში, იმპერატორ ვალენსის აღმოსავლურ კამპანიამდე, საჭარაუდოდ, რომაული ძალები არც ალბანეთსა და არც იბერიაში არ ყოფილან და ჩანს, ამგვარი მხოლოდ ცალკეული შემთხვევები იყო. პლინიუსის დასახელებული Castellum Cumania-თი, რომელიც რომაული შენაერთით იყო დაცული, დარიალის კარი უნდა იყოს, აგებული ურიცხვ მომთაბარეთა შეკავების მიზნით. 131 წელს, არიანეს ცნობით, ნახევარ ლეგიონამდე დამხმარე ჯარის ნაწილი იდგა აფსაროსში, ფასისში კი ლოდსატყორცნებით აღჭურვილი ხუთასი მეომარი. იმპერატორ ადრიანეს დროს კავკასიაში რომაელთა პოზიციების გამტკიცებამ ფარსმან II-ის პროტესტი და მის მიერ ალანების რომაულ პროვინციებზე შესევა გამოიწვია. თუმცა, დიონ კასიუსის მიხედვით, ფლავიუს არიანემ მოახერხა მათი განდევნა, ხოლო იბერიაში პოზიციების განსამტკიცებლად 500 მეომარი გაგზავნა, რაც თითქოს ფარსმანისთვის მეგობრობისა და მოკავშირეობის ნიშანი უნდა ყოფილიყო.

III საუკუნიდან, განსაკუთრებით კი 238

რომაელი ლეგიონერი, დამხმარე ჯარის (Auxilia) მეომარი და მხედარი (II ს.)



ბერძნულენოვანი წარწერა მცხეთიდან, რომელშიც ვესპასიანე და მითრიდატე არიან მოხსენიებულები

ლათინური წარწერა, რომელშიც XII ლეგიონის ცენტურიონია მოხსენიებული (ქობუსტანი, აზერბაიჯანი)

კარნუნტუმის რომაული ციხის ნაშთები და აღდგენილი ნაწილი (ავსტრია)

წლიდან, შავი ზღვისპირეთში გოთების ლაშქრობები დაიწყო (ბიზანტიელი ისტორიკოსი ზოსიმე მათ სკვითებად მოიხსენიებს), რის შედეგადაც განადგურდა რომაელთა თავდაცვითი სისტემა დასავლეთ საქართველოში. თუმცა, ნაისის (იგივე ნიშის, დღევანდელ სერბეთში) ბრძოლაში გოთებზე გამარჯვების (268 ან 269 წ.) შემდეგ რომაელებმა ვითარება გამოასწორეს და სიმაგრეები კვლავ აღადგინეს. ამ დანაკარგის შევსება იმპერატორმა პრობუსმა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ფრანკი ლიმიტანების ჩასახლებით სცადა.

ამ პერიოდში კავკასიის მნიშვნელობა გაიზარდა და III-IV საუკუნეების მიჯნაზე კოლხეთში მოიმატა რომაული ჯარის რაოდენობამაც. IV საუკუნე კი სებასტოპოლისის აღმავლობის პერიოდად იქცა, ოღონდ არა ბიჭვინთისა. შესაძლებელია, V საუკუნეშიც პიტიუნტსა და სებასტოპოლისშიც ბიზანტიელთა მცირერიცხოვანი გარნიზონი მდგარიყო. გვიანდელი რომის ეპოქის დოკუმენტ Notitia Dignitatum-ში ასახულია IV საუკუნის პერიოდის იმპერიის სამხედრო და ადმინისტრაციული სტრუქტურა. ამ დოკუმენტსა და არქეოლო-

ვინდოლანდას (ჩრდილოეთ ინგლისი) რომაული ციხესიმაგრის ნაშთები

კატაპულტა გონიოს მუზეუმში.
რეკონსტრუქცია



II საუკუნის რომაული ციხესიმაგრე ზემო გერმანიაში. მხატვარი ადამ ჰუკი

გიურ მასალებზე დაყრდნობით დევიდ ბრაუნი აღნიშნავს, რომ დაახლოებით 370 წლისთვის აფსაროსს იმპერატორ ვალენსის სახელის მიხედვით Valentia ეწოდა და აქ გარნიზონად Cohors I Theodosiana იდგა, პიტიუნტში (პიტიუსი) — კავალერიის რაზმი Ala I Theodosiana, სებასტოპოლისში კი Cohors I Claudia Equitata უნდა ყოფილიყო. არსებობს მოსაზრება, რომ 255-387 წლებში აქ გარნიზონები არ მდგარან, თუმცა სხვადასხვა ფრაგმენტული წყაროს საშუალებით ამის უარყოფა შეიძლება. უფრო სავარაუდოა, რომ აქ გარნიზონები იდგა მაშინაც, როდესაც პიტიუნტის ეპისკოპოსი



აფსაროსის ციხის (ახ.წ. II ს.) სქემა და რეკონსტრუქცია





აბანო რომაულ ციხესიმაგრეში. მხატვარი ადამ ჰუკი

ნიკეის კრებაზე მიიწვიეს – 325 წელს. ყოველ შემთხვევაში, როგორც პიტიუნტი, ასევე საერთოდ, კოლხეთის სანაპიროს ციხესიმაგრეთა ქსელი, სრული ძალმოსილებით მხოლოდ VI საუკუნის 20-იანი წლებიდან, უკვე ბიზანტიის დროს ჩადგა მწყობრში.

გონიო-აფსაროსი

რომაელები სხვადასხვა ტიპის სიმაგრეებს აშენებდნენ. იყო ხის სამხედრო ბანაკები, რომლებიც შედარებით დროებით საცხოვრებელს წარმოადგენდა, ასევე ქვის სიმაგრეები, სადაც თითქმის ყოველთვის იდგა გარნიზონი. ადრეული ბანაკები დაცული იყო თხრილითა და მიწაყრილით. წესად იყო 2 მეტრის სიღრმისა და 5-6 მეტრის სიგანის თხრილის შემოვლება. განსაკუთრებულ შემთხვევებში 8 მეტრის სიგანის თხრილიც კეთდებოდა.



კატაპულტის ქვები გონიოდან (ავტორის ფოტო)

კახეთში, სოფელ ზემო ქედაში ნაპოვნი რომაული მუზარადი

რომაელი ჯარისკაცები საალყო მანქანასთან

ხშირად მიწაყრილს დამატებით ხის კედელიც იცავდა.

ბანაკი კარგად იყო ორგანიზებული — კავალერიას, ქვეით ჯარსა და მოკავშირეთა ნაწილებს თავიანთი სადგომი ჰქონდათ. დიდ ბანაკებში ეწყობოდა ბილიკები სწრაფად და მოხერხებულად გადაადგილებისთვის. ამ ყველაფერს ლეგიონერები თვითონვე აკეთებდნენ. ისინი სამუშაო ხელსაწყოებსაც ისეთივე ოსტატობით იყენებდნენ, როგორც სატყორცნ შუბსა და მახვილს. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს მათ შესანიშნავ დისციპლინაზე. ასეთ სიმაგრეებს გააჩნდა საკუთარი მუნიციპალური კონსტიტუციაც კი.

საქართველოს ტერიტორიაზე რომაული ციხესიმაგრეებიდან საუკეთესოდ შემორჩენილია აფსაროსი. იგი გეგმით სწორკუთხედია. რომაული კასტელუმის ძირითადმა გეგმამ ჩვენამდე უცვლელად მოაღწია. ციხის კედლების სიმაღლე 5 მეტრია, ხოლო კუთხეებთან, სადაც კოშკებია აღმართული, 7 მეტრს აღწევს. ამჟამად ციხესიმაგრე 18 კოშკს ითვლის. თუმცა მათი რაოდენობა თავდაპირველად 22 იყო.

აფსაროსის ციხე-კასტელუმი სწორკუთხაა და ასეთივე კოშკები აკრავს. მისი გამაგრების სისტემა გამოირჩეოდა სიმტკიცით, რისი დასტურიც უნდა იყოს ციხე-ქალაქის გარშემო დღეს არქეოლოგიურად გამოვლენილი, ცალკე მდგომი სამი სადარაჯო კოშკი. გონიოს ციხის კვლევისას დადგენილია, რა ტერიტორიას მოიცავდა ციხე თავდაპირველად და რა ნაგებობები იყო შიგნით — აბანო, ბელელი, Principia (შტაბი), კარიბჭეები (Porta Praetoria, Porta Principalis Sinistra), წყალსადენი, ყაზარმები.

საყურადღებოა ერთ-ერთი არქეოლოგიური ანგარიში, რომელიც 2015 წელს გამოაქვეყნეს რადოსლავ კარასიევიჩ-შჩიპიორსკიმ და ემზარ კახიძემ.

ყველა ამ დეტალის გათვალისწინებით, პროგრამა Inkscape-ში დავხატე აფსაროსის ციხე. უნდა აღვნიშნო, რომ ერთი გვერდი ოდნავ არაპროპორციული გამოვიდა და შესაბამისად სწორი მართკუთხედი არ შეიკრა, მაგრამ ეს იმისთვის, რათა გამოჩენილიყო შიდა ნაგებობები უკეთ. აქვე მოყვანილია ციხის სქემაც. შემდგომში შემოგთავაზებთ გამოსახულების უფრო ზუსტ ვარიანტსაც.

ნიკა ხოფერია

ქართველები იერუსალიმში ცხენზე ამხედრებულები შედიოდნენ მხატვარი ლევან სილაგაძე

ალექსანდრე I დიდი

„ქართველ მეფეთა გალერეაში ალექსანდრე I-ს გამორჩეული ადგილი უკავია. მისი მეფობა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პერიოდს დაემთხვა. ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული გიორგი V ბრწყინვალის ღონისძიებები ერთიანად გააქარწყლა თემურ-ლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა. თითქმის გაუდაბურდა ქვეყნის ეკონომიკურად დაწინაურებული არაერთი მხარე, შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა, მოირღვა საქართველოს სამხრეთი საზღვარი, რაც ქვეყნის თავდაცვითუნარიანობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითად აისახა. თემურ-ლენგის სახელმწიფოს დაშლის შემ-

ფანე ათაბაგის წარწერა: „ყოვლადწმიდაო ვარძიისა ღრმთისმშობელო, ადიდე ორთავეშინა სუფევათა დიდისა ამის ტრაპეზისა აღმშენებელი პატრონი ფანე; ასუფევე და ცოდვანი მათნი შეუნდოს ღმერთმან, ამენ“

თემურ-ლენგის შეტევა ქართულ ქალაქ ნერგესზე (ნეკრესი)

დეგ საქართველოს მეზობლად წარმოქმნილი შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფო კი მეზობლებთან ურთიერთობისას აგრესიის გზას დაადგა. ამას თან დაერთო შიდაეკონომიკური კავშირების დასუსტება, რამაც ქვეყნის ერთიანობას შეუქმნა საფრთხე. სწორედ ასეთი სახელმწიფო ჩაიბარა ალექსანდრე I-მა. მან თანამიმდევრული და ენერგიული ღონისძიებებით აღკვეთა საქართველოში სეპარატისტული ძალების მოქმედება, დაიბრუნა თურქმანების მიერ დაკავებული ტერიტორიები, აღადგინა დანგრეული ციხესიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები. ქვეყანას მოუტანა სიმშვიდე. „ამისათვის წარუმართა მას ღმერთმან, რამეთუ იყო მშვიდი, მოწყალე, შემნდობელი, მიმტევებელი ქვრივთა და ობოლთა და დავრდომილთა შემწყნარე... მხნე-ახოვანი, შემმართებელი, შუენიერ-ჰაეროვანი. არამედ ესე ალექსანდრე მეფე მოვლიდა ყოველსა სამეფოსა თვისაა...“ — წერს მემატიანე. მადლიერმა ქართველმა ერმა ალექსანდრე მეფეს „დიდი“ უწოდა“.

...ვკითხულობთ „ილუსტრირებული ისტორიის“ ახალგამოსულ 29-ე ტომის შესავალში, რომელიც სწორედ იმ მეფეს ეძღვნება, მთელი თავისი ძალა და შემართება რომ ქვეყნის სიმშვიდისა და აღდგენა-გაძლიერებას მოახმარა და მიაღწია კიდევაც საწადელს.

ალექსანდრე მეფის მიერ დაბრუნებული ტერიტორიები. კარტოგრაფი მანანა შეყილაძე

გენუელ ვაჭრებს საქართველოდან გაჰქონდათ ბეწვეული, ტყავი, ხეტყე. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართული აბრეშუმი, რომელიც თავისი ხარისხით მხოლოდ ირანისას ჩამოუვარდებოდა. საქართველოში შემოჰქონდათ მარილი და თევზი. საკუთრივ ევროპული ნაწარმიდან საქართველოში, ძირითადად, ძვირფასი ხელოსნური ნაწარმი და შალის ქსოვილები იყიდებოდა. მხატვარი ზურაბ თოთიბაძე.

წიგნის ავტორი, ისტორიკოსი ვლადიმერ კეკელია ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების, ასევე სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა-გაანალიზებით მკითხველს წარუდგენს საინტერესო ისტორიულ-შემეცნებით ნარკვევს ქართველთა კიდევ ერთი ღირსეული მეფის შესახებ.

პროექტის ხელმძღვანელია ისტორიკოსი, პროფესორი ჯაბა სამუშია. წიგნზე მუშაობდა გამომცემლობა „პალიტრა L-ის“ შემოქმედებითი ჯგუფი: რედაქტორი – ლადო იოსებაძე; მხატვრები: ლევან სილაგაძე, ზურაბ თოთიბაძე, მაია ქაჯაია; რუკების ავტორი – მანანა შეყილაძე; პროექტის მენეჯერი – ნესტან მაღალაშვილი; მხატვარ-დიზაინერი – რატი თორდია; პასუხისმგებელი რედაქტორი – ნატალია ახვლედიანი; კორექტორები: ნატალია ჩიმაკაძე, ცისანა ბურჯანაძე; დამკაბადონებელი ლევან ლაცაბიძე.

ახალ წიგნში მკითხველს საშუალება ექნება ახლებურად წაიკითხოს საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხების შესახებ, როგორებიცაა — თემურ-ლენგის დაპყრობითი ომები და მისი ლაშქრობები საქართველოში; ალექსანდრე I დიდის წინამორბედები. ცვლილებები თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ; ალექსანდრე დიდის აღმშენებლობითი საქმიანობა; გენუელები შავიზღვისპირეთში და საქართველო; ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება; წმინდა მიწა და ქართული დიპლომატია; ჯაჰან შაჰის შემოსევა საქართველოში; მსხვილი ფეოდალური მამულები და მათი სტრუქტურა; გზები და მოგზაურები შუა საუკუნეების საქართველოში; საქართველო უცხოელთა თვალით და სხვ.

ტრადიციულად, „ილუსტრირებული ისტორიის“ მორიგი ტომის საარქივო და ფოტომასალები სერიისთვის მოშზადდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ხელოვნების სასახლის, ეროვნული არქივის, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ.

„ისტორიანი“

ცაიშელები

2007 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიში-ცაცხვში არქეოლოგიური კვლევა ჩაუტარდა №2 სამარხ ორმოს, რომელიც დათარიღებულია ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებით (გათხრების ხელმძღვანელი — ლ. ჯიქია; არქეოლოგი რ. პაპუაშვილი). აქ უამრავი ძვლოვანი ნაშთი აღმოჩნდა. დასადგენი იყო ინდივიდთა რაოდენობა, სქესობრივ-ასაკობრივი და ანთროპოლოგიური შედგენილობა, დაკრძალვის პოზა, იყო თუ არა ყველა ძვალი ადგილზე და სხვ.



ცაიშელის სახე თავის ქალას მიხედვით აღდგენილია ავტორის მიერ

ძვლოვანი მასალა ამ სამარხი ორმოდან (ფართობით 80 კვმ) ყველაზე ადრეული და ერთადერთი რეალურად არსებულია ცენტრალური კოლხეთის ტერიტორიაზე. საზოგადოდ, ამ ტიპის სამარხი ორმოები დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ჩონჩხები ჩაპრესილი იყო ურთიერთში და რამდენიმე წყებად ეწყო როგორც ფსკერზე, ისე კედლების გასწვრივ, ამიტომ ინდივიდუალურად დათვლა შეუძლებელია. სამარხ ორმოში ხელუხლებელი ადგილი შევარჩიე, მოვნიშნე 1 კვმ ფართობი და ძვლოვანი ნაშთების პრეპარირება-დათვლას შევუდექი. აღმოჩნდა სამ წყებად განფენილი 25 ინდივიდის ძვლოვანი ნაშთი: 14 მამაკაცის — 20-74 წლის, 9 ქალის — 30-34 წლის და ორიც ბავშვის — 2-4 წლის. მთლიან ფართობზე გადაანგარიშებით კი მიახლოებით განისაზღვრა, რომ ორმოში უნდა იყოს 2 ათასი ინდივიდის ძვლოვანი ნაშთი, აქედან 1 120 მამაკაცის (14-80 წლის), 720 ქალისა (15-60 წლის) და 160 ბავშვის (1-13 წლის).

დროის განსაზღვრული მონაკვეთების შემდეგ, მიცვალებულთა მეორადი დაკრძალვისთვის კამერის ძირს ათავისუფლებდნენ. დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირეთში — სამეგრელო-აფხაზეთში მიცვალებულის პირველადი დაკრძალვა ზეზე გაკიდება იყო. ცხედარს მანამდე ტოვებდნენ, ვიდრე მხოლოდ ძვლები არ დარჩებოდა, შემდეგ კი შალითაში გახვეულს მარხავდნენ. ჯერ კედლის ძირში მიაწყობდნენ, შემდგომ ერთმანეთზე ალაგებდნენ მთელ პერიმეტრზე და ასე, დროთა განმავლობაში, ნაშთების სიმაღლე 1-1,5 მეტრს აღწევდა.

სამარხი ორმოსა და მიმდებარე ტერიტორიის გრუნტი კარგად არის გაჯერებული კალციუმის მარილებით. შესაბამისად, ნიადაგი ძვალს კალციუმს არ ართმევდა. ამიტომ ძვლოვანი ნაშთები კარგად არის შემონახული, თუმცა დღეღამურმა ტემპერატურის ცვალებადობამ და ტენიანობამ გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედა — ძვლები ადვილად ტყდება და იშლება, განსაკუთრებით თავის ქალა. აბსოლუტურად ყველა ძვალი დავაფიქსირე, ისეთებიც კი, როგორიცაა ენისქვეშა, იგივე ე.წ. ინის ძვალი და სადგისისებრი მორჩები, რომლებიც გვიანდელ სამარხებშიც კი ძალიან იშვიათად, გამონაკლისის სახით

გვხვდება. განსაკუთრებულია დაკრძალვის პოზა. საქმე გვაქვს მართლაც არაორდინარულ სამარხ ორმოსთან, რომელშიც ძვლოვანი ნაშთები მოკრუნჩხულადაა შეფუთული და შემოტანილი და არა შემოსვენებულ-დასვენებული, ანუ ანატომიური წყობა დარღვეული არ არის.

ძვლოვანი მასალის მცირე ნაწილის ანთროპოლოგიური შესწავლით დადასტურდა: თავის ქალის 2 ფორმა — დოლიქო და მეზოკრანული და 3 ტიპი — მასიური, გრაცილური და ჩვეულებრივი ნორმალური; ცხვირის მაღალი და ძალიან მაღალი — სამხრეთ კავკასიური უნაგირები; სახის სიგანის 4 ტიპი — ძალიან განიერი, განიერი, საშუალო და ძალიან ვიწრო. ბინადართა საშუალო სიმაღლეა 168,1 სმ, კონკრეტულად კი მამაკაცები 170,8 სმ, ხოლო ქალები — 165,4 სმ, ორივეს კატეგორიაა — მაღალი. „ძვლოვანი“ კრანიოტიპები — SCKud, Euro, SCPGeo*, მინარევებით, რომელთა არსებობა აბორიგენულ და მოსულ გენებს შორის ბიოლოგიურ ჭიდილზე მიანიშნებს.

ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გენის, გენოფონდის სიძლიერეს. ქართველურ-ქართული გენი იმდენად ძლიერია, რომ კარგად „ინელებს“ და ცვლის კიდევაც უცხოთა გენურ მახასიათებლებს. ის არა მარტო თავის ტერიტორიაზე მოქმედებს კარგად, არამედ მნიშვნელოვან ძვრებს იწვევს კავკასიის ფარგლებს გარეთ, ახლო თუ საკმაოდ შორეულ ტერიტორიებზე განფენილ ხალხებში. რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისიც.

კატეგორიულ გამოთვლათა მეთოდის გამოყენებით, თვალი გავადევნე ცაიშელთა ნათესაურ კავშირებს ადრე ნეოლითიდან თანამედროვეობამდე (მორფოლოგიური დისტანციები). გაირკვა, რომ უახლესი და ახლო მორფოლოგიური მსგავსებაა როგორც ურთიერთთან, ისე სხვადასხვა ჯგუფსა და ცალკეულ ინდივიდთან, საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთა ტერიტორიებიდან: ადრე ნეოლითში — აფხაზეთი; ნეოლითში — დასავლეთი და აღმოსავლეთი მონღოლეთი. ადრეულ მტკვარ-არაქსის პერიოდში: თუთრიწყარო („ნაჭოჭაები“); ზემო იმერეთი — ჭიათურა (დარკვეთის მღვიმე). მტკვარ-არაქსსა და ადრე ბრინჯაოს ხანაში: გორი (ტყვიავი); დედოფლისწყარო

*** SCPGeo — სამხრეთ კავკასიურ-ქართველური (უაღრესად პროფილირებული სახე), SCPKud — ქართველურ-კუდაროული (ბრტყელსახიანები), Euro — ევროპეოიდული**

ჩონჩხები ჩაპრესილი იყო ურთიერთში და რამდენიმე წყებად ეწყო როგორც ფსკერზე, ისე კედლების გასწვრივ

სოფელი ცაიში

(ტარიბანა); თეთრიწყაროელი (ბედენი); ზევსურეთი (გიორგიწმინდა); ლაგოდეხი (ანანაური); გარდაბანი (კიკეთი). შუა ბრინჯაოს ხანაში: ახალციხე (აწყური და ორჭოშანი). გვიან ბრინჯაო I: დუშეთი (აბანოსუბანი); ახალციხე (კობალა და ზველი); სიღნაღი („ვაისწყალი“); დმანისი (არაქელი). გვიან ბრინჯაო II: თეთრიწყაროელი (ალგეთი). გარდამავალ და ადრეულ რკინის ხანაში: სომხეთი (აკუნკი); აზერბაიჯანი (მინგეჩაური). ელინისტურ ხანაში: სენაკი (ნოქალაქევი). გვიანანტიკურ ხანაში: ზემო იმერეთი — ჭიათურა (ჯიეთი). განვითარებულ შუა საუკუნეებში: აფხაზეთი — გუდაუთა (დურიფში). გვიან შუასაუკუნეებში: სამეგრელო — წალენჯიხა (მედანა); ზუგდიდი (უჩაშონა). XIX ს.: აფხაზეთი — სოხუმი (იაშთხვა) და სხვ.

როგორც ჩანს, ცაიშელები, მათი წინაპრები და მემკვიდრეები, რომელთაც დატოვეს სამარხი ორმო ძვლოვანი ნაშთებითა და ღირებული ნივთიერი კულტურით, ადგილობრივი ტომის ან ტომთა გაერთიანების წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. მათ მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოს ტერიტორიაზე განფენილ ადგილობრივ და მოსულ მოსახლეებთან. სამხრეთი კავკასია ოდითგანვე წარმოადგენდა სამიგრაციო გზას აფრიკას, აზიასა და ევროპას შორის. ისტორიულ-არქეოლოგიურად დადასტურებულია განვითარების მთელი დროის განმავლობაში

რეგიონი	დას.	საქართვ.	ზუგდიდი	ცაიში-	ცაცხვი	IX-VIII ჭ.წ.	სამარ.	ორმო	№2
##Cranium	1	2	3	6 a	X	4	7	5	6
D.M.B	Mezoc.	Mezocran	Mezocr.	Mezocr.	Mezocran	Dolihocran	Dol.	Mez.	Ul.Dol.
სქესი / მარკერი	U	U	U	U	U	U	U	U	U
ასაკი	50-54	65-69	40-44	55-59	52-56	65-69	55-59	55-59	40-44
სიმაღლე mm	1698	1739	1742	*	1726	1785	1693	1704	1689
წონა კგ	64.8	67.9	68.1	*	66.9	71.5	64.5	65.3	64.2
8:1	76.1	76.6	77.5	*	76.7	73.5	71.4	75.3	64.1
9:8	72.9	68.7	68.9	*	70.2	67.3	75.5	72.9	74.4
28:27	*	*	93.8	*	93.8	101.5	*	*	*
77	153.2	150.4	162.0	153.4	154.7	144.1	138.6	136.0	*
ZM	*	134.0	*	*	134.0	141.0	*	*	*
SS	*	6.1	*	*	6.1	4.8	*	*	*
54	28	29	27	*	28.0	34	*	*	*
55	*	50	*	*	50	55	*	*	*
51	*	42	38	*	40.0	43	*	42	*
52	*	32	33	*	32.5	33	34	27	*
48	*	69	*	*	69	70	*	*	*
45	142	133	137	*	137.3	143	117	121	118
48:45	*	51.9	*	*	51.9	48.9	*	*	*
61:60	101.9	*	101.7	*	106.3	109.8	83.3	*	*

სხვადასხვა მოდგმის ხალხმრავალი გადაადგილებები საკმაოდ შორეულ ტერიტორიებზე, აგრეთვე, ისტორიის მხედველობის მიღმა დარჩენილი მცირე ჯგუფებისა თუ ერთეულ ინდივიდთა მიგრაციები.

პათოლოგიური გამოკვლევა. საკბილე სისტემის ცვლილებები: 4109 კბილიდან (ერთი გროვა), სხვადასხვა ხარისხის კარიესული დეფექტითაა 504; შვილობილი კბილები ანუ ნორმალურ კბილზე მიზრდილი პაწია „კბილუკა“ — 3 კბილზე. ანალოგები დადასტურებული მაქვს საქართველოს სხვა რეგიონებში (ელინისტური ხანა, იგოეთი — გრაკლიანი გორა და სხვ.). ორფესვიანი ეშვი — 1 კბილი. ანალოგი მაქვს ახალციხესთან, სოფელ კლდის „ნაფენახარის“ III-IV საუკუნეების სამაროვანზე და ვალესთან, ადგილ „ჭორატში“ — ადრე შუასაუკუნეების სამარხში. დგომის ანომალია: 2 ერთეული (ბავშვის ქვედა ყბაზე, ორივე ეშვი 90°-ით შებრუნებულია). უაღრესად გრძელი ეშვები — 25-32 მმ. ნიჩბისებური საჭრელები (I-I) — 136 კბილი (ასეთი კბილები დამახასიათებელი ნიშანია მონღოლოიდებისთვის) და სხვ. ტრავმა-გართულებები: ლავიწის მარცხენა ძვალი — დაზიანებული, დესტრუქციული სამკერდე ბოლოთი. 8 კვირისტავის გარე ზედაპირი დაღარულ-დაკორძებულია. ანალოგები მაქვს დმანისის სიონის საკათედრო ტაძრის იატაკქვეშ გამოვლენილ სამარხებში, რაც რელიგიურ წეს-ჩვეულება-რიტუალებს უკავშირდება. ცაიში-ცაცხვში კი ამ დეფექტების არსებობა დაკავშირებული უნდა იყოს სამთამადნო ან მსგავსი საქმის შესრულებასთან. 2 ბარძაყის ძვლის ზედა ნახევარი მოტეხილ-შეხორცებულია, ოსტეომიელიტის მსუბუქი და გართულებული ფორმებით. ორივე შემთხვევაში, შეხორცება ნორმალურია, ალბათ ამისთვის იზრუნეს თავის დროზე. ქალისა და კაცის კეფის ძვლის ფრაგმენტები ზეწოლის კვალით, შესრულებული ბლაგვი იარაღით. შეხორცება, გართულებითაა — ოსტეოფიტოზი. თავის ქალას ძვლებზე სიმსივნური ფონებია და სხვ.

ზოგჯერ პათოლოგიური პრობლემები განსაზღვრულ წარმოდგენას გვიქმნის მიგრაციულ პროცესებზე.

თუ გავითვალისწინებთ სიცოცხლის ხანგრძლივობის მაღალ ინდივიდუალურ მაჩვენებლებს, გამოდის, რომ ცაიშელების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი ყოფილა, მიუხედავად ასეთი პათოლოგიური ჩამონათვალისა.

* * *

2005 წელს, ხსენებული ორმოს გვერდით ამავე ექსპედიციამ გათხარა სამარხი ორმო №1 (ორივე ორმო მდებარეობს მოსახლეთა ეზოებში — მანდარინის პლანტაციაში). ამ სამარხი ორმოდან ჩემს ხელთაა 35-39 წლის ქალის თავის ქალას მეტად საინტერესო რამდენიმე ფრაგმენტი. ისინი დასერილ-დაღარული იყო ბადისებურად, დაუსვი მიელოოსტეოფიტოზის დიაგნოზი, სატვინე ზედაპირზე მიელომური ღრუებია, რაც ტვინის სიმსივნეზე მეტყველებს, ძვალი მოყავისფროა. ჩემი ვარაუდით, ექიმს მიუმართავს შემდეგი ქირურგიული მანიპულაციისთვის: თავი დაუსერია ბადისებურად და ზოლებზე უსვამდა მალამოს, განსაზღვრული დროის შემდეგ დასერილს ასუფთავებდა და კვლავ მალამოთი ამუშავებდა. ზოგ ადგილას ღარი საკმაოდ ღრმაა და სატვინე ზედაპირზეა გასული, როგორც ჩანს, ექიმს ამ დროს უნდა დაღუპვოდა პაციენტი.

ვლადიმერ ასლანიშვილი

თსუ პროფესორი

ბარძაყის ძვლის ზედა ნახევარი მოტეხილ-შეხორცებულია, ოსტეომიელიტის მსუბუქი და გართულებული ფორმებით

შოპენის უცნობი ფოტო აღმოაჩინეს

შვეიცარიელმა ფიზიკოსმა ალენ კოლერმა ფრიდერიკ შოპენის ფოტო აღმოაჩინა, რომელიც დაგეროტიპზეა გადაღებული. ამის შესახებ ინფორმაციას პარიზის პოლონური ინსტიტუტი ავრცელებს.

ეს მუსიკოსის მესამე ცნობილი ფოტოგრაფიული გამოსახულებაა. სპეციალისტთა შეფასებით, იგი დაახლოებით 1847 წელს გადაიღო ფოტოგრაფმა ლუი-ოგიუსტ ბისონმა, რომელსაც კომპოზიტორის კიდევ ერთი დადასტურებული ფოტოგამოსახულება ეკუთვნის.

კადრი შვეიცარიაში, შოპენის პირად არქივში იპოვეს. დაგეროტიპის ორიგინალი, ისევე როგორც წინა ორი ფოტოს შემთხვევაში, ჩანს, განადგურებულია.

institutpolonais.fr-ის მიხედვით

შოპენის ახალაღმოჩენილი ფოტო



ლუი-ოგიუსტ ბისონის მიერ შოპენისთვის ახალგაზრდობის წლებში გადაღებული ცნობილი ფოტო

ნიკოლოზ ბარათაშვილის სვლა განჯიდან მთაწმინდამდე

ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავი და ძეგლი მთაწმინდის პანთეონში

ნიკოლოზ ბარათაშვილის დოკუმენტური პორტრეტი ქართველ საზოგადოებას არ გააჩნია. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში პოეტის პორტრეტის აღდგენის შესახებ მრავალი მოსაზრება გამოითქვა, არაერთხელ სცადეს მისი სახის აღდგენა სხვადასხვა გზით. მათ შორის ყველაზე მიახლოებულ ვარიანტად ითვლება კომპიუტერული ვერსია, რომელიც პოეტის დის, სოფიოს ფოტოს მიხედვით შესრულდა. რეალურად, ჩვენს ხელთაა პოეტის ნეშტის ფოტო. ის 1938 წელს, ნიკოლოზ ბარათაშვილის მთაწმინდაზე გადასვენების დროს გადაიღეს და აქამდე არ გაგრცელებულა. ფოტოს ვერსიზე (უკანა მხარეს) ვკითხულობთ: „ნიკოლოზ ბარათაშვილის აწყობილი ნეშტის ძვლები პროფ. (ანთროპოლოგ) ვლ. ჟღენტის მიერ. 1938 წ. 15 ოქტომბერს, მთაწმინდაზე დაკრძალვის დროს“. იგი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ოვერიელის“ ფონდში, კერძოდ, დავით შუღლიაშვილის ფოტოკოლექციაში.

1938 წლის 15 ოქტომბერს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს. გადამსვენებელი კომისიის წევრები იყვნენ მწერლები: ალიო მაშაშვილი (კომისიის თავმჯდომარე), შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე და ილო მოსაშვილი, აგრეთვე პროფესორი ვლადიმერ ჟღენტი და დოცენტი არკადი ჯორბენაძე. ვლ. ჟღენტმა ასისტენტთან, ა. ჯორბენაძესთან ერთად დაათვალიერა და აწყო ჩონჩხი. პოეტის ჩონჩხი მთლიანად შენახული აღმოჩნდა. გაზეთ „კომუნისტის“ 1938 წლის 243-ე ნომერში ვკითხულობთ: „ჩონჩხის აღდგენის სურათი ადასტურებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი საშუალო ტანისა და ძვალმსხვილი კაცი ყოფილა. როგორც ცნობილია, ნიკოლოზ ბარათაშვილი ოდნავ კოჭლი იყო. მეცნიერულმა ექსპერტიზამ ფეხის მარცხენა ქვედა კიდურზე დაადასტურა დაკოჟივება. თავის ქალა საშუალო ზომისაა, კარგად შენახული. კუბოში აღმოჩნდა აგრეთვე ძველებური ქართული ფეხსაცმლის ლანჩა და ქუსლი, აგრეთვე პოეტის ტანსაცმლის ერთი თითბრის ღილი“.

გადასვენებას ქართველ მწერლებთან — სერგო კლდიაშვილთან, ირაკლი აბაშიძესთან, ლადო ასათიანთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, სიმონ ჩიქოვანთან, ალექსანდრე გომიაშვილთან, სანდრო ეულთან და სხვებთან ერთად დაესწრო პოეტის დისწული გიორგი სუმბათაშვილი. სერგო კლდიაშვილი გადასვენების დღეს ასე იხსენებს: „აკლდამა, რომელშიც ჩასვენებული იყო კუბო, დიდი

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული მასალების ელექტრონული ვერსიების ნახვა შეგიძლიათ ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ოვერიელში“, ბმულზე: dspace.nplg.gov.ge

მთაწმინდის პანთეონში, დაკრძალვამდე. 1938 წლის 15 ოქტომბერი. ფოტოზე: დგანან მარჯვნიდან: გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე ქუთათელი, ვლადიმერ ღლონტი, დიმიტრი ბენაშვილი, ილო მოსაშვილი, პავლე ინგოროყვა, გ. ხეჩუაშვილი, შალვა დადიანი, გრიგოლ ცეცხლაძე, ალიო მირცხულავა (მაშაშვილი), გიორგი სუმბათაშვილი (ნ. ბარათაშვილის დისწული, სოფიოს შვილი), ეფ. ლეონიძე (გ. ლეონიძის მეუღლე), სერგო კლდიაშვილი, პლატონ კეშელავა. კუბოს თავთან: ირაკლი აბაშიძე და რაჟდენ გვეტაძე

წვალების შემდეგ ჩასტენეს მუშებმა. კუბოს სახურავი გატყდა და გამოჩნდა ცინკის ყუთი. იქ ესვენა ნეშტი. ყუთზე იდო ფაიფურისაგან გაკეთებული ვარდების კონა. ერთი ვარდი მე წავიღე, მეორე — შალვა აფხაიძემ, კიდევ პავლე ინგოროყვამ და რაჟდენ გვეტაძემ. ყუთი ახალ კუბოში ჩავასვენეთ და მთაწმინდისკენ მანქანით წავიღეთ. მთაწმინდაზე ასვლისას ყუთი გახსნეს. ყუთში აღმოჩნდა კარგად შენახული თავისქალა და ძვლები — ყველაფერი დაშლილი, ცალკე იყო. ორ შეერთებულ მაგიდაზე დაალაგა ძვლები პროფესორმა ჟღენტმა და შემდეგ ააწყო ჩონჩხი. თავისქალაში, სადაც ოდესღაც უკვდავი ლექსები იბადებოდნენ, პროფესორი ახლა ხელს უყოფდა და სწშენდდა. მარცხენა ფეხზე კოჭთან პროფესორმა უმნიშვნელო ანომალია შენიშნა. მეხსიერებაში გაცოცხლდა ის დღეც, როცა ცელქმა ბავშვმა ფეხი იტკინა. ლამაზი, მრგვალი, პატარა თავისქალა თვალის ორი ცარიელი ღრუთი გვიყურებდა. სიზმარი ხომ არ ყოფილა, რაც გარშემო ხდებოდა? ძვლები ისევ აშალეს და ახალ ცინკის ყუთში, პატარა კუბოში ჩაასვენეს. ეს პატარა კუბო შემდეგ დიდ კუბოში მოვათავსეთ და ახლა, ალბათ სამუდამოდ, აკლდამაში ჩავასვენეთ. დღის ორ საათზე დავბრუნდით და დიდი პოეტის შესანდობარი დავლიეთ“.

სწორედ ზემოთ ნახსენებ, გადამსვენებელი კომისიის დასკვნაზე დაყრდნობით, 1956 წელს გაჩნდა ახალი იდეა — პოეტის სახის აღსადგენად მიემართათ ანთროპოლოგიურ მეცნიერებაში ფართოდ დანერგილი მეთოდისთვის — კრანიოლოგიისთვის. ამ დროს პორტრეტული რეკონსტრუქციის ერთადერთ დოკუმენტურ მასალასა და გასაახლებელი სახის საფუძველს თავის ქალა წარმოადგენს. ამ მეთოდით ნარჩუნდება სახის არა მხოლოდ ანთროპოლოგიური, არამედ ინდივიდუალური რელიეფიც. ეს მოსაზრება ჟურნალ „დროშაში“ დაბეჭდილ ვრცელ წერილში წამოაყენა ნ. კეცლიშვილმა და საუკეთესო შემსრულებლად მისი თანამედროვე, პროფესორი მ. გერასიმოვი მიიჩნია, იმ დროისთვის თითქმის 30-წლიანი გამოცდილებით. ნ. კეცლიშვილი მის შესახებ წერდა: „სახის ჩონჩხის რელიეფისა და ძვალსა და რბილს შორის ფუნქციონალური კავშირის დადგენით იმდენად განსაცვიფრებელ შედეგებს

მიაღწია, რომ იგი ადამიანის სახის თითქმის რენტგენოსკოპიას ახდენს“. სხვათა შორის, მ. გერასიმოვმა აღადგინა მცხეთის IX საუკუნის (ბრინჯაოს ხანის) მცხოვრებთა ტიპები, რომელთა ჩონჩხი 1937 წელს, მცხეთის გათხრების დროს არის ამოღებული. ნ. კეკელიშვილი ეყრდნობოდა ვლ. ჟღენტის მიერ შედგენილ დასკვნას თავის ქალის კარგი მდგომარეობის შესახებ და ფიქრობდა, რომ პოეტის სახის აღდგენის ერთადერთ გზად მ. გერასიმოვისთვის საქმის მინდობაღა რჩებოდა. თუმცა, მისი მოსაზრება არავის გაუზიარებია.

პირველად კი, ნიკოლოზ ბარათაშვილი საქართველოში 1893 წლის 25 აპრილს ჩამოასვენეს ქალაქ განჯიდან, რაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ორგანიზებით განხორციელდა. საზოგადოების მინდობილობით, 1893 წლის 23 აპრილს, განჯაში ჩავიდნენ გრიგოლ ორბელიანი, გიორგი იოსელიანი და ალექსანდრე ჭყონია. გიორგი იოსელიანი განჯის ეკლესიას, რომლის ეზოშიც იყო დაკრძალული პოეტი, ასე აღწერს: „განჯის დასავლეთს განაკიდეში, იმყოფება დაძველებული ეკლესია, აშენებული წმინდა ზაქარიას და ელისაბედის სახელზე. ეს ეკლესია არის გრძელი და ოთხ-კუთხოვანი და ჩამოჰგავს თავის ფორმით ყაზარმას. დღეს ამ ეკლესიაში წირვა-ლოცვა გაუქმებულია, რადგანაც განჯაში მთავრობას ახალი ტაძარი აუგია“. გრიგოლ ორბელიანმა პოეტის დებისგან იცოდა, რომ ნიკოლოზი ძმის, გიორგის მარჯვნივ იყო დაკრძალული, რაც მცდარი აღმოჩნდა და ჩასულებს მთელი მომდევნო დღის განმავლობაში მოუწიათ ნეშტის ძიებამ გიორგის საფლავის გარშემო: „მუშებს სულ ახალ და ახალს ვაყენებდით. სულ გამოვცვალეთ 24 მუშა, ხალხი დაღონდა და

სახლი განჯაში, სადაც ცხოვრობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი (დაცულია ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში)

იმედი დაეკარგათ ძვირფასის ნეშტის პოვნისა. ჩვენ-კი, რომელთაც მონდობილი გვქონდა ამ ნეშტის ქალაქში მოსვენება, ფერი გვეცვალა და აღარ ვიცოდით, რა გვექნა, როგორ უნდა ჩავსულიყავით ტფილისში და რა პასუხი უნდა გაგვეცა იმათთვის, ვინც მოშზადებული იყვნენ ხვალინდელ დიდ ამბისთვის და იმათთვის განსაკუთრებით, ვინც სხვა ქალაქებიდამ ჩამოსულიყვნენ, ცალკე გვრცხვენოდა ჩვენი შეცდომისა: როგორ დაგვემართა, რომ ჯერ საძებარი ნეშტი არ მოვძებნეთ და ისე გამოვაცხადებინეთ გადმოსვენების დღე?“ — წერს ალ. ჭყონია თავის წერილში. იმედგაცრუებულები თბილისში ტელეგრამის გამოგზავნასაც ფიქრობდნენ, რომ სწორედ ამ დროს გამოჩნდა ნაშალ მიწაში პოეტის ნეშტი. ნიკოლოზის მუნდირის ფოლაქები და კარგად შენახული წაღების ნაწილები „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთსაცავისთვის წამოიღეს, ნეშტი კი დიდი პატივით გამოაცილა განჯის ქართველობამ რკინიგზის სადგურამდე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი მაგიდაზე. მთაწმინდა, დაკრძალვის წინ, 1938 წლის 15 ოქტომბერი

დიდუბის პანთეონში, ნეშტის გადასვენებამდე, 1938 წლის 15 ოქტომბერი. დგანან მარცხნიდან: რაჟდენ გვეტაძე, გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, შალვა დადიანი, ეფ. ლეონიძე და სხვები შალვა დადიანი, ჩამსხდარნი: ალიო მაშაშვილი, ილო მოსაშვილი და პავლე ინგოროყვა

ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენება რამდენადაც საამაყო იყო ქართველთათვის, იმდენად აშფოთებდა და ფაქტისადმი მტრულად განაწყობდა მაშინდელ ჟანდარმერიას. თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი შიშობდა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენება, ისევე, როგორც ალექსანდრე ყაზბეგის დიდი პატივით დაკრძალვა, ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას შეუწყობდა ხელს და არეულობას გამოიწვევდა, რასაც „ქართველი ერის სეპარაციისადმი მიდრეკილებით“ ხსნიდა. მისი შიში ალექსანდრე ყაზბეგის დაკრძალვისას მიღებულ გამოცდილებას ეფუძნებოდა: „როგორც ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებამ, ისე ყაზბეგის გვამის დიდი პატივცემით დასაფლავებამ... ყაზბეგისა, რომლის სიკვდილმა მისცა საშუალება ქართველებს ემცნოთ თუ მთელი ქვეყნისთვის ვერა, კავკასიისთვის მაინც, რომ ისინიც არსებობენ... ეს ამბები გამოიწვევდა პოლიციასთან შეტაკებას,



ნიკოლოზ ბარათაშვილის გვირგვინებით შემკობილი კუბო ვაგონში, საქართველოში გადმოსვენებისას 1893 წლის აპრილში

რომლის დროსაც უეჭველად ექნებოდა ადგილი დიდ სისხლისღვრას, თუ სახეში მივიღებთ ქართველების თავმოყვარეობას და სიფიცხეს“.

შესაბამისად, თბილისის ჟანდარმერიაც სრულ მზადყოფნაში იყო და პროცესიას დიდ ყურადღებას აქცევდნენ; თუმცა, ამჯერად, არეულობა არ მომხდარა.

ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის საიდუმლო მოხსენებაში, რომელიც მან პოლიციის დეპარტამენტში 1894 წლის 7 მარტს გაგზავნა, ვკითხულობთ: „ქართველებმა ხელახლა წამოაყენეს მოვიწყებული საკითხი ქართველი პოეტის ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების შესახებ განჯიდან ტფილისში, რომელიც გარდაიცვალა ამ საუკუნის დასაწყისში და დასაფლავებული იყო განჯაში. განსაკუთრებული მიზნით მოთხარეს მიწიდან რაღაც ძვლები და ეროვნული პოეტის ნეშტის სახით გადმოასვენეს ტფილისში, სადაც ამ ნეშტს მიეგება მრავალსათასიანი საზოგადოება და დიდის პატივით და მოწიწებით მიაბარეს მიწას. კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა და არა თუ ყველა წოდების პირები ეცილებოდნენ ერთმანეთს მის წაღებაში, არამედ ქალებიც კი ცდილობდნენ როგორმე, რამდენიმე ნაბიჯზე კუბოს ტარებაში მონაწილეობა მიეღოთ. დედებს მოეყვანათ თავისი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს“, ხოლო ჟურნალ „კვალის“ 1893 წლის №-18 ნომერში ასეა აღწერილი პროცესია: „დღე იყო ღრუბლიანი, დილით ცოტად წინწკლავდა. ქალაქიდან ხალხი მიეშურებოდა რკინის გზის სადგურზედ. დიდი, პატარა, ქალი, ჩვილი, ყველანი იქ მიისწრაფოდენ, გულის ძგერით მოელოდენ, თვალი მოეკრათ დიდებულის ქართველის ნაშთისთვის. გაისმა რკინის გზის სადგურზედ მწყობრი, გულის სიღრმემდის მისაწვდენი ტკბილი ხმა ქალების გალობისა: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“... მას უშლიდენ წინ მუხისა, დაფნისა და პურის თაფლებისაგან შეკრულს გვირგვინებს. ერი ჰგალობდა „წმინდაო ღმერთოს“ და ამ დიდებით გაჰყვა იგი დიდების ტაძრამდის“.

პოეტის გადმოსვენებიდან 12 წლის შემდეგ, ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზე — დიდუბის პანთეონში ძეგლის დადგმის საკითხი დაისვა. ძეგლის შესახებ 1905 წლის „ცნობის ფურცელში“ წერია: „შეიძლება ეს ძეგლი არ შეეფერება მის დიად ღირსებას, მაგრამ სულ არარობას ესეც ჯობია. ძეგლი გაუკეთებინებია



Памятникъ на могилѣ грузинскаго поэта кн. Н. М. Бараташвили, сооруженный въ Тифлисѣ, въ оградѣ Дидубійской церкви, въ сентябрѣ 1905 г. на средства вырученныя отъ продажи настоящаго томика.

*ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის პროექტი. დაბეჭდილია წიგნში: **Баратовский томик**. — **Тифлис, 1905***



1816—1845

Кн. Н. М. Бараташвили.

Къ сожалѣнію не сохранилось изъ всего снимка поэта и портретъ этотъ воспроизведенъ весьма плохимъ художникомъ г. Мошкиздзе, по чертамъ лица сестры покойнаго, которая наружностью напоминаетъ своего брата.

*ნიკოლოზ ბარათაშვილის ცრუ პორტრეტი (ალექსანდრე ციციშვილი). მხატვარი ტარას მომცემლიძე. დაბეჭდილია წიგნში: **Баратовский томик**. — **Тифлис, 1905**.*

ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი. ავტორები: ლევან თაქთაქიშვილი, ლევან ჭოლოშვილი. დაბეჭდილია წიგნში: ნიკოლოზ ბარათაშვილი. „თხზულებათა სრული კრებული“, თბ., 2005.

ბორის ესაძეს (ბორის სპირიდონის ძე ესაძე — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი. — ქ.გ.), ძეგლი მთლად დამთავრებული არაა და კიდევ ეჭირვება ფული. ძეგლის დადგმა განზრახულია 9 ოქტომბრისთვის. იმედია, წერა-კითხვის, დრამატიული და ფილარმონიული საზოგადოებანი დაეხმარებიან ბ. ესაძეს, იკისრებენ ძეგლის დამთავრებას და შესაფერად მოაწყობენ მისი დადგმის საქმეს“. მართლაც, აღნიშნულმა საზოგადოებებმა 1905 წლის 11 სექტემბერს, საერთო კრებაზე დაადგინეს, რომ 9 ოქტომბერს ძეგლი ეკურთხებინათ, ამ დღისთვის სტუმრების მოწვევა კი უხერხულად სცნეს. ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი „რიცის საქანდაკო ქარხანაში“, ალგეთის ქვისგან დამზადდა. ძეგლი შემკული იყო ქართული ორნამენტებით და მისი სიმაღლე სამ მეტრს აღემატებოდა. სვეტზე დადგმული ბიუსტი ახალგაზრდა მხატვრის, ტარას მომცემლიძის ნახატის მიხედვით უნდა შესრულებულიყო. მოგვიანებით პროექტში ცვლილება მოხდა — ძეგლის სვეტზე განთავსებული ბიუსტი ლირათი ჩანაცვლდა და მთაწმინდის პანთეონში დღესაც ამ სახით არის წარმოდგენილი.

რატომ ითქვა უარი აღნიშნულ ბიუსტზე, ამის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გიორგი ლეონიძე „სალიტერატურო გაზეთის“ 1933 წლის მე-7 ნომერში. ის ეყრდნობა მთარგმნელ ივანე ავალიშვილის ცნობას: ქარელში ცხოვრობდა ცნობილი მწიგნობარი იასონ დავითის ძე ციციშვილი, რომელიც მწერლობის გარდა მხატვრობასაც მისდევდა. გარდა ამისა, ადიდებდა ფოტოსურათებს და აფერადებდა, რომლებიც შინ, კედლებზე ჰქონდა გამოფენილი. ივანე ავალიშვილის ყურადღება სწორედ ერთ მათგანს მიუპყრია. სურათს ჰქონდა წარწერა — ალექსანდრე ციციშვილი. ეს პორტრეტი გავრცელებული იყო, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი. ივანეს იასონისთვის გაუზიარებია გაკვირვება, იასონს კი ასე აუხსნია: „ეგ ხომ ბარათაშვილი არ არის; რა ვქნა, ვერ იცანი ჩემი ძმა ალექსანდრე, პეტერბურგში ალექსანდრე მეორეს რომ საპატიო დარაჯად ახლდა? ქულაჯაშია გამოწყობილი. ეს მაშინდელი გადაღებული ფოტოგრაფიაა. სურათი სხვაფრივ ჩემი შეფერადებულია და გადიდებული, ხოლო ბარათაშვილად კი შემდეგ ჯადოქრობამ გადააქცია“. იასონის თქმით, მასთან სტუმრად მისულ მწიგნობარს, ზაქარია ჭიჭინაძეს ალექსანდრეს სურათის დათმობა უთხოვია. „დავუთმე, მხოლოდ შევეკითხე, თუ რად უნდოდა? ზაქარიამ მიპასუხა: ლამაზად არის გამოწყობილი ქართულს ტანისამოსში, ნახატიც კარგია, ჩემს ოთახში ჩამოვკიდებო. როცა წასვლისას სურათი ქაღალდში გავუხვიე და გადავეცი, გულით შემეხვეწა: ძალიან გთხოვ, თუ სადმე შეგხვდეს ეს სურათი, არაფერი სთქვაო; არც ისა სთქვა, რომ თქვენგან წამოვიღეო. მეც შევპირდი“. მოგვიანებით, თბილისში ჩამოსულ იასონს რუსთაველის გამზირზე უნახავს ლითოგრაფიით დაბეჭდილი ძმის სურათი წარწერით – ნიკოლოზ ბარათაშვილი. პორტრეტის გავრცელებამდე კი ზაქარიას ხმა გაუვრცელებია, რომ ერთ ოჯახში ბარათაშვილის პორტრეტი უნახავს და უახლოეს დღეებში გასაყიდად გამოსცემდა. გიორგი ლეონიძე აღნიშნულ პორტრეტს სტატიაში „ყალბ გამოსახულებას“ უწოდებს. სამწუხაროდ, ეს ფოტო ზოგიერთ თანამედროვე გამოცემაში დღესაც ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტად არის მიჩნეული.

ᲥᲔᲗᲘ ᲒᲖᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ქართული სალოცავები თქმულებებში

საზარე კოშკი, ხუთიარუსიან-სანაწვთეებიანი პირამიდული სახურავით. ქვევით ბელელისკარი და მზილა (ფშავი)

სახალხო გადმოცემებში დაშთენილია დიდი საყურადღებო ცნობები შესახებ ცხოვრებისა და მოქმედებათა არათუ თითოეული ისტორიული პირისა, არამედ მთელი ერისაც

მოსე ჯანაშვილი

თქმულება-ლეგენდები (მითები) ხალხის სიბრძნის, მორალური გამოცდილების მატარებელია. მითი ინახავს და გადასცემს სიწმინდეს, რასაც ეთნიკური, გამაერთიანებელი მნიშვნელობაც აქვს. „მხოლოდ შუაგულის, ცენტრის (კერა, ხატი) მქონე ადამიანთა ჯგუფს ძალუძს შექმნას სიბრძნე და შეინახოს. ბრბოს არ შეუძლია შექმნას სიბრძნე, რადგან მას არ გააჩნია მეხსიერება“ (ზურაბ კიკნაძე). კვლევებში ერი განიხილება მოქალაქეთა საკრალურ თანაზიარებად, საერთო მეხსიერების მქონე, მითით და რელიგიით გაერთიანებულ წმინდა ერთობად. წმინდა — „შუაგული“ ადგილების, ხატ-სალოცავების დაარსებასთან დაკავშირებული გადმოცემები მოიცავენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეალიებსაც, რადგან ხატ-სალოცავები არა მარტო სულიერ-საკრალური, არამედ საზოგადოებრივი ცენტრებია, ხალხის ცხოვრების „თვალდამყურე“.

ხევსურეთის მთავარი ხატის, გუდანის დაარსების „ანდრეზი“ (ლეგენდა) მოგვითხრობს: „ადრე, თამარის მეფობაში ხევსურეთი არ იყო, ფხოვი იყო. დაუმორჩილებელი ხალხი იყო. მთის ხალხი იყო. ფხოვიდან წასულა სამი ძმა — გოგოთი, არაბი და ჭინჭა. მონადირეები ყოფილან და ერთი ძმა წასულა და ღელის ვაკეში მოუკლავს ჯიხვი და ისეთი მსუქანი ყოფილა, ამ ძმებს უთქვამთ, წავიდეთ, ის ადგილი ვნახოთო. ნოყიერი მიწა იყო. დაუთესავთ პური, ჩაუთესავთ და ეს სამი გვარი არი ფხოვიდან წასულები: ჭინჭარაული, არაბული და გოგოთური. აი, ამ სამი გვარისგან არის დამთავებული ხევსურეთი. ფხოვისაგან წასულები“ (დავით გოგოჭური). „ჩვენ შემოფარებული ვართ. დაუმორჩილებელი ვიყავით კახეთში და გამოვექეცით ტყვეობას, ბატონობას ჩვენი მამა-პაპა შემოვეფარეთ აქა“ (ხალხ.). სხვა გადმოცემითაც, ხევსურთა მამამთავარი კახელი გლეხი ყოფილა. მას თავის სამშობლოში რაღაც დანაშაული ჩაუდენია და იძულებული გამხდარა, მიეტოვებინა

ხევსურის ოჯახი

იქაურობა. თავდაპირველად მან თავი თუშეთს შეაფარა, სადაც ვაჟი გაუჩნდა, რომელიც კარგ მონადირედ გაიზარდა. ერთ დღეს მან სახლში მსუქანი ჯიხვი მოიტანა, რომელიც ხევსურეთის ტერიტორიაზე მოეკლა. ეს ადგილები მაშინ დაუსახლებელი იყო. მამამისმა ბრძნული დასკვნა გააკეთა, რომ ადგილი, სადაც ასეთი ნაპატივები ჯიხვები იზრდებოდნენ, მეტად ნაყოფიერი უნდა ყოფილიყო. მან შვილს ერთი მუჭა ქერი გაატანა და სთხოვა, ნადირობის ადგილას დაეთესა. მეორე წელს იქ ისეთი მოსავალი მოვიდა, რომ ერთმა დიდმა გუდამ ვერ დაიტია. ოჯახმა იქ გადასახლება გადაწყვიტა. ადგილს, სადაც ისინი დასახლდნენ გუდანი დაერქვა, ხოლო ამ ტომის მამამთავარს, გუდანელიო (ხალხ.).

ოდნავ განსხვავებული, ხატის მიერ ამ ადგილების ძველ მკვიდრებთან ბრძოლის ვერსიაა შემონახული ერთ ადგილობრივ გადმოცემაში: გუდანში, იქ სადაც ხევსურთა წინაპარი სამი ძმა დასახლდა (ზემოთ ნახსენები გოგოთი, არაბი და ჭინჭა) კავკაზაურებს უცხოვრიათ, რომლებიც გუდანის ხატს ამოუწყვეტია…,,ნახევარ წელში სრუ მთელ გაუწყვიტავ ი ხალხი, არავინ არ დამრჩალ. მემრ იმათ ნაფუძვარჩი თაოდ დაარსებულას“ (ხალხ.). ადგილის ხაზგასმული, განსაკუთრებული ნაყოფიერებაა სალოცავის დაფუძნების მიზეზი კიდევ ერთ თქმულებაში: „ყვარელშით ერთ მენადირე წამასულ. გაულწევავ გუდანამადენა-დ აქ მზვარეში ფსიტ მაუკლავ, რომელნიც ყვარელში წაულავ. იქით ქერ მაუტანავ. დაუთესავ, მალია კი მასავალ მასულ. ამდგარ ისი ყვარელშით გუდან გადმასახლებულ ქოოდ-აქავ კი ადგილ ყოფილავ, ამას სამ შვილ გასჩენავ“ (ხალხ.).

ადგილის განსაკუთრებული ნაყოფიერება მისი „შუაგულობის“ — სიწმინდის ნიშანია, რომელიც მისმა ჭეშმარიტმა პატრონმა, „ხატმა“, ანუ წმინდანმა (ღვთისშვილმა) უნდა დაიკავოს. მთიელთა გადმოცემებით (ფშავ-ხევსურეთი) მათი ჯვარ-ხატების უმრავლესობა ბარის სალოცავების დანაყოფებია, იქიდან ამოტანილი ნიშებია. რაც აქ ქრისტიანობის გავრცელების სახელმწიფო პოლიტიკის ასახვაა. მათი მთავარი, საერთო სალოცავი ხომ ლაშარი და თამარ მეფეა. ლაშა-გიორგის შეუწირავს ფშაველთა მთავარი სალოცავისთვის დიდი, „ნაწილიანი“ ჯვარი, რომელსაც დიდ ომებში წინ ატარებდნენ და მტერზე იმარჯვებდნენ. აქედან მოდის ამ სალოცავის წოდება „ლაშას ჯვრად“ და „მოლაშქრედ“ (თავად სალოცავი, როგორც ცნობილია, წმინდა გიორგის სახელზეა, ისე როგორც მთიელთა ყველა მთავარი „ხატი“). ფერხულებზეც მუდამ ახსენებდნენ მცხეთას

— ფუძე სალოცავს: „მცხეთა აივსო კირითა, თქვენი ღუმბანი ჭირითა“, რაც ეთანხმება მიღებულ აზრს, რომ მთის ხატობა-დღეობები მცხეთის ჯვრის თაყვანისცემას უკავშირდება. „ჯვრის დღესასწაული ხალხურ ტრადიციაში დაუკავშირდა სამეურნეო კალენდარს“ (ნინო ღამბაშიძე). ქრისტიანობისა და შესაბამისად, ცენტრალური ხელისუფლების აქ გამყარების ეს პოლიტიკური პროცესი შემოინახა „ძველმა ამბებმა“, ღვთისშვილებისა და დევ-კერპების „პირველი“ ბრძოლების სახით. ლაშარიც მათ სადიდებლებში წოდებულია ღვთისშვილთ თავ-მოთავედ, ხელმწიფედ, მოლაშქრედ. თამარ დედოფალი კი ხმელეთის დამრიგებლად.

შემთხვევითი არაა, რომ ხალხის მეხსიერებამ ქრისტიანობის აქ (მთაში) დამკვიდრების ნიშნულად სწორედ თამარის ეპოქა შემოინახა — ერთიანი ცენტრალიზებული ქართული მონარქიის ძლიერების კულმინაცია, როდესაც მოხდა მთის „ქვეყნების“ საბოლოო პოლიტიკური დაქვემდებარება პატრონყმობის სახით და მათი ძლიერი ქრისტიანიზაცია, ჩრდილოეთ კავკასიის ჩათვლით.

სვანურ თქმულებებში მხოლოდ თამარ მეფის სახეა შემონახული. მათი წარმოდგენით, თამარი ღვთისმშობლის შემდეგ ყველა ქალთა შორის პირველია. იგი უკვდავია. მისი ადგილსამყოფელი უშგულის მიწისქვეშეთია, ღვთისმშობლის ეკლესიის ქვეშ, სადაც ქვევრში ზის და ხელში სანთელი უჭირავს... იგი ჩამოდის მესტიაში, სადაც ექვსი დღის განმავლობაში ღვთისმშობლის სახელზე ეკლესიებს აშენებს და თავის გემოვნებით რთავს (დიმიტრი ბაქრაძე, „სვანეთი“). ოსები კი თამარ მეფეს „მშვიდი“ და „წყნარი“ თამარის ეპითეტით მოიხსენებენ. სამეფო კარი (სახელმწიფო) მუდამ ზრუნავდა მთიელთა მოქცევაზე, მათ „კეთილად გარჯულვაზე“; „სულ ბოლოს ერეკლე მეფემ გაგვაქრისტიანაო“ (იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“).

მკვლევრები „დევ-კერპებში“ არა მარტო იდეოლოგიურ აზრს ხედავენ (ჯვრის რელიგიის გამარჯვება წარმართობაზე), არამედ კონკრეტულ ეთნიკურ შინაარს დებენ. მიღებული აზრით, „დევ-კერპებში“ იგულისხმება ჩრდილოკავკასიური მოსახლეობა, კონკრეტულად ვაინახები (ინგუშები, ჩეჩნები), ანუ ქართული ქრონიკების „კავკასიანები“ — ბაცბები, ღლიღვები, ქისტები, ნაწილობრივ ლეკები, რომლებიც ძველ დროში სახლობდნენ აქ და ქართველ მთიელთა წინაპრებისგან განსხვავებული იყვნენ ადათ-ჩვევებით. მოჰყავთ ასევე კონკრეტული ისტორიული ფაქტი საურმაგ მეფის (IV ს.) მიერ ისტორიული ფხოვის („დიდოეთიდან სვანეთამდე“) ტერიტორიაზე თავისი ნათესავების („დედულნი“), ძურძუკების (ჩეჩნების) ჩამოსახლების შესახებ. ცნობილია, რომ „დევ-კერპების“ ამოწყვეტასა და თავიანთი საზოგადოებების (საყმოების) დაარსებას აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები სწორედ წმინდა გიორგის უკავშირებენ, რომელსაც მიიჩნევენ თავიანთ პატრონად (ზურაბ კიკნაძე). წმინდა გიორგი კი ქართული ტრადიციით მიიჩნევა მეფეთა და ერის, იმავე მოლაშქრეთა მცველად.

საინტერესოა მოსაზრება მთიულეთისა (ხადა-ცხავატი) და გუდამაყრის მოსახლეობის შავშეთიდან მოსვლის შესახებ, რაც ასევე მითოსურ გადმოცემებს ეყრდნობა. ტოპონიმიკური მასალაც ადასტურებს აქ მოსახლეობის მიგრაციას სამხრეთიდან. ხანდო (მთიულეთის მოსაზღვრე კუთხის სახელწოდება),

ლაშარი

ლაშარის ჯვარი

სალოცავი ხატი დანოში (თუშეთი)

როგორც ტოპონიმი, გვხვდება ქართლშიც, კახეთშიც, ჯავახეთშიც. საგულისხმოა, რომ ჩრდილოეთ კავკასიელები ფშავ-ხევსურებს „მოსხებს“ უწოდებენ (ეპისკოპოსი ანანია). გვახსენდება მთიელთა საფერხულო ცეკვა „ქორბეღელა“, რომელიც ციხეს განასახიერებდა (ქორ ძველად რამდენიმესართულიანი სახლის აღმნიშვნელი ტერმინი იყო და ასეთ სახლებს მთაში ციხე-სახლებს უწოდებდნენ). ამავე სახელით (ქორბეღელა) ჯავახეთში ორი ციხე ყოფილა, სოფელ აბულთან და ფარავნის ტბასთან, რომელთაც წინაფეოდალური ხანით ათარიღებენ (დავით ბერძენიშვილი). გავიხსენოთ ზემოაღნიშნული მოსაზრებაც, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა საზოგადოებრივი სტრუქტურის, პატრონყმობის ბარიდან „ატანის“ შესახებ.

მთელ ქართლში სახელგანთქმული იყო თავგერის სასწაულმოქმედი წმინდა გიორგის ტაძარი. გადმოცემებით, ამ ტაძრის აღშენება მიეწერება ქართლის მეფე ფარსმან IV-ს (IV საუკუნის ბოლო), რომელსაც ცოლად ჰყოლია აფხაზთა მთავრის ასული; მას მზითვად მოჰყოლია წმინდა გიორგის მოჭედილი ხატი, წმინდა ნაწილებით. ამ ხატის საბრძანისად აუშენებიათ მთის წვერზე ეკლესია. ეს ადგილები (ლიახვის ხეობა) მეფეს საუფლისწულოდ გადაუცია თავისი გერისთვის (აქედან, ტოპონიმი გერი), ანუ მისი ცოლის შვილისთვის პირველი ქორწინებიდან (იულონ ლომოური). სხვა თქმულებით, წმინდა გიორგის სხეული, წამების შემდეგ ასო-ასო დაუნაწილებიათ, წმინდანის მკლავი და თავი გერში დაუმარხავთ, ამიტომ დაერქვა თავგერი (იულონ ლომოური). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით კი წმინდა გიორგის თავის ქალა გორიჯვრის ტაძარში ინახებოდა.

გორიჯვართან დაკავშირებულია კიდევ ერთი საინტერესო გადმოცემა. საკურთხევლის ჯვარი წმინდა გიორგის ნაწილებით, რომლის სიმაღლე 188 სანტიმეტრი იყო, გადმოცემით, ვახტანგ გორგასალმა გააკეთებინა და მისი დღესასწაულიც დააწესა. როცა ძლიერი მტერი მოვიდოდა, ამ ჯვარს ლაშქარს წინ წაუძღვარებდნენ ჯვარის მტვირთველნი და ყოველთვის მისი სასოებით ძლევას შეიმოსდნენო. ეს ჯვარი თავად ვახტანგ გორგასლის ტანის ზომისა ყოფილა. საქართველოს მეფეებიც გორიჯვარს შესთხოვდნენ თავდებობას და მეოხებასო (იოანე ბატონიშვილი). თავგერის წმინდა გიორგის მოძმეებად ითვლებოდა არბოს ჯვარი, ატოცისა და სარკის წმინდა გიორგი.

ცნობილია, რომ აფხაზეთი და სვანეთიც VII საუკუნემდე მაინც, ლაზიკის მეფეს ემორჩილებოდნენ. ამ კონტექსტში, საგულისხმოა

ერთი სვანური თქმულება, რომ ილორის სასწაულმოქმედი ხატი ვიბლიანების საგვარეულოს მოუტანია ჭანეთიდან (ისტორიულ ლაზიკაში შემავალი კუთხე). ვიბლიანები ჯერ ილორში დამკვიდრებულან და შემდეგ გადასულან სვანეთში. ვიბლიანების საგვარეულო გადმოცემით, წმინდა გიორგი მათი წინაპრის ნათესავი იყო (იხ. როინ მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ; 1982). ჰადიშის სალოცავს სვანეთში ჯგრაგ ჩანიშიშ, ანუ ჭანეთის წმინდა გიორგის ეძახდნენ, მის დღეობას კი „ლიჩანიშ“, იმავე ჭანეთობას (სერგი მაკალათია). ჰადიშის სალოცავი ითვლებოდა მამაკაცთა — „ქუდის დამხურავთა“ მფარველად, ამიტომ, მას „ქუდოსანს“ ეძახდნენო. მას შესთხოვდნენ ასევე ცხენთა და ჯორთა გამრავლებს, რასაც მკვლევარნი სამხედრო ბეგარას, ცენტრალურ ხელისუფლებასთან პატრონყმულ დამოკიდებულებასაც უკავშირებენ (ედიშერ ხოშტარია-ბროსე). ერთ-ერთ შეწირულ ჯვარზე ყოფილა წარწერა, „წმინდაო გიორგი ჩაინშისა, მეოხ ექმენ ცხენსა და ჯორსა ჩემსა“ (სერგი მაკალათია).

ცხენების მფარველობას ხახმატის წმინდა გიორგისაც (ხევსურეთი) შესთხოვდნენ. ხახმატში ქისტები და ლეკებიც მოდიოდნენ, ფაშატ ცხენებს მორეკავდნენ და წმინდანს გამარჯვებას შესთხოვდნენო (გიორგი ჩიტაია). გადმოცემით, ხახმატში ერეკლე მეფე ამოდიოდა და ხატის დარბაზში წმინდა გიორგის ებაასებოდა მომავალი ომის შესახებ (გიორგი ჩიტაია). ილორის სასწაულმოქმედ ხატს სვანეთში თავისი მოძმეებიც ჰყოლია, ლენჯერისა და ლატალის ჯგრაგები. სამეგრელოშიც არსებობდა თქმულებები წმინდა გიორგის ადგილობრივი, მეგრულ-ჭანური წარმომავლობის შესახებ (ცნობილია, რომ ლაზიკის სამეფოს ეგრისსაც უწოდებდნენ). ადგილობრივთა წარმოდგენით, „წმინდა გიორგი სამეგრელოში დაიბადა... ბრძოლაში სულ მუდამ თავში სდგომია მეგრელთა ჯარს. არ ყოფილა მაგალითი, მტერი არ გაქცეულიყო და მეგრელი შერცხვენილი დარჩენილიყო. ლხინში სუფრის თავში იჯდა და როგორც ღვინის სმაში, ისე სიმღერა-მოლხენაში სწორი და ბადალი არ ჰყოლია... ან რაში გნებავთ პირველი და თითით საჩვენებელი არ ყოფილიყო“ (იხ. თედო სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები). გადმოცემით, ილორის ტაძარში ვეება მშვილდი და ბორძალები (ისრები) ინახებოდა, რომლითაც წმინდა გიორგი უწმინდურ ძალას მუსრავდაო. ბოჭორმის (თიანეთი) წმინდა გიორგის ტაძარში კი გადმოცემით ტყვიის ბირთვები ინახებოდა, რომელთა ხელის ხლებას ვერავინ ბედავდა, მისი სიწმინდის გამო (დიმიტრი ბაქრაძე).

ამგვარ ისტორიულ-პოლიტიკურ ამბებს „ინახავს“ სახალხო მეხსიერება. მასში იკითხება სავსებით რეალური მოვლენებიც, თუმც კი მითოსის პრიზმაში გარდატეხილი...

გიორგი ჩინჩალაძე

შატილი. ხევსურეთი

მეცნიერება და ჟურნალისტიკა

...ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის გაგება-გააზრების მაგალითზე

ილიას მკვლელობის საქმე როგორც ცარისტული, ისე ბოლშევიკურ-კომუნისტური წეს-წყობილების ხანის გასამართლებისას ზერელედ, გამრუდებულად გამოიძიეს და შეაფასეს. საბჭოთა სისტემის გადაგება-გადაშენების შემდგომ თითქოს შეიქმნა სათანადო პირობები საკითხის ობიექტური, მეცნიერული შესწავლისთვის, მაგრამ თავი იჩინა რიგმა გაუგებრობებმა. თუ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი დამნაშავედ მიიჩნევს ქართველ სოციალ-დემოკრატებს, განსაკუთრებით მათ რადიკალურ მიმდინარეობას — ბოლშევიკებს, მეორენი ამტკიცებენ, რომ ბინძურ ქმედებაში მონაწილეობდა მეფის რუსეთის ხელისუფლებაც, ოხრანკა-ჟანდარმერიის სახით. დავა მიდის „ვინმე იმერელის“ ვინაობის დადგენის თაობაზეც. ცხადია, აზრთა დაპირისპირებას ადგილი აქვს მეცნიერების დონეზე, ისტორიოგრაფიაში.

პრობლემატური საკითხის გარკვევა სცადეს ჟურნალისტებმაც. 2010 წელს, თვეების

ილიას გამოსვენება სიონის ტაძრიდან 1907 წლის 9 სექტემბერს

ილია ჭავჭავაძის ბიუსტი საგურამოს სახლ-მუზეუმში

განმავლობაში, გაზეთმა „24 საათმა“ სერიალის სახით დაბეჭდა მკვლევარ ნოდარ გრიგალაშვილის კრებული „თანამდევი სული“. ამდენად, ჩანს, რედაქცია იზიარებდა ავტორისეულ თვალსაზრისს „ვინმე იმერელის“ იდენტიფიკაციაზე, ე.ი. ვითომდაც იგი იყო მცხეთელი ბანდიტი ილიკო იმერლიშვილი. ამ ვერსიის გამაბათილებელი ჩემი სტატია კი გაზეთმა არ გამოაქვეყნა, რითაც გამოჩნდა, რომ საკითხის სერიოზული, საფუძვლიანი გაგება რედაქციას არ აინტერესებდა.

მსგავს მოსაზრებას ჩვენი ჟურნალ-გაზეთები კვლავაც უწევს პროპაგანდას. არად დაგიდევენ იმ ამბავს, რომ, ვიმეორებთ, მკვლევართა ერთი ნაწილი (ენვერ გოგუაძე, გივი ჟორდანია და ტარიელ სართანია) უფრო ლოგიკურად, სარწმუნოდ მიიჩნევენ დიდი ქართველის მკვლელობის საქმის გადაწყვეტას სოფელ ბახვში შემდგარ საიდუმლო კრებაზე. აქედან გამომდინარე, მეოთხე მკვლელად, „ვინმე იმერელად“ ასახელებენ ერმილე დოლიძეს. უფრო დიდი ნაწილის მიხედვით კი (ალექსანდრე სიგუა, ვახტანგ გურგენიძე, გურამ ყორანაშვილი და სხვ.) „ვინმე იმერელი“ სერგო ორჯონიკიძე იყო. რასაკვირველია, ორივე მხარეს აქვს სათანადო არგუმენტაცია.

რაკი ჩვენმა ჟურნალისტებმა მოინდომეს ამ სერიოზული პრობლემის გარკვევაში მონა-

წილეობის მიღება, მათ უნდა გაეთვალისწინებინათ აღნიშნული პოზიციები, შესაბამისი არგუმენტები. სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა არც ერთი ჟურნალისტი, რომელიც შეეცდებოდა სერიოზულად გარკვეულიყო პრობლემის შესწავლის მდგომარეობაში. თანაც, დღევანდელ ჟურნალისტიკაში შექმნილი ტენდენციისამებრ, ისინი უმთავრესად სენსაციით არიან დაკავებული და მარტოოდენ მკვლელობის მეოთხე დამნაშავის ძიებით გართული. მათ ირწმუნეს, რომ „ვინმე იმერელი“ სწორედ ილიკო იმერლიშვილი იყო, მაგრამ ამ მოსაზრების გამამყარებელ არგუმენტებს ეს ჟურნალისტები, ისევე როგორც მრავალი მკვლევრები, ყურად არ იღებენ. ამ შემთხვევაში ნამდვილი, საფუძვლიანი პოლემიკა გამორიცხულია.

ასე მგონია, ვინმემ რომ დაიწყოს მტკიცება, ილია მოკლეს სომეხმა დაშნაკებმაო, ვფიქრობთ, ზოგიერთი ჟურნალისტი დიდი ენთუზიაზმით აიტაცებს ამ ვერსიასაც.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით გადაიღეს საგანგებო ტელეფილმი, მიძღვნილი დიდი ქართველის მკვლელობისადმი. ავტორები დიდი რიხით გვიმტკიცებენ, რომ ამ ტელეოპუსის შექმნისას ეყრდნობოდნენ ახალ საარქივო მასალას. მაგრამ გამოჩნდა, რომ მსგავსი „სიახლენი“ ბლეფია, ახმიანებენ რა არარსებულ საისტორიო წყაროებსა და ფაქტებს. ამასთანავე, თუ ერთი მთხრობლის თანახმად, ილიას მკვლელთგანი იყო ინკოგნიტო კილერი, ვისი გვარ-სახელი ტელეფილმის ავტორთათვისაც უცნობია, მეორე მთხრობლის შეხედულებით, იგი იყო ილიკო იმერლიშვილი. ტელეოპუსში გვხვდება სხვა მცდარი წარმოდგენებიც. აღნიშნული ტელეფილმი რამდენჯერმე აჩვენა ტელეკომპანია „იმედმა“. თავის მხრივ, „ერთსულოვნებამაც“ გაახმიანა მსგავსი პოზიცია.

პრობლემას ოდნავ მაინც მეცნიერულად რომ მივუდგეთ, ასეთი პოზიცია არასაფუძვლიანად გამოჩნდება, ამდენად, გაბიაბრუებულია ქართველთათვის მტკივნეული და ამასთანავე, საინტერესო საკითხიც.

ვფიქრობთ, ჩვენს რეპლიკაში წამოჭრილი საკითხი ტიპური მაგალითია ჟურნალისტიკაში შექმნილი ვითარებისა, სერიოზული სამეცნიერო საკითხების გაშუქების მხრივ. ჩვენს საზოგადოებრიობას უთუოდ მართებს ამ გარემოებაში გარკვევა.

გურამ ყორანაშვილი

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

(ზემოთ) ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, (ქვემოთ) სახლ-მუზეუმის ექსპონატი

ბაბისტიონთა საბვაჰეულოს მატიანე

ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ შესანიშნავი საჩუქარი მიიღო — ამ ცოტა ხნის წინ, ორ ტომად გამოიცა ნაშრომი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიისა და მისი გვერდითი განშტოებების შესახებ. პირველი ტომის სახელწოდებაა: „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტია და მისი განშტოებები“, ხოლო მეორე ტომისა: „ბაგრატიონები. საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია“. ნაშრომს ერთვის სათანადო საილუსტრაციო მასალა და გენეალოგიური ნუსხები.

ორტომეულის ავტორია დინასტიური კავშირის „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი იოსებ ბიჭიკაშვილი, სამეცნიერო რედაქტორი — აკადემიკოსი რაულ ჩაგუნავა, ხოლო რეცენზენტი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკო ჯაგახიშვილი.

პირველი ტომი წარმოადგენს საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო დინასტიისა (სამეფო შტოს) და მისი თავადური განშტოებების: ბაგრატიონ-ბაბადიშების, ბაგრატიონ-დავითიშვილების, ბაგრატიონ-მუხრანელების, ბაგრატიონ-გორჩაშვილების, იმერეთის ბაგრატიონებისა და აზნაურ ბაგრატიონ-დავითიშვილთა ისტორიულ-გენეალოგიურ გამოკვლევას. ნაშრომი ეფუძნება საარქივო, წერილობითი წყაროების ცნობებსა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებს.

ბაგრატიონთა მატიანე გადმოცემულია საქართველოს ისტორიის ძირითადი მოვლენების ფონზე. ტომი მდიდრულად არის ილუსტრირებული, როგორც ქართველ მეფე-დედოფალთა და მათ პირდაპირ მემკვიდრეთა გამოსახულებებით, ასევე საგვარეულოს სხვადასხვა შტოს შთამომავალთა პორტრეტებით, რომლებიც წარმოდგენილია ბარელიეფური გამოსახულებების, ფრესკული ნახატების, ფერწერული სურათებისა და XIX-XXI საუკუნეების ფოტომასალით. წიგნში მოყვანილია ბაგრატიონთა სამეფო რეგალიების, დროშების, გერბების, მონეტების, მეფეთა მიერ გაცემული სიგელებისა და მათი ხელრთვების სურათები. ნაშრომს დართულ 16 დანართში წარმოდგენილია ახალი, ნაკლებად ცნობილი ან აქამდე გამოუქვეყნებელი ცნობები ბაგრატიონთა შესახებ. მათ შორის არის მეფე გიორგი XII-ის ვაჟის, თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ შემონახული ძვირფასი ცნობები, რომელშიც დაწვრილებითაა მოთხრობილი მეფეების — ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის შვილებისა და შვილიშვილების შესახებ.

სიახლეა ასევე, თვით ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელთა მიერ XIX საუკუნეში შედგენილი გენეალოგიური ნუსხები. ზოგიერთი დანართი ეძღვნება ახალ ცნობებს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. მოყვანილია სუმბატ დავითის ძის „ცხოვრებაჲ

და უწყებაᲐ ბაგრატონიანთას“ ახალი შესწორებული ტექსტი. სამეცნიერო სიახლეა IX დანართში მოყვანილი ნაშრომი სათაურით — „ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გენეალოგიის დაზუსტებისთვის (XV ს.)“. ამ სტატიაში ავტორი, სათანადო წყაროებზე დაყრდნობით, არგუმენტირებულად ასკვნის ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის წარმომავლობას (მეფე კონსტანტინეს საკითხი ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დაუზუსტებელი რჩებოდა), რითაც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გენეალოგიას, კერძოდ XV ს.-ის მონაკვეთს, მეცნიერულად აზუსტებს. აქვე წარმოდგენილია ბიბლიოგრაფია ბაგრატიონთა შესახებ.

მეორე ტომი წარმოადგენს საქართველოს სამეფო დინასტიის (სამეფო ხაზის) და მისი თავადური განშტოებების: ბაგრატიონ-ბაბადიშთა, ბაგრატიონ-დავითიშვილთა, ბაგრატიონ-მუხრანელთა, ბაგრატიონ-გოჩაშვილთა, იმერეთის ბაგრატიონთა და აზნაურ ბაგრატიონ-დავითიშვილთა ისტორიულ-გენეალოგიურ კვლევას. მას ახლავს 27 გენეალოგიური ნუსხა.

ნაშრომი ეფუძნება წერილობითი (და მათ შორის საარქივო) წყაროების ცნობებსა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებს. მოყვანილია ბაგრატიონთა საგვარეულოს თითოეულ წარმომადგენელზე არსებული ბიბლიოგრაფიული ცნობები, დაწყებული ადარნასე ბაგრატიონიდან (VIII ს.) — დღევანდელობამდე. ბაგრატოვან ხელმწიფეთა ნუსხა იწყება აშოტ I ადარნასეს ძიდან (გარდაიცვალა 826 წელს) და თავდება ქართლ-კახეთის უკანასკნელი მონარქით – გრიგოლ I-ით

გრიგოლ I, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე

(1789-1830), რომელიც 1812 წლის ანტიიმპერიული სახალხო აჯანყებისას მეფედ გამოაცხადეს და თებერვალ-მარტში მეფობდა. აქვე დავძენთ, რომ გრიგოლ ბაგრატიონი გახლდათ შვილთაშვილი ერეკლე II-ისა, შვილიშვილი გიორგი XII-ისა და ერთადერთი ვაჟი უფლისწულ იოანესი, რომელიც იყო მომდევნო ძმა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრისა, უშვილოდ გადაგებული დავით ბატონიშვილისა.

ეს სოლიდური ორტომიანი ნაშრომი საყურადღებოა როგორც სპეციალისტებისთვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისთვის.

„ისტორიანის“ რედკოლეგია

ფრაგმენტი ნაშრომის გენეალოგიური ნაწილიდან



ავტომობილების ჟურნალი

Auto Bild
საქართველო

ჟურნალი AUTO BILD
საქართველო წარმოგიდგენთ

იხილეთ სტატია სრულად ჟურნალ
„AUTO BILD საქართველოს“ მარტის ნომერში

LOVE ME TENDER

ელვისის იმიტატორ სვენ ფრანც ფონ ბიულოვის Mercedes 206 D, რომელიც 1974 წელსაა გამოშვებული

საკბეჩი კბილი ჩამოტეხილი რომ აქვს, ამაში მიკროფონია დამნაშავე. გერმანელმა „ელვისმა“ ერთ მშვენიერ საღამოს გადაამეტა და მიკროფონს ზედმეტად მაგრად დაეჯახა. ნამეტანი არაფერი ვარგა - არც როკენ-როლი.

„ჰო, ზუსტად ისე შემემთხვა, როგორც თავის დროზე დიდ მეფეს,“ - მეუბნება ელვისი, რომელსაც ელვისი სულაც არ ჰქვია. მისი სახელი და გვარია სვენ ფრანც ფონ ბიულოვი. ელვის პრესლი კი (1935-1977) მისი იდეალი და მისი როლია, რითაც სვენი სხვადასხვა ფესტივალებზე, კორპორატიულ ღონისძიებებზე, წვეულებებზე და დაბადების დღეებზე ფულს შოულობს. ჩაალაგებს ხოლმე საელვისე წითელ ჩემოდანს, მიუჯდება ამ ავტობუსის საჭეს და დადის ყველგან, სადაც მოუთმენლად მოელიან. ხშირად შვედეთშიც უწევს ჩასვლა - იმდენად ხშირად, რომ იქ ბინაც კი იყიდა.

„ზამთარი ჰამბურგშიც დიდთოვლიანი იცის და მით უმეტეს შვედეთშიც. ამიტომაც ვეძებდი ტევად ავტომობილს წინა ამძრავით,“ - ამბობს 49 წლის გერმანელი ელვისი და კითხვაზე, რატომ არ იყიდა ახალი მანქანა, ასე პასუხობს: „ელვისს ძველი მანქანა უნდა ჰყავდეს, ახალი არანაირად არ შეეფერება!“

Mercedes L 206 D

ძრავა: 4-ცილინდრიანი დიზელი (OM 615); მოცულობა: 2197 სმ³; სიმძლავრე: 44 კვტ (60 ცხ. ძ) 4200 ბრ/წთ; მაბრუნი მომენტი: 126 ნმ/2400; მაქს. სიჩქარე: 105 კმ/სთ; გადაცემათა კოლოფი: 4-საფეხურიანი; ამძრავი: წინა; ავზის მოცულობა: 60 ლიტრი; სიგრძე/სიგანე/სიმაღლე: 4500/1820/2000 მმ; წონა: 1570 კგ; საწვავის ხარჯი: 10 ლ. დიზელი/100 კმ; ფასი: 14 000 გერმანული მარკა (1973 წელს)

ტერაქტი ტერაქტის წინააღმდეგ

მიხაილ ზიგარის „კრემლის ლაშქარი“ — თანამედროვე რუსეთის მოკლე ისტორია

(დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №№67-73)

НТВ-ს მიტაცება დღემდე მიჩნეულია რუსეთში პრესის თავისუფლებაზე შეტევის ერთ-ერთ ყველაზე შავბნელ სიმბოლოდ. თუმცა იმ მომენტში ასე სულაც არ ჩანდა. НТВ-ს მხარდასაჭერად მრავალათასიანი მიტინგები იმართებოდა, მაგრამ ამ მიტინგებზე მხოლოდ ხანში შესული ინტელიგენტები დადიოდნენ. ახალგაზრდა და წარმატებული საშუალო კლასი ტელეარხის ბედისადმი გულგრილი რჩებოდა. ლიბერალთა მრავალი ლიდერი (რომელთაც მაშინდელ სახელმწიფო სათათბიროში ფრაქციაც კი ჰქონდათ) კონფლიქტში „გაზპრომის“ მხარეს იყო, რადგან მათთვის გუსინსკისა და НТВ-ს წინა არჩევნებზე პრიმაკოვ-ლუჟკოვის გუნდის მხარდაჭერა ვერ ეპატიებინათ.

კომპანიის წართმევის მეთოდები საკმაოდ ბინძური იყო. დაკითხვაზე დაიბარეს НТВ-ზე ახალი ამბების ყველაზე ცნობილი წამყვანი, შეუპოვარი და მგზნებარე ჟურნალისტი ტატიანა მიტკოვა, რათა გაერკვიათ, როგორ მიიღო მან კრედიტი ბინის შესაძენად. პასუხად კოლეგამ, პოპულარული ტოკ-შოუს წამყვანმა სვეტლანა სოროკინამ ღია ეთერიდან პუტინს მიმართა. მისი ემოციური გამოსვლიდან ორიოდე წუთის შემდეგ, არხზე პრეზიდენტმა დარეკა და ჟურნალისტები კრემლში სასაუბროდ მიიწვია. მაგრამ ვერავითარი დიალოგი საქმეს ვეღარ შველოდა.

გუსინსკიმ დახმარება ვერც საზღვარგარეთიდან მიიღო: იგი თავისი წილის გაყიდვის შესახებ მოლაპარაკებებს წარმართავდა CNN-ის დამფუძნებელ ტედ ტერნერთან, მაგრამ საქმის დასრულება ვერ მოასწრო. 2001 წლის 13-14 აპრილის ღამეს „გაზპრომის“ წარმომადგენლებმა შეცვალეს დაცვა НТВ-ის სტუდიაში და ჟურნალისტებს აღარ უშვებდნენ — მთავარი რედაქტორის, ევგენი კისელიოვის ჩათვლით. თანამშრომელთა ნაწილმა (მათ შორის, ტატიანა მიტკოვამაც) არხზე დარჩენა და გაზპრომელი მენეჯერების ხელმძღვანელობით მუშაობა გადაწყვიტა. ათი წლის შემდეგ კი ტატიანა მიტკოვა სახელმწიფო პროპაგანდის ერთ-ერთი სიმბოლო გახდა.

გუსინსკისადმი ლოიალური გუნდი ეთერს ჩამოაშორეს, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ იგი ბორის ბერეზოვსკიმ შეიკედლა, რომელსაც ОРТ-ს გაყიდვის შემდეგ კიდევ რჩებოდა ერთი მსხვილი ტელეარხი — ТВ-6. მან დაითხოვა არხის კოლექტივი და იქ მუშაობა НТВ-ს ლეგენდარულ გუნდს შესთავაზა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ТВ-6-იც დახურეს ერთობ მიმსგავსებული სქემით, ოღონდ კრედიტორი იყო არა სახელმწიფო გაზის კომპანია „გაზპრომი“, არამედ კერძო ნავთობკომპანია „ლუკოილი“.

სკანდალის ჩასაქრობად ვოლოშინმა წინადადება წამოაყენა, „ჟურნალისტთა უნიკალური კოლექტივისთვის“, ევგენი კისელიოვის ხელმძღვანელობით, კიდევ ერთი შანსი მიეცათ. რუსეთის უმსხვილეს ოლიგარქთა ათკაციანმა გუნდმა ფული შეაგროვა, რათა დაქცეული НТВ-სა და ТВ-6-ის ნაცვლად შეექმნათ ახალი არხი, რომელიც არ იქნებოდა არც გუსინსკისა და არც ბერეზოვსკის გავლენის ქვეშ, და მასზე კონტროლი არც ერთ მათგანს არ ექნებოდა. აშკარად დაცინვისთვის, ვოლოშინმა ახალი თავისუფალი ტელეარხის დამკვირვებელთა საბჭოს ხელმძღვანელად ევგენი პრიმაკოვი დანიშნა. მისი ლოგიკა ასეთი იყო: ხომ სურდათ, პრიმაკოვი პრეზიდენტი გამხდარიყო, ჰოდა, მათ უხელმძღვანელოს კიდეცო. მაგრამ ამ ახალმა არხმა — ТВС-მ მხოლოდ ერთ წელიწადს, 2002-დან 2003 წლამდე იმუშავა. თანამესაკუთრენი ერთმანეთს დაერივნენ, დაიწყეს ურთიერთის წილების შეძენა, რის შემდეგაც პრეზიდენტის ადმინისტრაციამ არხის გამორთვა გადაწყვიტა. იმ დროისთვის არხი მაყურებლის განსაკუთრებულ ინტერესს აღარც იწვევდა.

მაშინ, როცა ბერეზოვსკი НТВ-ს ჟურნალისტებს გამოესარჩლა, იგი ჯერ კიდევ არ იძებნებოდა. სამაგიეროდ, მოსკოვში დააპატიმრეს მისი უახლოესი მეგობარი ნიკოლაი გლუშკოვი, რომელსაც „აეროფლოტის“ სახსრების დატაცებაში ადანაშაულებდნენ (ბერეზოვსკი კომპანიის აქციონერი იყო). მოგვიანებით ბერეზოვსკი ირწმუნებოდა, რომ გლუშკოვი იყო მძევალი და მასზე ზეწოლის ინსტრუმენტი. 2001 წლის შემოდგომისთვის ბერეზოვსკისაც მიადგნენ.

სექტემბერში გენერალურმა პროკურატურამ ბრალდება დაუსწრებლად წაუყენა თაღლითობისა და ფულის გათეთრების ხელშეწყობაში. ერთ თვეში მან გაერთიანებულ სამეფოში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. ბრიტანეთის მთავრობა პასუხს უგვიანებდა. რამდენიმე დღით ადრე, 11 სექტემბერს მსოფლიო ტერაქტებმა შეარყიეს და რუსეთი და ბრიტანეთი მხარდამხარ იდგნენ საერთაშორისო ტერორიზმთან მებრძოლთა რიგში.

გაქცეული ოლიგარქი კი ბრძოლას განაგრძობდა. 2002 წლის დასაწყისში მისი დაფინანსებით დიდ ბრიტანეთში გამოქვეყნდა წიგნი „უსაფრთხოების ფედერალური სამსახური აფეთქებს რუსეთს“. ამ წიგნის მოტივების მიხედვით გადაიღეს აგრეთვე ფილმი „თავდასხმა რუსეთზე“. ფილმისა და წიგნის ავტორები იყვნენ ბერეზოვსკის უახლოესი თანამებრძოლები (ერთ-ერთი გახლდათ დაზვერვის ყოფილი ოფიცერი ალექსანდრ ლიტვინენკო). ორივე ნაწარმოებში წამოყენებული იყო კონსპიროლოგიური ვერსია, რომლის თანახმადაც, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში 1999 წლის შემოდგომაზე სახლები ააფეთქა უსაფრთხოების ფედერალურმა დეპარტამენტმა და არა ჩეჩენმა ტერორისტებმა. აფეთქებები მიზნად ისახავდა პუტინის პოპულარობის ზრდას, რომელიც ამ დროს პრემიერ-მინისტრად იყო დანიშნული. იქმნებოდა ტერორიზმთან მებრძოლი პუტინის იმიჯი.

უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის დადანაშაულების შემდეგ შეტევა ბერეზოვსკიზე გაძლიერდა. მისი არხი ТВ-6 სწორედ წიგნისა და ფილმის მომზადების დამაგვირგვინებელ სტადიაზე დაიხურა. 2002 წლის აგვისტოში ბერეზოვსკის წინააღმდეგ ახალი ბრალდებები გაისმა. ოქტომბერში იგი საერთაშორისო ძებნილად გამოაცხადეს. რუსი მოხელეები დარწმუნებული იყვნენ, რომ ბრიტანეთი მალე გადმოსცემდა მათ ბერეზოვსკის, თუმცა მოსკოვსა და ლონდონს შორის პოლიტიკური სიახლოვე აღარ არსებობდა. ერაყის ომმა ისინი

ევგენი კისელიოვი და ვლადიმირ გუსინსკი

НТВ-ზე ახალი ამბების ყველაზე ცნობილი წამყვანი, შეუპოვარი ჟურნალისტი ტატიანა მიტკოვა საბოლოოდ სახელმწიფო პროპაგანდის ერთ-ერთ სიმბოლოდ გადაიქცა

სხვადასხვა ბანაკში მოახვედრა. თუმცა ტონი ბლერი და მისი მთავრობა მაინც ცდილობდნენ, რუსეთთან ურთიერთობა არ გაეუარესებინათ. 2003 წლის 2 აპრილს, ბაღდადის შტურმის წინა დღეს, ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი უთხრა ბერეზოვსკის პოლიტიკურ თავშესაფარზე. ექსტრადიციის საკითხი სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა. სხდომის შემდეგ ექსცენტრიკული ბერეზოვსკი წარდგა პუტინის ნიღბით ფოტოგრაფების წინაშე და განაცხადა: „ახლა შეგიძლიათ ვლადიმირ ვლადიმიროვიჩი მიწოდოთ“.

2003 წლის აგვისტოში, სანამ ბერეზოვსკი ლონდონში დარჩენის უფლებისთვის იბრძოდა, რუსეთის პროკურატურამ სასიამოვნო ცნობა მიიღო ათენიდან. აეროპორტ „ელეფტერიოს ვენიზელოსში“ ვლადიმირ გუსინსკი დააკავეს. მას შემდეგ, რაც იგი ესპანეთის სასამართლომ გაათავისუფლა, რუსეთში ახალი ბრალდებები წაუყენეს და კვლავ საერთაშორისო ძებნილად გამოცხადდა. საბერძნეთის პოლიციამ იგი საქალაქო ციხეში მოათავსა. ამდენად, რუსეთისთვის მისი გადაცემის შანსი საკმაოდ მაღალი იყო. გაცილებით მაღალი, ვიდრე ესპანეთიდან.

ნორდ-ოსტი

ვლადიმირ პუტინის პრეზიდენტობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საშინელი დღე გახდა 2002 წლის 23 ოქტომბერი. იმ საღამოს ტერორისტთა ჯგუფმა ხელთ იგდო თეატრალური ცენტრი მოსკოვში — იმ მომენტში საყვარელი დარბაზში აჩვენებდნენ მიუზიკლ „ნორდ-ოსტს“. მძევლად აღმოჩნდა 850-მდე კაცი. ეს მოვლენა პუტინმა კატასტროფად აღიქვა — ომი, რომლის დამთავრებასაც იგი სამი წლის წინ დაჰპირდა ხალხს, არათუ არ დასრულებულა, არამედ კვლავ მობრუნდა მოსკოვში. დაბნეული კი არ იყო, არამედ დარწმუნებული, რომ ეს მისი პოლიტიკური კარიერის დასასრულია! პუტინის ერთ-ერთი ნაცნობი მის მდგომარეობას ადარებს სტალინის ქცევას 1941 წლის ივნისში. ცნობილია, რომ როცა გერმანელებმა მინსკი თითქმის უბრძოლველად აიღეს, სტალინი სასოწარკვეთამ მოიცვა, მოსკოვთან ახლოს აგარაკზე წავიდა და ორ დღეს არ გამოჩენილა. როცა პოლიტბიუროს წევრებმა ჩააკითხეს და მოსკოვში დაბრუნება სთხოვეს ომის დროს ქვეყნის მართვის ახალი ორგანოს შესაქმნელად (როგორც ა. მიქოიანი იგონებს), „იგი სავარძელში მოიკუნტა“, თითქოს ელოდებოდა, რომ მის დასაჭერად უნდა მისულიყვნენ.

პუტინი, რასაკვირველია, არსად გაქცეულა, მაგრამ დარწმუნებული იყო, საზოგადოება არასდროს აპატიებდა ტერორისტების მოსკოვზე თავდასხმას. უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის უფროსი ნიკოლაი

პატრუშევი გაცილებით მშვიდად გამოიყურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული ჩეჩნების მოსკოვში თავისუფლად მოძრაობა უპირველესად, მისი უწყების მარცხი იყო.

მაგრამ „ნორდ-ოსტის“ ოპერაციას არავითარი პოლიტიკური შედეგი არ მოჰყოლია. სამი დღის შემდეგ სპეცსამსახურებმა იერიში მიიტანეს და თეატრალური ცენტრი აიღეს. დარბაზში შეუშვეს დამაძინებელი აირი, ყველა შიგნით მყოფს დაეძინა. სხვადასხვა მონაცემით, ოპერაციის შედეგად 130-დან 175 კაცამდე დაიღუპა, უმეტესობა იმიტომ, რომ სამედიცინო დახმარება დროულად არ აღმოუჩინეს. უგონოდ მყოფ მძევლებს ავტობუსებში ყრიდნენ, ბევრი მათგანი აირს კი არ ემსხვერპლა, არამედ გაიჭყლიტა ან პირღებინების გამო დაიხრჩო.

შტურმის დროს ყველა ტერორისტი დახვრიტეს. სასამართლოზე დასაკითხი არავინ აღმოჩნდა. სამუდამოდ უცნობი დარჩა, როგორ ამზადებდნენ შენობის დაკავებას.

ნახევარი წლის შემდეგ ჟურნალისტმა ანა პოლიტკოვსკაიამ გამოაქვეყნა ინტერვიუ პირთან, რომელიც საკუთარ თავს ტერორისტთა იმ ჯგუფის ერთ-ერთ მონაწილეს უწოდებდა, რომელთაც თეატრალური ცენტრი დაიკავეს. მისი სიტყვებით, ის იყო ჩეჩენი, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლებმა გადაიბირეს. ინტერვიუში ნათქვამია, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა წინასწარ იცოდნენ მოსკოვში ტერაქტის მზადების შესახებ. იმის გამორკვევა, რამდენად სამართლიანია ეს ვერსია, დიდი ალბათობით, უკვე შეუძლებელია, რადგან პოლიტკოვსკაიას პუბლიკაციის პერსონაჟი მალევე დაიღუპა ავტოკატასტროფაში. ანა პოლიტკოვკაია კი 2006 წელს მოკლეს.

ტერაქტის გამო დასჯილი მხოლოდ ჟურნალისტები აღმოჩნდნენ: ტელეარხ НТВ-ს ხელმძღვანელობა კვლავ შეიცვალა. გენერალური დირექტორი ბორის იორდანი, რუსული წარმოშობის ამერიკელი, რომელიც წელიწადნახევრის წინ გუსინსკისთვის ტელეარხის წართმევაში ეხმარებოდათ, სამსახურიდან დაითხოვეს. პუტინმა იგი დაადანაშაულა „თანამოქალაქეთა სისხლზე ხეირის ნახვის სურვილში, თუ რასაკვირველია, მათ თავის თანამოქალაქეებად მიიჩნევდნენ“. იორდანის დანაშაული პირდაპირ ეთერში შენობის შტურმის ვითომდა ჩვენება იყო (თუმცა НТВ-ს თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ ასეთი ტრანსლაცია არ ყოფილა).

იმ სპეცსამსახურების ხელმძღვანელები, რომლებიც მძევალთა განთავისუფლების ოპერაციას უწევდნენ ორგანიზებას, სახელმწიფო ჯილდოებზე წარადგინეს, ხოლო პატრუშევის პირველი მოადგილე, რომელიც შტაბს ხელმძღვანელობდა, რუსეთის გმირი გახდა.

აირის ფორმულა, რომელიც თეატრალურ ცენტრში გამოიყენეს, დღემდე გასაიდუმლოებულია. ყოფილი მძევლები მრავალი წელია უჩივიან რუსეთს სხვადასხვა ინსტანციაში, მათ შორის სტრასბურგის სასამართლოშიც, მაგრამ სახელმწიფო უარს ამბობს გამოყენებული აირის შედგენილობის გასაჯაროებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია ექიმებს დაზარალებულთა მკურნალობაში დაეხმარებოდა.

სამეფო ქორწილი

2003 წლის 24 ივნისს ვლადიმირ პუტინი ჩაფრინდა ლონდონის აეროპორტ „ჰიტროუში“ მეუღლე ლუდმილასთან ერთად. აეროპორტში მას პრინცი ჩარლზი შეხვდა. ისინი ერთად გაემართნენ სასტუმრო „ჰორსგარდში“, სადაც დედოფალი ელიზაბეთ II ელოდათ. ეს იყო არა უბრალო, არამედ სახელმწიფო ვიზიტი, მაქსიმალურად შესაძლო სტატუსით, რომელსაც ახლავს დიდებული

ბორის ბერეზოვსკი პუტინის ნიღბით. ლონდონი. 2003 წ.



დედოფალი ელიზაბეთ II და ვლადიმირ პუტინი

მიღება და უმაღლესი პატივი. „სახელმწიფო ვიზიტი — ეს მაქსიმალური კომპლიმენტია, რომელსაც ერთი ქვეყანა ავლენს მეორისადმი, — ასე უხსნიდა ვიზიტის მნიშვნელობას ჟურნალისტებს ტონი ბლერი, რომელმაც პუტინი მიიწვია, — ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის არასდროს ყოფილა ასეთი კარგი“. ნამდვილად, ეს გახლდათ რუსეთის სახელმწიფო მეთაურის პირველი ვიზიტი გაერთიანებულ სამეფოში 1896 წლის შემდეგ, როცა უკანასკნელი მეფე ნიკოლოზ II, რუსეთის ისტორიაში მთავარი მეფე-რეფორმატორი, დედოფალ ვიქტორიას ესტუმრა.

მაგრამ დათქმულ დროს პუტინი არ მოვიდა — პრინც ჩარლზთან ერთად საცობში მოხვდა. დედოფალი 14 წუთს ელოდა. ეს არნახული დიპლომატიური სკანდალი გახლდათ, თუნდაც ვლადიმირ პუტინის ნების საწინააღმდეგოდ მომხდარი. დედოფალმა დაგვიანება აპატია და შემდგომ ცერემონიამ უზადოდ ჩაიარა. ერთი ეკიპაჟით პუტინი და ელიზაბეთ II გაემგზავრნენ ბუკინგემის სასახლეში, მეორე ეკიპაჟში ისხდნენ ლუდმილა პუტინა და ედინბურგის ჰერცოგი, მესამეში — ტახტის მემკვიდრე პრინცი ჩარლზი და ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინი, რომელიც აშკარად არ გახლდათ არავის მემკვიდრე.

საღამოს დედოფალმა გამართა მიღება პუტინების პატივსაცემად, რომლებიც სწორედ ბუკინგემის სასახლეში დააბინავეს. რუსეთის მმართველ წყვილს აჩვენეს ვესტმინსტერის სააბატო და ტაუერი. პრეზიდენტი შეხვდა ბრიტანეთის სამი უმსხვილესი პარტიის ლიდერებს, ერთი დღით გაფრინდა ედინბურგში, სადაც საუბარი გამართა შოტლანდიის ინტელექტუალურ ელიტასთან.

„რუსეთი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ევროპის ნაწილია, — განუცხადა პუტინმა შოტლანდიელ ინტელექტუალებს, — ევროპა გრძელდება ურალის მთების იქითაც, რადგან ის ხალხი, ვინც შორეულ აღმოსავლეთში ცხოვრობს, მცირედით თუ განსხვავდებიან რუსეთის იმ მოქალაქეებისგან, რომლებიც ევროპულ ნაწილში ცხოვრობენ. ეს, მართლაც კარგი პოტენციალია ევროპის მომავალი განვითარებისთვის, მაგრამ დღეს რეალური მიზნები უნდა დავისახოთ. როგორც მინიმუმი, ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ევროპაში არ გაჩნდეს ახალი დამყოფი ხაზები, ხალხს რომ ურთიერთობის შესაძლებლობა ჰქონდეს, რათა შენგენის ზონის წესები არ აღიქმებოდეს როგორც რაღაც ბერლინის კედლის მსგავსი,

რომელიც ევროპას ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ყოფდა. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა რუსეთი და ევროპა ეხმარებოდნენ ერთმანეთს ჰარმონიულ და სტაბილურ განვითარებაში. ურთიერთდაინტერესებული ვართ, რადგან ეკონომიკის სტრუქტურითაც კი რუსეთი და ევროპა ხელსაყრელად ავსებენ ერთმანეთს“. აუდიტორია აპლოდისმენტებით აჯილდოებდა მას.

მაგრამ ამ ვიზიტის მთავარი შედეგი გახდა გარღვევა ეკონომიკურ თანამშრომლობაში. პრეზიდენტმა პუტინმა და პრემიერმა ბლერმა გამართეს ენერგეტიკული კონფერენცია, რომლის დროსაც რამდენიმე ეპოქალური განცხადება გაკეთდა. ჯერ ერთი, ორი ლიდერის თანდასწრებით, BP-ის ხელმძღვანელმა ლორდმა ჯონ ბრაუნმა და რუსეთის „ტიუმენის ნავთობის კომპანიის“ (THK) მფლობელმა მიხაილ ფრიდმანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუსეთ-ბრიტანეთის კომპანია THK-BP-ის შექმნის შესახებ. ბრიტანული ნავთობგიგანტი რუსული კომპანიის 50%-ს ყიდულობდა (რაც შესაძლებლობას აძლევდა, გამხდარიყო მსოფლიოში სიდიდით მეორე კომპანია და თავისი მუდმივი კონკურენტისთვის, Royal Dutch Shell-ისთვის გაესწრო). მოსალოდნელი გარიგების შესახებ პირველად ჯერ კიდევ 2003 წლის თებერვალში გახდა ცნობილი, მზადებამაც წარმატებით ჩაიარა. შეთანხმების მომზადებას ვლადიმირ პუტინი პირადად კურირებდა. კომპანია რუსეთში რეგისტრაციას ინარჩუნებდა, სათავეში კი ბრიტანელი გენერალური დირექტორი რობერტ დადლი უდგებოდა. ეს საკვირველი და სიმბოლური გარღვევა იყო — ამ დღიდან ინგლისელებმა ციმბირის ნავთობის მოპოვება დაიწყეს! ბრიტანელი ჟურნალისტები ხუმრობდნენ, რომ პუტინმა გაიმეორა ალექსანდრე II-ის მიღწევა, რომელიც ლონდონს სახელმწიფო ვიზიტით ესტუმრა 1874 წელს, რათა თავისი ქალიშვილი მიეთხოვებინა ედინბურგის ჰერცოგისთვის. პუტინი კი ჩამოვიდა, რათა თავისი „ნავთობის“ ქალიშვილი მიეთხოვებინა ლორდ ბრაუნისთვის BP-დან.

ეს სიმბოლური ღღესასწაული იყო. დარბაზში ქორწილს ტაშს უკრავდნენ მარტო პუტინი და ბლერი კი არა, არამედ „გაზპრომის“ ხელმძღვანელი ალექსეი მილერი და რუსეთის უდიდესი ნავთობის კომპანიის მფლობელი მიხაილ ხოდორკოვსკი. მისი ბიზნესპარტნიორი პლატონ ლებედევი ერთი კვირის შემდეგ დააკავეს — რუსეთში „იუკოსის საქმე“ დაიწყო! ათი წლის შემდეგ კი მიხაილ ფრიდმანს აიძულებენ THK-BP-ში თავისი წილის გაყიდვას და ეს მისთვის გადარჩენის ტოლფასი აღმოჩნდება. იგი გაიტანს მთელ თავის ქონებას რუსეთიდან, თავის ოჯახს ლონდონში გადაიყვანს და დიდ ბრიტანეთში დაფუძნდება. „ქორწილი“ ხანგრძლივი ვერ გამოდგა და შვილებმა რუსეთიდან შორს ცხოვრება გადაწყვიტეს.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

თარგმნა ჰამლეტ ზუკაკიშვილმა

ვლადიმირ პუტინი და პრინცი ჩარლზი (2003 წ.)

რაულ ჩაგუნავას მოსაგონარი

ამა წლის იანვრის მიწურულს, ქართველ მეცნიერთა რიგებს გამოაკლდა ცნობილი ქიმიკოსი, საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი რაულ ვლადიმერის ძე ჩაგუნავა. 80 წელს მიღწეულ მეცნიერს არაერთი ნაშრომი ჰქონდა მოშზადებული წიგნად გამოსაცემად.



რაულ ჩაგუნავა

რაულ ჩაგუნავამ საკმაოდ ხანგრძლივი და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო. დაიბადა 1938 წლის 24 ოქტომბერს, თბილისში. ოქროს მედალზე დაამთავრა 53-ე საშუალო სკოლა. სწავლობდა მოსკოვის დ. მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის ფაკულტეტზე და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა ქიმიკოს-ტექნოლოგის კვალიფიკაცია (1962). მუშაობდა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის ცენტრალურ ლაბორატორიაში ქიმიკოს-ინჟინრის თანამდებობაზე (1962-1963). 1962 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დენის წყაროების ლაბორატორიაში. პარალელურად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1967). დისერტაციის დაცვის (1975) შემდეგ სათავეში ჩაუდგა ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის ახალშექმნილ ლაბორატორიას, რომელსაც გაუქმებამდე ხელმძღვანელობდა. იყო თსუ-ის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

რაულ ჩაგუნავას სამეცნიერო კვლევის ძირითად სფეროს წარმოადგენდა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია. ამ თემატიკაზე და აგრეთვე ქიმიის დარგში მან გამოაქვეყნა 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 18 მონოგრაფია. პირველწყაროების, კერძოდ, სიძველეთა საცავებში დაცული ხელნაწერებისა და საარქივო მასალების საფუძვლიანი კვლევის შედეგად შექმნა და გამოაქვეყნა ნაშრომები საქართველოში მეცნიერების ცალკეული დარგის განვითარების ისტორიული პროცესების შესახებ.

მეცნიერის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის, ფაქტობრივად, უცნობი საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მემკვიდრეობის წარმოჩენა. ამ საკითხზე მკვლევარმა გამოსცა სამი წიგნი: „ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (მათემატიკა)“; „ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა (საბუნებისმეტყველო დარგები და ტექნიკა)“ და „ვახტანგ VI-ის წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“, რომელსაც ვრცელი კომენტარები დაურთო.

რაულ ჩაგუნავამ დაასაბუთა, რომ განსწავლულმა ხელმწიფემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მთელ რიგ დარგებს. მეტიც, მისივე დასკვნით, ვახტანგის ხსენებული სამეცნიერო ნაშრომები თავისი მნიშვნელობით სცილდება საქართველოს ფარგლებს.

მეცნიერმა გამოამზეურა დიდი ქიმიკოსის, პეტრე რეგაზის (რომანის) ძე ბაგრატიონის (1818-1876) აქამდე უცნობი გამოკვლევები. თანაავტორებთან — გივი ცინცაძესა და გიორგი ცირეკიძესთან ერთად ახალგამოცემულ მონოგრაფიაში დაადგინა, რომ ოქროს

ციანიდებსა და ფეროციანიდებში ხსნადობის აღმოჩენასთან ერთად, ამ პროცესებში ჰაერის ჟანგბადის გამორჩეული როლი პირველმა სწორედ პეტრე ბაგრატიონმა განსაზღვრა.

რაულ ჩაგუნავამ გამოავლინა XIII საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწის ტბელ აბუსერიძის გამოკვლევის „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“ სამეცნიერო ღირებულება და დაასაბუთა, რომ იგი იმდროინდელი ევროპის მასშტაბითაც კი ერთადერთ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. ეს ნაშრომი ცენტრალური გამოკვლევის სახით შეიტანეს ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებულში: „აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი“.

მკვლევარმა წარმოაჩინა ტრაგიკულად დაღუპული ქიმიკოსის შალვა ცინცაძის (1900-1937) სამეცნიერო ღვაწლი.

მრავალი სამეცნიერო სტატიით, რომელთა ნაწილმაც თავი მოიყარა რაულ ჩაგუნავას ავტორობით გამოცემულ სქელტანიან კრებულში „საისტორიო ძიებანი“ (2013) მკვლევარმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში კალენდარულ-ქრონოლოგიური საკითხების კვლევას ახლებური კუთხით და ზუსტად დაათარიღა არაერთი ძველი ხელნაწერი, ეპიგრაფიკული ძეგლი თუ ისტორიული მოვლენა.

ამჟამად გამოსაცემად მზადდება რაულ ჩაგუნავას რამდენიმე წიგნი, მათ შორის, „საისტორიო ძიებანის“ მეორე ტომი.

იყო არაერთი დისერტაციის ხელმძღვანელი, სამეცნიერო წიგნების რედაქტორი და რეცენზენტი.

მამულიშვილობას ყოველდღიურ ყოფაშიც ავლენდა. საგულისხმოა, რომ 54 წლის ასაკში მან იარაღით ხელში, სამშობლოს დასაცავად, აფხაზეთს მიაშურა.

ამ ქვეყნიდან ვალმოხდილად გარდასულმა რაულ ჩაგუნავამ დატოვა არაჩვეულებრივი ოჯახი, მეუღლე — ქალბატონი დალი ოტიაშვილი, ორი ასული, შვილიშვილები და შვილთაშვილები...

რაულ ჩაგუნავა არჩეული იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო წევრად. 2006 წელს საქართველოს ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის საზოგადოებამ მას მიანიჭა წლის საუკეთესო მეცნიერის წოდება და ვერცხლის მედლით დააჯილდოვა.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ პროფესორი

ქართველ მეცნიერთა ჯგუფი (1982 წელი). მარჯვნიდან: აპოლონ ჟალიანი, ვახტანგ პარკაძე, რაულ ჩაგუნავა, ვ. ჯაფარიშვილი. უკანა პლანზე ჩანს ვ. პარკაძის შვილიშვილი

გერმანელები კრივოი როგში (1941 წ.)

სამმხრივი ომი უკრაინისთვის

ბანდერელების, ბანდერელთა მოძრაობის შესახებ უკანასკნელ ხანს მრავალი მასალა გამოქვეყნდა. დაიმსხვრა რუსეთის პროპაგანდისტების შეთხზული მტკიცება, თითქოს ბანდეროშჩინა დასავლეთ უკრაინული მოვლენაა და რომ ბანდერელები მხოლოდ უკრაინის დასავლეთ რეგიონში მოქმედებდნენ. 1991 წლიდან დღემდე საიდუმლო დოკუმენტების გამოშეურებამ და სუკ-ის არქივების გახსნამ აჩვენა, რომ ბანდერელთა მოძრაობა უკრაინის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა და დასავლეთი ნაწილის გარდა, მოიცავდა ცენტრალურ, სამხრეთ და აღმოსავლეთ უკრაინას.

ორი ბოროტება

1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმიდან რვა დღის შემდეგ, 30 ივნისს, ჰიტლერელებმა ქალაქი ლვოვი დაიკავეს. იმავე დღეს უკრაინელმა ნაციონალისტებმა (სტეპან ბანდერას ჯგუფი) დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და დროებითი მთავრობა შექმნეს, რომელსაც სათავეში ბანდერას უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე იაროსლავ სტეცკო ჩაუდგა.

დამოუკიდებელი უკრაინის შექმნას ჰიტლერი არ გეგმავდა. 24 საათის შემდეგ ბერლინიდან ლვოვში ჩავიდა ჯგუფი, რომელმაც დააპატიმრა პრემიერი სტეცკო და მთავრობის ყველა წევრი. თავად ბანდერა პოლონეთში, კრაკოვში დააპატიმრეს. ჰიტლერელთა მოთხოვნა კატეგორიული იყო:

— გააუქმეთ დამოუკიდებლობის აქტი!

— არავითარ შემთხვევაში! — შეეწინააღმდეგა ბანდერა.

პასუხად გერმანელებმა ის ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. აქვე გამოამწყვდიეს პრემიერი სტეცკო და თითქმის მთლიანად უკრაინის მთავრობა.

— ჰიტლერელებმა უკრაინის ტერიტორია დაანაწევრეს, — წერს უკრაინელი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი და ჟურნალისტი პეტრო მირჩუკი.

გალიჩინის პროვინცია გენერალ-საგუბერნატოროდ გამოაცხადეს, ცენტრით კრაკოვში. ოდესის მხარე ფიურერმა რუმინეთს გადასცა, იმიერკარპატისპირეთი — უნგრელებს. უკრაინის დანარჩენი ნაწილი „რაიხსკომისარიატ უკრაინად“ გამოცხადდა, კომისრად კი ნაცისტური პარტიის ვეტერანი ერიხ კოხი დაინიშნა.

— არავითარი თავისუფალი უკრაინა არ არსებობს! ჩვენ აქ ვინმეს გასათავისუფლებლად არ მოვსულვართ. უკრაინამ უნდა მოგვცეს სურსათი ჩვენი ჯარისკაცებისთვის, იაფი მუშახელი ჩვენი ქარხნებისთვის, ლამაზი გოგონები ჩვენი ბორდელებისთვის! — განაცხადა კოხმა.

პასუხად ბანდერელთა ორგანიზაცია იატაკქვეშეთში გადავიდა. გაიშალა ბრძოლა XX საუკუნის უმთავრესი ბოროტებების, საბჭოთა კავშირისა და ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ.

* * *

ხელმძღვანელობის დაპატიმრების შემდეგ, ბანდერას, სტეცკოსა და სხვა ლიდერების ადგილი სხვებმა დაიკავეს. ოუნ-ის (უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაცია) იატაკქვეშეთს სათავეში მიკოლა ლებედი ჩაუდგა. დაიწყო სალაშქრო ასეულების შექმნა. მათი ამოცანა უკრაინის ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში ორგანიზაციების შექმნა და მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშლა იყო.

ნაციონალისტური იატაკქვეშეთი საბჭოთა უკრაინის ტერიტორიაზე მუდამ არსებობდა. 1919-1922 წლებში ჩეკისტები მის განადგურებას ამაოდ ცდილობდნენ. 1922 წელს ფელიქს ძერჟინსკიმ ჩამოაყალიბა და აამოქმედა პროგრამა, რომელიც შეურიგებელი ნაციონალისტი ლიდერების ლიკვიდაციასა და მათ ნაცვლად უშიშროების კონტროლირებული ფიგურების დაწინაურებას ითვალისწინებდა. 1934 წლისთვის, მასობრივი ტერორის შედეგად, უკრაინაში ნაციონალისტების მხოლოდ მცირერიცხოვანი, დაქსაქსული ჯგუფები შემორჩა. ისინი იატაკქვეშეთში მოქმედებდნენ, მათი ხელმძღვანელები კი შინსახკომის აგენტები იყვნენ. ფაქტობრივად, ამ დროისთვის ნაციონალისტური იატაკქვეშეთი უკრაინაში აღარ არსებობდა. რასაკვირველია, საშუალო და ქვედა რგოლებში იყვნენ გულწრფელი პატრიოტები (უმეტესწილად ახალგაზრდობა), თუმცა ისინი ამინდს ვერ ქმნიდნენ.

— ჩვენ ეს კარგად ვიცოდით. მიუხედავად ამისა, მაინც გადავწყვიტეთ უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში მოქმედებების გააქტიურება, — წერს უკრაინული ეროვნული მოძრაობის ვეტერანი, ეკონომისტი, ჟურნალისტი და სამხედრო მკვლევარი ლევ შანკოვსკი.

სალაშქრო ასეულები უკრაინის ცენტრალური და აღმოსავლეთ რეგიონებისკენ დაიძრნენ. მალე ბანდერელები გამოჩნდნენ კიევში, პოლტავაში, ოდესაში, ნიკოლაევში, ვინიცაში. გერმანული არმია რუსებს აღმოსავლეთისკენ მიერეკებოდა. ბანდერელთა სალაშქრო ასეულები შევიდნენ დნეპროპეტროვშჩინაზე, ზაპოროჟიეში, დონბასში...

„თავყრილობა“ კრივოი როგში

კრივოი როგში გერმანელები 1941 წლის სექტემბერში შევიდნენ. რუსებმა ქალაქი უბრძოლველად დათმეს, თუმცა უკან დახევის წინ ქარხნები და კრივბასის (კრივოი როგის რკინამადნის აუზი) შახტების უდიდესი ნაწილი ააფეთქეს.

ბანდერელთა სალაშქრო ასეული კრივოი როგში გერმანელების შესვლამდე ერთი თვით ადრე, 1941 წლის აგვისტოში გამოჩნდა. ყველა მათგანს წითელარმიელის ფორმა ეცვა. ჯგუფს სათავეში გამოცდილი მებრძოლი პეტრო რაშკო ედგა, მის შემადგენლობაში შედიოდნენ მიროსლავ მუზიჩკო, ანა მაქსიმეცი, ალექსანდრ გორბაჩი და სხვები. ყველა მათგანს დასავლეთ უკრაინაში ანტიპოლონური იატაკქვეშა ბრძოლის უმკაცრესი სკოლა ჰქონდა გავლილი. ყველამ იწვნია როგორც პოლონური ციხე, ასევე საკონცენტრაციო ბანაკი „ბერეზა კარტუზსკაია“. ეს თანაბრად ეხებოდა როგორც მამაკაცებს, ასევე ჯგუფის წევრ ქალებსაც. მათ შორის იყვნენ ოლესია შევკუნი, ანა მაქსიმეცი, მიროსლავა ჩერეშნიოვსკაია, გალინა კონოვალენკო.

— ანა მაქსიმეცი დასავლეთ უკრაინიდან, ბროდის რაიონიდან იყო. პოლონური ოკუპაციის დროს ოთხჯერ დააპატიმრეს. რუსების შემოსვლის შემდეგ ჩეკისტებმა მისი მთელი ოჯახი (დედა, მამა, პატარა და-ძმა) ციმბირში გაასახლეს, — წერს პროფესორი ვოლოდიმიროვიჩი.

ერიხ კოხი, უკრაინის რაიხსკომისარი 1941-1944 წწ.

საბჭოთა უშიშროების მიერ დახოცილი ადამიანები ლვოვის ქუჩებში (1941 წ.)

ჯგუფის წევრთა უმრავლესობა დასავლეთი უკრაინიდან გახლდათ. აღმოსავლეთ უკრაინელები მხოლოდ სამნი იყვნენ: იურკო გორბატიუკი, მიხაილო გრაჩი და გალინა კონოვალენკო. წითელარმიელთა ფორმით შემოსილი ბანდერელთა ნაწილი თავს საბჭოთა ჯარისკაცად ასაღებდა, მეორე ჯგუფი (მათ შორის მაქსიმეცი და კონოვალენკო) ამბობდა, რომ ლტოლვილები არიან. ქალაქში არეულობა სუფევდა. იქაურობა საშინელი იყო ჯარისკაცებით, ლტოლვილებით. თუმცა ბანდერელები ფრთხილობდნენ.

— ჩვენ არავითარ აგიტაციას არ ვეწეოდით, არც დივერსიებს ვაწყობდით, არც ადგილობრივ პატრიოტებთან გვიცდია კონტაქტის დამყარება, — იგონებს გალინა კონოვალენკო.

კრივოი როგში, ისევე როგორც საბჭოთა უკრაინის სხვა კუთხეებში, მცირერიცხოვანი ნაციონალისტური დაჯგუფება მოქმედებდა. მას სათავეში შინსახკომის აგენტი ბოიკო ედგა. დაჯგუფების შემადგენლობაში გულწრფელი პატრიოტებიც იყვნენ, თუმცა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჯგუფს ჩეკისტები აკონტროლებდნენ.

საბჭოთა უშიშროებამ იცოდა, რომ ბანდერელთა სალაშქრო ასეულები აღმოსავლეთ უკრაინაში გამოჩნდნენ. ჩეკისტები მოელოდნენ, რომ ნაციონალისტები კრივოი როგშიც შევიდოდნენ. მოლოდინი არ გამართლდა. ბანდერელები კრივოი როგში მართლაც შევიდნენ, მაგრამ ადგილობრივ ნაციონალისტებთან კონტაქტზე გასვლას არ ჩქარობდნენ. ჩეკისტები ანერვიულდნენ. გერმანული არმია და ფრონტი ქალაქს უახლოვდებოდა. კრივოი როგის შინსახკომმა ქალაქში ჩხრეკა-წმენდების მოწყობის ბრძანება მიიღო. დააპატიმრეს ყველა, ვინც ოდნავ მაინც საეჭვოდ მიაჩნდათ...

ვერმახტის შეტევა სწრაფი და მოულოდნელი იყო. რუსებმა კრივოი როგი უბრძოლველად კი დათმეს, თუმცა ქალაქში კარგად აწყობილი აგენტურული ქსელი დატოვეს. კრივოიროგელ ნაციონალისტთა ე.წ. ლიდერმა ბოიკომ საბჭოთა ჯართან ერთად მოუსვა. მის ნაცვლად ადგილობრივ იატაკქვეშეთს მასზე ახალგაზრდა და ენერგიული აგენტი, მეტსახელად შუმი ჩაუდგა სათავეში. ჩეკისტების ბრძანებით, ის კრივოი როგში დარჩა.

— ვერმახტის ელვისებური შეტევის შედეგად ჩეკისტებმა ვერ მოასწრეს იმათი დახვრეტა, ვინც ჩხრეკა-წმენდების დროს დააკავეს, — წერს ლევ შანკოვსკი.

გათავისუფლებულთა შორის ინჟინერი სერგეი შერსტიუკიც იყო. მან გერმანელებს მხურვალე მადლობა გადაუხადა და განუცხადა, რომ ადგილობრივი ნაციონალისტური იატაკქვეშეთის წევრია და რომ რუსებმა გერმანელთა შემოსვლამდე ერთი დღით ადრე დააკავეს.

— თქვენ რომ არა, მომკლავდნენ, — განუცხადა გერმანელებს შერსტიუკმა.

— როდიდან გახდი ნაციონალისტური იატაკქვეშეთის წევრი?

— 1940 წლიდან.

— რატომ?

— ჩემი მეგობარი ვოზნიაკი ამ ჯგუფის წევრი იყო. ნაციონალისტებს სწორედ მან დამაკავშირა.

ვოზნიაკმა და სხვა ნაციონალისტებმა განაცხადეს, რომ შერსტიუკი მართლაც იყო ჯგუფის წევრი. მალე კრივოი როგში კინოქრონიკა ჩამოვიდა და უკრაინელ ინტელიგენტთა გადარჩენა ფირზე აღბეჭდეს. შერსტიუკმა კამერის წინაშე განაცხადა:

— მადლობა დიდ გერმანიას! თქვენ რომ არა, აუცილებლად დამხვრეტდნენ.

გერმანელებმა ეს ფირზე გადაიღეს. შერსტიუკის ინტერვიუ ფართოდ გავრცელდა.

* * *

გერმანელთა შემოსვლის მეორე დღესვე გესტაპოში ვინმე სუსლოვი გამოცხადდა. მან თქვა, რომ შინსახკომის ყოფილი ოფიცერია და კრივოი როგში არალეგალური მუშაობისთვის დატოვეს. და რომ კრივოი როგის ნაციონალისტურ იატაკქვეშეთს მთლიანად შინსახკომი აკონტროლებდა.

შერსტიუკი გესტაპოში გულდასმით დაკითხეს, ასევე გულდასმით გამოიკვლიეს მისი ბიოგრაფიაც. სერგეი შერსტიუკი 1909 წელს ხარკოვთან დაიბადა, დაამთავრა ტექნიკუმი, შემდეგ სტალინოს (ამჟამინდელი დონეცკი) პოლიტექნიკური ინსტიტუტი. კრივოი როგში 1940 წელს ჩავიდა და ადგილობრივ ნაციონალისტებთან სტუდენტობის დროინდელმა მეგობარმა, ვოზნიაკმა დააკავშირა. შერსტიუკს ეს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

გერმანელებს ვერ გაერკვიათ, ვინ იყო შერსტიუკი, მტერი თუ მოყვარე. გესტაპომ ის რამდენჯერმე დაკითხა. ხანგრძლივი ჭოჭმანის შემდეგ გერმანელებმა გადაწყვიტეს, შერსტიუკი კრივოი როგის ბურგომისტრად დაენიშნათ. ასე იგი მუდმივად თვალთახედვის არეში იქნება და თუკი რუსების აგენტია, შინსახკომი მასთან კონტაქტზე გამოვა და რუსი მსტოვრებიც ხაფანგში მოექცევიანო, — ფიქრობდნენ გერმანელები.

მსტოვარი ნაცისტებში

ბანდერელთა ნაწილი ოკუპანტების სახელისუფლებო სტრუქტურებში დამკვიდრდა. ნაწილი ყალბი საბუთებით სხვადასხვა სამუშაოზე მოეწყო, ზოგი მძღოლად, ზოგი დურგლად, ზოგიც დამლაგებლად. ბანდერელებმა ააწყვეს საკუთარი აგენტურული ქსელი, რომელიც როგორც რუსების, ისე გერმანელებისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა.

— კრივოი როგის ტერიტორიაზე მოქმედ სბ-ში (ოუნ-ის უშიშროების სამსახური) უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ვინმე პეტრო კოტიკი, რომლის ფსევდონიმიც იყო ბორკუნი, — წერს მიკოლა ლებედი.

კოტიკი, იგივე ბორკუნი, 1919 წელს კიევის მახლობლად დაიბადა. მამამისი პეტლიურას არმიის ოფიცერი იყო და რუსებთან ბრძოლაში დაიღუპა. 1922 წელს პატარა კოტიკი დედასთან ერთად ემიგრაციაში გაემგზავრა. ისინი ცხოვრობდნენ პრაღაში, შემდეგ კანადაში. ბორკუნმა იქ დაამთავრა სკოლა და შემდეგ ნაციონალისტებს დაუკავშირდა. 1939 წელს გაემგზავრა მონრეალში, სადაც გერმანელის საბუთებით ცხოვრობდა. ეს როლი ბორკუნმა იმდენად შეისისხლხორცა, რომ კანადაში მოქმედი გერმანელი ნაცისტების ნდობა მოიპოვა. მალე ის ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაშიც მიიღეს. 1941 წელს ბორკუნი გერ-

უკრაინაში გერმანელთა ჯარს თავდაპირველად ბევრნი შეხვდნენ კეთილგანწყობით

მიხაილო პრონჩენკო

მიკოლა ლებედი

მანიაში გაემგზავრა. მას კარგად შეხვდნენ და გესტაპოში მუშაობა შესთავაზეს. ლეგენდის თანახმად, ბორკუნს სლავური ფილოლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. ამიტომ SD-ს (ჰიტლერელთა უშიშროების სამსახური) რუსულ განყოფილებაში ჩარიცხეს. კრივოი როგის აღების შემდეგ კი აქ მოავლინეს.

ბორკუნი კრივოი როგში SD-ს ყველაზე მნიშვნელოვანი აგენტი იყო. ბანდერელებიც ფრთხილობდნენ. მასთან კავშირი ლესია ჩერეშნიოვსკაიას (ფსევდონიმი მაკა) მეშვეობით ხორციელდებოდა.

პოეტის ბრძოლა

მაკა დანიშნულ ადგილას უცდიდა. ბორკუნის დანახვისთანავე გაღიმა.

— დიდება უკრაინას!

— გმირებს დიდება, — ბორკუნი შეიშმუშნა, — აი, რა, დრუჟე! კონსპირაცია უწინარეს ყოვლისა. ამიტომ მოდი, ასეთი მისალმებებისგან თავი შევიკავოთ. რა ხდება?

— შერსტიუკი სულ უფრო მეტ ინტერესს იწვევს. გვსურს მასთან კონტაქტზე გასვლა, მაგრამ... — მაკა წამით გაჩუმდა, — შესაძლოა, იგი აგენტია.

— შერსტიუკი გესტაპოზე არ მუშაობს. არ გამოვრიცხავ, რომ რუსების ჯგუფში იყოს.ის ხომ კრივოი როგში მოქმედი ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრი იყო. იქ კი ყოველი მესამე ჩეკისტებთან იყო შეკრული.

— მაშ, რა ვქნათ?

— რუსების ჯგუფზე ინფორმაცია მაქვს. გესტაპოში გამოცხადდა ვინმე სუსლოვი, რომელიც ომამდე კრივოი როგის უშიშროებაში მუშაობდა. მან თქვა, რომ რუსებმა ქალაქში კარგად აწყობილი აგენტურული ქსელი დატოვეს. დაასახელა რამდენიმე პირიც. ბევრი მათგანი დააპატიმრეს. ზოგი გადაიბირეს და გაუშვეს, ზოგიც დახვრიტეს ან საკონცენტრაციო ბანაკში უკრეს თავი.

— გამოდის, რუსების ქსელი განადგურებულია?

— არ მგონია. მათ დიდი დარტყმა იგემეს, მაგრამ გადარჩა რუსი რეზიდენტი, მეტსახელად გუსტავი და კიდევ რამდენიმე აგენტი. რუსული ქსელი კვლავ არსებობს. ეს უტყუარია.

— იქნებ სწორედ შერსტიუკი არის იდუმალი გუსტავი?

— შესაძლებელია, თუმცა სუსლოვი ირწმუნება, რომ გულწრფელი უკრაინელი პატრიოტია. მისი არ მჯერა.

— რატომ?

— ჩეკისტი ჩეკისტია, შესაძლოა ცრუობს და რაღაცას მამაძაღლობს.

— გგონია, რომ შერსტიუკის დაპატიმრება, სიკვდილისგან სასწაულით გადარჩენა სპექტაკლია?

— შესაძლოა.

მცირე ხნის შემდეგ მაკა და ბორკუნი ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

ბანდერელებმა შერსტიუკზე ცნობები შეაგროვეს. ვინ არის შერსტიუკი? იქნებ სწორედ ის არის იდუმალი გუსტავი, მისი დაპატიმრება კი ინსცენირება იყო? ამ კითხვის პასუხი ბანდერელებს არ ჰქონდათ. ისინი შერსტიუკს

ყურადღებით უთვალთვალებდნენ, კონტაქტზე გასვლას კი არ ჩქარობდნენ.

მეორე, ვინც ასევე მიიქცია ბანდერელთა ყურადღება, პოეტი მიხაილო პრონჩენკო გახლდათ. შერსტიუკისგან განსხვავებით, მისდამი არავითარი კითხვის ნიშნები არ არსებობდა.

პრონჩენკო 1909 წელს დაიბადა გლეხის ოჯახში. სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, იყო კომკავშირელი და სრულიად უკრაინის პროლეტარი მწერლების გაერთიანების (ვუსპპ) წევრი. თავისი პირველი ლექსები პრონჩენკომ 1927-1928 წლებში გამოაქვეყნა.

— პრონჩენკოს სახით უკრაინულ ლიტერატურაში ახალი ტალანტი მოვიდა. მას ახასიათებს თავისებური აზროვნება, სინამდვილის ორიგინალური აღქმა, — წერდა ცნობილი კრიტიკოსი ალექსანდრ ბელეცკი.

ცნობილი უკრაინელი მწერალი იური სმოლიჩი პრონჩენკოს ახასიათებს, როგორც ახალგაზრდა მხიარულ ყმაწვილს, რომელიც კომკავშირელი იყო და პარტიისა გულწრფელად სწამდა. ამავე დროს, პრონჩენკო არ ყოფილა ორთოდოქსი. ის აფასებდა იმ მწერლების ტალანტს, რომლებთანაც ვუსპპ-ს მტრობა ჰქონდა (მიკოლა ხვილევოი, მაქსიმ რილსკი, მიკოლა ბაჟანი, მაიკ იოჰანსენი, პავლო ტიჩინა). პრონჩენკო ყველას უყვარდა, რადგანაც არ იყო გაიძვერა.

ვუსპპ-ი საბჭოურ, „ვაშა-ვაშას დამმახებელ“ პოზიციებზე იდგა და უკრაინაში მოსკოვის საყრდენს წარმოადგენდა. პრონჩენკოსაც კომუნიზმის გულწრფელად კი სწამდა, მაგრამ შემდეგ ეს რწმენა შეიცვალა. 1932-1933 წლებში უკრაინაში სტალინის მიერ ხელოვნურად ორგანიზებულმა შიმშილობამ (გოლოდომორი) იფეთქა. პრონჩენკომ სტალინს წერილი გაუგზავნა და ღუელში გამოიწვია. შედეგმა არ დაახანა. პოეტი დააპატიმრეს და მაგადანის ბანაკში გამოამწყვდიეს. 1938 წელს გაათავისუფლეს. პოეტი კრივოი როგში დაბრუნდა, თუმცა სამუშაო ვერ იშოვა. ის ხომ „ხალხის მტერი“ იყო. მასთან საუბარსაც კი ყველა უფრთხოდა.

— გავემგზავრე კიევში, მოვძებნე ჩემი ძველი მეგობარი პავლო ტიჩინა. მან შემომხედა თუ არა, შეიცხადა: წადი, წადი, თორემ მეც დამიჭერენ! — უამბო ბანდერელებს პრონჩენკომ.

პოეტი კრივოი როგში დაბრუნდა. დიდი გაჭირვებით მოეწყო მენაგვედ. ომის დაწყებისთანავე დაიმალა და ამან ჩეკისტების

ებრაელების „პოგრომები“ ლვოვში (1941 წ.)

უკრაინელი ნაციონალისტები ფანო-ფრანკოვსკში (1941 წლის 19 სექტემბერი)

ორგანიზებულ ჩხრეკა-წმენდას გადაარჩინა.

— ახლა რას აპირებ? — შეეკითხნენ ბანდერელები პრონჩენკოს.

— უკრაინის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას! — უპასუხა პოეტმა.

„არც გერმანია, არც რუსეთი“

პრონჩენკოს რეკომენდაციით ბანდერელები დაუკავშირდნენ ვინმე კოვტუნს. პეტლიურას არმიიის ყოფილი ოფიცერი და ჟურნალისტი კოვტუნი 1893 წელს დაიბადა. 1918 წელს მონაწილეობდა ავჯანყებაში ჰეტმან სკოროპადსკის წინააღმდეგ, შემდეგ როგორც პეტლიურას არმიის ოფიცერი, რუსების წინააღმდეგ იბრძოდა.

რუსეთ-უკრაინის ომი 1922 წელს დამთავრდა. პეტლიურელთა ნაწილმა უკან დაიხია და დასავლეთში გადავიდა, ნაწილმა იატაკქვეშეთში გადაინაცვლა. კოვტუნი ამ უკანასკნელთა რიგებში იყო. ერთხანს კამენეც-პოდოლსკში ცხოვრობდა და იქაურ დივერსიულ ჯგუფს ედგა სათავეში, ხოლო 1927 წელს კიევში გაემგზავრა და ტროშკინის გვარით გაზეთში ჟურნალისტად მოეწყო. 1928 წელს ჩეკისტებმა დააპატიმრეს. მათ დაადგინეს, რომ ტროშკინი ყოფილი პეტლიუროველი ოფიცერი და ნაციონალისტური იატაკქვეშეთის წარმომადგენელია, მაგრამ მისი ნამდვილი ვინაობა ვერ გაარკვიეს. ვერ შეიტყვეს, რომ ტროშკინი მოუხელთებელი კოვტუნი იყო, რომელმაც არაერთი შედეგიანი დივერსია მოაწყო.

— ტროშკინსაც მაგადანის ბანაკში უკრეს თავი. სწორედ იქ გაიცნო მან პრონჩენკო, — წერს გალინა კონოვალენკო.

1931 წელს ტროშკინი ბანაკიდან გაიქცა. ის შეიპყრეს და უკან დააბრუნეს, საჯაროდ გაროზგეს და სასჯელის ახალი ვადა დაუმატეს. 1933 წელს ტროშკინი კვლავ გაიქცა და ამჯერად ნოვოსიბირსკამდე მიღწევა შეძლო. 1936 წელს კვლავ დააპატიმრეს, თუმცა უკვე ვოვკის გვარით და სამეულმა, რომელმაც გაასამართლა, ხუთი წლით ბანაკი მიუსაჯა. სასჯელს პერმის საკონცენტრაციო ბანაკში იხდიდა. 1939 წელს კვლავ გაიქცა. კრივოი როგში 1940 წელს ჩავიდა, სადაც ებრაელი მილესის გვარით ცხოვრობდა.

— ბანაკიდან დაბრუნებულმა პრონჩენკომ პატიმრობის დროინდელი მეგობარი უმალ იცნო, თუმცა არ გაუცია. მეტიც, ის კოვტუნს ხშირად ხვდებოდა, — წერს კონოვალენკო.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებისთანავე კოვტუნი დაიმალა და პრონჩენკოსაც იგივე ურჩია. მალე ჩხრეკა-წმენდები დაიწყო და პრონჩენკოც და კოვტუნიც იმიტომ გადარჩნენ, რომ მიმალვა მოასწრეს. გერმანელების მოსვლის შემდეგ პრონჩენკოს მათ მხარეს სურდა გადასვლა. კოვტუნმა შეაჩერა.

— ნუ აჩქარდები! გერმანელებს უკრაინის დამოუკიდებლობა არ სურთ. ფაქტობრივად ძველი დამპყრობელი ახალმა შეცვალა და მეტი არაფერი.

— რუსებს ისევ გერმანელები მირჩევნია! — პრონჩენკოს თვალები აენთო.

— ჩვენ უკრაინელები ვართ! — წარმოთქვა კოვტუნმა, — ამიტომ უკრაინის თავისუფლებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. არც გერმანია გვინდა და არც რუსეთი!

— სად არიან ისინი, ვინც უკრაინის დამოუკიდებლობისთვის იბრძვის?

— გამოჩნდებიან! — კოვტუნმა გაიცინა, — ცოტა მოითმინე.

კოვტუნი და პრონჩენკო ბანდერელთა ყურადღების ცენტრში მოექცნენ. ყოფილ პოლიტპატიმრებთან, რომლებიც სტალინურ ტერორს სასწაულით გადაურჩნენ, ბანდერელებმა სწრაფად დაამყარეს კონტაქტი. პრონჩენკოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ბანდერელებს, როგორც დიდი ხნის ახლობლებს, ისე ეხვეოდა. თვალთაგან სიხარულის ცრემლები ჩამოსდიოდა.

ბურგომისტრი მტრებით

ბურგომისტრი შერსტიუკი საქმიანობას ენერგიულად შეუდგა. ბანდერელები ყურადღებით აკვირდებოდნენ. მისი პირველი ნაბიჯები მართლაც იმედის მომცემი იყო. ბურგომისტრმა დაამყარა წესრიგი, აღკვეთა ბანდიტიზმი, მაროდიორობა. მკაცრად დასაჯეს ისინი, ვინც ებრაელთა „პოგრომები“ მოაწყო. გერმანელებს ეს არ მოეწონათ. მაშინ შერსტიუკმა საკითხი კატეგორიულად დასვა: ან ებრაელთა დევნა-შევიწროება შეწყდება, ან თანამდებობას დაგტოვებო. გერმანელები იძულებული გახდნენ დაეთმოთ, თუმცა საქმე ამით არ ამოწურულა. მალე სერგეი შერსტიუკის ბრძანებით კრივოი როგის თავზე უკრაინული ეროვნული დროშა აღიმართა. შერსტიუკი გესტაპოში დაიბარეს.

— ჩემი ნახვა თუ გნებავთ, ჩემთან მობრძანდით, მნახველებს ყოველდღე 14 საათიდან ვიღებ, — ასეთი იყო შერსტიუკის პასუხი.

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ: უკრაინული დროშა გერმანული დროშის გვერდით იფრიალებდა. თუმცა ჰიტლერელები ბურგომისტრის საქციელის გამო აღშფოთებას არ მალავდნენ.

— მალე მოსკოვს ავიღებთ და ამ შერსტიუკს თავისი დროშის გვერდით ჩამოვკიდებთ, — ამბობდნენ ნაცისტები.

მომდევნო ინციდენტი თეატრალური პრემიერის დროს მოხდა. წარმოადგინეს მიხაილო პრონჩენკოს პიესა „ტარას ბულბა“. სპექტაკლს ბურგომისტრი შერსტიუკი და კრივოი როგის გესტაპოს უფროსი მაიერი ესწრებოდნენ. თეატრის თავზე როგორც ნაცისტური, ასევე უკრაინული ეროვნული დროშა ფრიალებდა. მაიერი შეიშმუშნა, თუმცა თავი შეიკავა. ანტრაქტზე ფოიეში გავიდა თუ არა, შეხტა. ადოლფ ჰიტლერის გვერდით სიმონ პეტლიურას ვეებერთელა ფოტო მოეთავსებინათ.

— ეს ვინ არის?!

— სიმონ პეტლიურა, ეროვნული გმირი! — ამაყად მიუგო შერსტიუკმა.

— როგორ, ეს ვიღაც პეტლიურა დიდი გერმანიის ფიურერის გვერდით გამოკიდეთ?!

— პეტლიურა ვიღაც კი არა, ჩვენი ეროვნული გმირია! — შერსტიუკს თვალები აენთო.

მაიერმა რევოლვერის ბუდეზე იტაცა ხელი. შერსტიუკი ადგილიდან არ დაძრულა, თვალები მრისხანებისგან უელავდა. შერსტიუკის დაცვის უფროსი ვოზნიაკი უმალ მის გვერდით გაჩნდა. მაიერიც შეტრიალდა და თეატრი დემონსტრატიულად დატოვა.

(გაგრძელება იქნება)

ნიკა თევზაძე

ისტორიის დოქტორი

კრივოი როგი, ქალაქის დამაარსებელი ლეგენდარული კაზაკის სკულპტურა

ციტადელის მთავარი, ოთხსართულიანი კოშკი. ლევან ნიორაძის ფოტოები

მუხრანის სათავადო ციხე

ციხე-გალავანი ოთხი კოშკით და სამი ეკლესია

სოფელი მუხრანი მდებარეობს შიდა ქართლში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, თბილისიდან დაახლოებით 40 კილომეტრის დაშორებით. იგი ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფელია და წარმოადგენდა მუხრანის სათავადოს ცენტრს. XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე მას შიოსუბანი ეწოდებოდა. საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი სამუხრანბატონოს დაარსება დაკავშირებულია 1512 წელს, ქართლის მეფე დავითისა (დავით X მეფობდა 1505-1525 წლებში) და მისი ძმის, ბაგრატის მორიგებასთან, რომლის მიხედვითაც, კახეთის მეფე ავგიორგისთან ბრძოლის სანაცვლოდ, მუხრანის ტერიტორია ბაგრატს საუფლისწულოდ გადაეცა და შიდა ქართლის სადროშოს სარდლობაც დაეკისრა.

მუხრანბატონები XVI-XVII საუკუნეებში სამეფო გვარის ერთ-ერთი წარჩინებული შტოა, რომლებიც ქართლის ხუთ დიდებულ თავადთა რიცხვში შედიოდნენ და დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამუხრანო, ძირითადად, მუხრანის ველს მოიცავდა და მის შემადგენლობაში 60-მდე სოფელი შედიოდა. მუხრანბატონთა წარმომადგენელი იყვნენ ქართლის მეფეები ვახტანგ V (შაჰნავაზი), ვახტანგ VI და სხვ. ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტო ქართლის ტახტს 1724 წლამდე განაგებდა, ხოლო სამუხრანბატონო XIX საუკუნის 40-იან წლებამდე არსებობდა, სანამ რუსულმა ხელისუფლებამ არ გააუქმა.

დღეს სოფელ მუხრანში დგას მუხრანბატონთა უკანასკნელი პერიოდის რეზიდენციის ნაშთები. მის შემადგენლობაში შედის ციხე-გალავანი, სასახლის ნანგრევი და სამი მეტნაკლები სისრულით შემორჩენილი ეკლესია. ციტადელის ჭიშკრის თავზე შემორჩენილი წარწერის მიხედვით, ეს ციხე-გალავანი XVIII საუკუნის 30-იან წლებში აუგია მამუკა მუხრანბატონს და თავისი წვლილი ლევან მუხრანბატონსაც შეუტანია. 1756 წელს ძლიერ დაზიანებული ციხე განუახლებია იმ დროს მეფის სახლთუხუცესის თანამდებობის მქონე კონსტანტინე მუხრანბატონს. 1895 წელს უკანასკნელი მფლობელის, ივანე მუხრანბატონის გარდაცვალების შემდეგ, რეზიდენცია კონსტანტინე მუხრანბატონის მფლობელობაში გადავიდა, რომელმაც მოგვიანებით გაყიდა იგი.

კომპლექსის ერთ-ერთი საუკეთესოდ შემორჩენილი ნაგებობაა ციხე-გალავანი, 3,5 ჰექტარამდე ფართობით. ეს კომპლექსური შენობა ორი ნაწილისგან შედგება. პირველი შედარებით პატარა, გეგმით კვადრატული და კუთხეებში თითო ცილინდრული კოშკით გამაგრებული სივრცეა, რომლის შიგნითაც მცირე ცალნავიანი ეკლესია დგას. მეორე, დიდი გალავანი კი მიდგმულია პირველზე ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან. მცირე გალავანი ერთგვარი ციტადელის, შიდა სიმაგრის ფუნქციას ასრულებდა. ძველი სასახლის ნაშთები ამ ციტადელის სამხრეთ კედელთან მოჩანს. სწორედ აქ უნდა ყოფილიყო მუხრანბატონთა ძირითადი სამყოფელიც.

ციტადელის შიგნიდან კედლები ორიარუსიანია. ქვედა მხარე უფრო განიერია მეტი

ციხის შიგნით, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დგას დარბაზული მცირე ეკლესია

ეკლესიის კარი

ეკლესია ციხის შიგნით: (ზემოთ) ჩრდილო-აღმოსავლეთის ფასადი, (ქვემოთ) სამხრეთის ფასადი

ციტადელის შიდა ეზო, სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკი

სიმყარისთვის, ზედა კი შედარებით ვიწრო. სწორედ ეს სხვაობა ქმნის საბრძოლო ბილიკს, რომელიც კედლებს მთელ სიგრძეზე მიუყვება. თითოეული კედელი სრულდება ნახევარწრიული ფორმის ქონგურებით.

ციტადელის კოშკებს შორის ზომით ყველაზე მასშტაბურია ჩრდილო-აღმოსავლეთის ოთხსართულიანი კოშკი. ეზოს მხრიდან შესასვლელის თავზე, კედელში ჩასმული ყოფილა მომცრო მარმარილოს ქვა მხედრული წარწერით, რომელიც ამჟამად ეროვნულ მუზეუმშია დაცული. კოშკის პირველი სართული გადახურულია კამაროვანი გუმბათით. ზედა სართულებისკენ გზას კედლის სისქეში გამავალი კიბე მიიკვლევს, ხოლო იატაკის შუაგულში ამოჭრილია ჭა. მეორე სართული უფრო დაბალია, რვაწახნაგა ფორმისა, ჩრდილოეთის მხარეს ჩაშენებული ბუხრით. ამ სართულზევე გვხვდება ნიშებში დატანილი სათოფურები. აგრეთვე, სათოფურები ჩაყოლებულია მესამე სართულზე ასასვლელი კიბის გარე კედელში. მსგავსი გეგმარება აქვს მესამე სართულსაც, მეოთხე სართული წარმოადგენს საბრძოლო ბანს, რომელზეც ასევე კედელში დატანებული კიბე ადის. აქ,

კოშკის ქონგური და „ნისკარტიანი“ სალოდე

გალავნის აღმოსავლეთი კედელი და სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკი

მაღალი ქონგურებით დაბოლოებულ კედლებში, სათოფურებთან ერთად, სალოდეები და საზარბაზნეებია განლაგებული. ციტადელის დანარჩენი სამი კოშკი კი სამსართულიანია. ოთხივე კოშკს ერთმანეთის მსგავსი, გვიან შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი აგურის წყობით გამოყვანილი მორთულობა აქვს — ქუსლზე დამდგარი აგურების რიგები, და აგურითვე, წყობის ამოღრმავებით გამოყვანილი ტოლმკლავა ჯვრები და რომბები.

ციხის შიგნით, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დგას დარბაზული მცირე ეკლესია. აქვს ორი შესასვლელი — დასავლეთით და სამხრეთი მხარეებიდან. ნაგებია აგურისა და რიყის ქვის მონაცვლეობით. მორთულობა საკმაოდ სადაა, ფასადებზე აგურის წყობით გამოყვანილია დეკორატიული რომბები და ჯვრები. XIX საუკუნეში ეკლესიისთვის დასავლეთის მხრიდან მიუშენებიათ აგურის კარიბჭე, რომელსაც თავზე ექვსწახნაგა სამრეკლო აქვს დაშენებული. ინტერიერში შელესილობის მიღმა ტაძრის მშენებლობის

ოთხსართულიანი კოშკის ხედი გალავნის გარეთა მხრიდან

ეკლესია აგებულია 1844 წელს მუხრანში მცხოვრები სომეხი მოსახლეობისთვის

ქართული და სომხური სამშენებლო წარწერა

კოშკი ციდატელის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში



მეორე მცირე დარბაზული ეკლესია დგას ციტადელის გარეთ და დიდი გალავნის შიდა მხარეს. ისიც აშენებულია აგურითა და რიყის ქვით

თანადროული ფრესკები მოჩანს, ხოლო საკურთხევლის აფსიდი ახლად მოხატულია.

ასევე მცირე დარბაზული ეკლესია დგას ციტადელის გარეთ და დიდი გალავნის შიდა მხარეს, ისიც აშენებულია აგურითა და რიყის ქვით. თარიღდება XIX საუკუნის I ნახევრით. შესასვლელი აქვს ორი — დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან. აფსიდი გადახურულია შეისრული კონქით, გაჭრილია სამი სარკმელი და გამოყვანილია ხუთი თაღოვანი ნიში. სარკმლების გარე, საფასადო მხარე გარშემოვლებულია კარგად გათლილი ქვით. ეკლესიას დასავლეთითა და სამხრეთით ღია კარიბჭეები აქვს მიშენებული, თაღები კი თლილი ქვითაა ამოყვანილი.

ციტადელის სამხრეთ კედელთან მარანია მოწყობილი, სადაც მიწაში სხვადასხვა ზომის ორმოცდაათამდე ქვევრია ჩადგმული.

ციტადელის გარეთ, რამდენიმე მეტრის დაშორებით, აგებულია გრიგოლ განმანათლებლის სახელობის ეკლესია, რომელიც ცენტრალურგუმბათოვანი ტიპის ნაგებობას წარმოადგენს, თუმცა ამჟამად ეკლესიის გუმბათი მთლიანად ჩამოქცეულია. ნაშენებია რიყის ქვისა და აგურის წყობით, ქართულ სტილში. სამხრეთითა და დასავლეთით შიგნიდან თაღოვანი, ხოლო გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელები აქვს. ფასადები გაფორმებულია დეკორატიული თაღებით, მცირე ფრონტონებით, აგურის რომბებითა და ჯვრებით. აღმოსავლეთ ფასადზე ტრადიციული სომხური სტილისტიკის დეკორატიული ფილა — ხაჩკარია (ქვაჯვარი) ჩასმული. სამხრეთის კარის არქიტრავზე ქართული და სომხური სამშენებლო წარწერაა, რომლის მიხედვით, ეკლესია აგებულია 1844 წელს მუხრანში მცხოვრები სომეხი მოსახლეობისთვის.

მუხრანის ციხე და ტაძრები გვიან შუა საუკუნეების არქიტექტურის ბოლო პერიოდის ტიპური ნიმუშებია. სადად და უპრეტენზიო დეკორით გაფორმებული, აგრეთვე რიყის ქვითა და აგურის შერევით აგებული თავდაცვითი ნაგებობები ნათლად წარმოგვიდგენენ იმ პერიოდის ქართული ხუროთმოძღვრების სტილისტიკაში მიმდინარე ცვლილებებს.

მარიტა სახლთხუცესიშვილი

თსუ ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრანტი

გოლგოთის ჯვარი ტაძრის კედელში

მუხრანის ზარები

დავით მუსხელიშვილი: „სკოლა რომ დავამთავრე, ვიცოდი, ისტორიკოსობა მინდოდა“

დავით მუსხელიშვილი

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი თვალსაჩინო ოჯახის წარმომადგენელია. თავადაც საინტერესო გზა განვლო, როგორც ისტორიკოსმა. ეს გზა 1956 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობით დაიწყო. 1967 წლიდან ამავე ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი იყო, 1999-2006 წლებში — ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, 2007 წლიდან კი — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის თავმჯდომარე.
მისი მოგონებები ოჯახზე, მშობლებსა და ახლობლებზე საუკუნის წინ მიმართავს მკითხველის ყურადღებას.

— წარმოშობით მესხეთიდან ვართ, თუმცა წინაპრები ქართლში გადმოსახლებულან, სოფელ ბრეზაში. პაპაჩემი, ვახტანგ მუსხელიშვილი, ცნობილი თვალის ექიმი იყო. ბრეზაში დაიბადა, შემდეგ ხარკოვში სწავლობდა და კარგა ხანს იქვე მუშაობდა. ის და მისი ცოლ-შვილი 1900-იან წლებში გადმოვიდნენ საქართველოში.

პაპაჩემმა 20-იან წლებში საკუთარი სახსრებით დააარსა თვალის კლინიკა, რომელიც ადრე ძველ პლეხანოვზე იყო, ახლა გორგასლის ქუჩაზეა. მისი სახელობისა იყო ოფთალმოლოგთა საზოგადოება. საკმაოდ ცნობილი კაცი გახლდათ, მისი ძმებიც ცნობილი ადამიანები იყვნენ თავის დროს.

მაგალითად, პაპაჩემის უფროსი ძმა — ეფრემი მეფის რუსეთის არმიის გენერალი იყო. სახელი გაითქვა თურქეთთან ომში 1877-1878 წლებში. მსახურობდა ელიზავეტპოლის პოლკში. 1905 წელს კი იაპონიასთან ომში გმირად შერაცხეს.

პაპაჩემი, გარდა იმისა, რომ ცნობილი ექიმი იყო, საზოგადოებრივ საქმიანობასაც მისდევდა — სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო. დაპატიმრებულიც კი ყოფილა რამდენჯერმე, ერთხელ — სტუდენტობის დროს, 90-იან წლებში, დიმიტრი ყიფიანი რომ მოკლეს რუსებმა, მოძრაობა დაიწყო ქართველ სტუდენტობაში და ამ მოძრაობაში მონაწილეობისთვის გაასამართლეს.

საქართველოში რომ ჩამოვიდა, აქაც სოციალ-ფედერალისტებს დაუკავშირდა. ლასხიშვილი იყო მაშინ პარტიის ხელმძღვანელი.

ყორღანოვის (ახლანდელი ქიაჩელის) ქუჩაზე იყიდა პაპამ ორსართულიანი სახლი. ქვემოთ საავადმყოფო იყო, ზემოთ ჩვენ ვცხოვრობდით. ჩვენს სახლში, რევოლუციამდე, კონსპირაციულ სხდომებს აწყობდა სოციალ-ფედერალისტთა პარტია. ვიღაცამ გასცა და კრებაზე მისული ყველა წევრი დააპატიმრეს, მათ შორის ცნობილი ისტორიკოსი მაქსიმე ბერძენიშვილიც.

შემდეგ პაპა დააპატიმრეს 1924 წელს, აჯანყებაში მონაწილეობისთვის. მაშინ დააპატიმრეს მამაჩემიც...

პაპას ოთხი შვილი ჰყავდა. ოთხივემ ლე-

ვანდოვსკის გიმნაზია დაამთავრა, ჯავახიშვილის ქუჩაზე იყო. შემდეგ ოთხივე უცხოეთში გაუშვა სასწავლებლად. ჯერ გერმანიაში იყვნენ, მერე ჩემი ბიძები საფრანგეთში გადავიდნენ საცხოვრებლად.

მამამ რამდენიმე ფაკულტეტზე ისწავლა. ბოლოს ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა გერმანიაში, მაგრამ ვერ დაამთავრა. ამ დროს უკვე დაქორწინებული იყო დედაჩემზე — ელენე ხუნდაძეზე. დედა გვიყვებოდა, რომ იმდენად ძლიერი ნოსტალგია დაემართა საქართველოდან შორს ყოფნისას მამას, რომ ლოგინიდან აღარ დგებოდა. ჩასულა პაპაჩემი და წამოუყვანია თბილისში. 1923 წელს დაბრუნდა საქართველოში და შევიდა უნივერსიტეტში. აქ დაამთავრა უმაღლესი. შემდეგ ასპირანტურაში სწავლობდა.

ძალიან მინდა ჩემს ბიძებზეც გიამბოთ...

მამაჩემის ძმამ — ვახტანგმა სორბონის უნივერსიტეტი დაამთავრა. ახალგაზრდა, მაგრამ კარგი ექიმი იყო. ჩამოვიდა საქართველოში. 1940 წელს ტრაგიკულად გარდაიცვალა 35 წლისა.

მეორე ძმა პარიზში მუშაობდა: მფრინავიც იყო, ტაქსის მძღოლიც... მერე სამხრეთ აფრიკაში წავიდა ოქროს საბადოებზე სამუშაოდ, ჩაგარდა შახტში და ისიც 35 წლისა გარდაიცვალა.

მესამე ძმა მიშელ მუსხელი (მიხეილ მუსხელიშვილი) იურისტი იყო პროფესიით. ამერიკასა და ევროპაში იცნობდნენ როგორც საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს. ევროპული მასშტაბის მოღვაწე გახლდათ. თავად განსაჯეთ: ევროპის ხალხთა კონგრესის პრეზიდენტი; ევროპის ფედერალისტური მოძრაობის ცენტრალური კომიტეტის წევრი; ევროპული ფორმაციის ინტერნაციონალური ცენტრის ბიუროს ვიცე-პრეზიდენტი; სტრასბურგის უნივერსიტეტის სამართლის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; მან დააარსა სტრასბურგში საბჭოთა კავშირის შემსწავლელი ცენტრი, რომელსაც მუსხელის ცენტრი ერქვა. ასევე, ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო ევროკავშირისა ორ ფრანგ მეწარმესთან ერთად.

მიშელ მუსხელი იყო თანაავტორი 1948 წელს ევროკავშირის კონსტიტუციისა, რომელიც არ მიიღეს... ოცნებობდა ევროპის ერთიან სახელმწიფოზე. ის და მისი თანამოაზრეები დადიოდნენ საზღვარზე, შლიდნენ ნიშნებს... იმდენად სახელგანთქმული იყო, რომ საბჭოთა კავშირში მოიპატიჟეს. ვერ მოასწრო ჩამოსვლა. 1963 წელს გარდაიცვალა შვეიცარიაში, ალპებში... მთუბი უყვარდა... მთამსვლელობდა კიდეც. ერთ-ერთი ექსპედიციისას გადაიჩეხა. ნეკროლოგი „ბედი ქართლისაში“ დაიბეჭდა.

დედაჩემის მამა სვიმონ ხუნდაძე 1937 წელს დაიჭირეს და დახვრიტეს. პოლიტიკაში არ ერეოდა, მაგრამ შვილი ჰყავდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. მენშევიკების რესპუბლიკა რომ იყო, გერმანელი სოციალ-დემოკრატები ჩამოვიდნენ და მასთან, შინ უმასპინძლეს. ეს იცოდა მერე საბჭოთა მთავრობამ. ალბათ ამის გამო აითვალწუნეს, დააპატიმრეს და დახვრიტეს. ეს რომ მისმა ვაჟმა, მიხეილ ხუნდაძემ გაიგო, პოლიტიკას დაანება თავი, „სიტროენის“ ქარხნის დირექტორი გახდა.

მამაჩემი — ლევან მუსხელიშვილი ახალგაზრდა გარდაიცვალა, თანაც სიცოცხლის ბოლო 12 წელიწადი, არსებითად, ავადმყოფობაში გაატარა (ჭლექით იყო დაავადებული). კვლევისთვის დროც აკლდა და ძალ-ღონეც; მიუხედავად ამისა, მდიდრული მეცნიერული

მარცხნიდან: დავით მიქელაძე, მაია ციციშვილი, ლევან (ლენკო) მუსხელიშვილი (1953 წ.)

ჯარგვალის ტიპის სათავსის გათხრები ანაკლიაში. ცენტრში — პროფესორი დავით მუსხელიშვილი (1975)



„ივანე ჯავახიშვილის განსაკუთრებული ყურადღება მამას სტუდენტობისას მიუპყრია“

მემკვიდრეობა დატოვა. მრავალმხრივი ინტერესის მკვლევარი გახლდათ და თავისი შრომებით საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დარგს შეეხო: საკუთრივ ისტორიას (კერძოდ, ძველი ქართველი საზოგადოების სოციალურ პრობლემებს), საქართველოს არქეოლოგიას, ეპიგრაფიკას, წყაროთმცოდნეობას... მისი კვლევა ყველგან ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს.

4-5 წლის ასაკში ბუნდოვნად მახსოვს აბასთუმანი, სადაც უკვე მკურნალობდა, ტუბერკულოზით დაავადებული.

შვილები, ჩემი უფროსი ძმა ვახტანგი და მე მამას ძალიან ვუყვარდით, თუმცა ორივეს მკაცრად გვზრდიდა. მე ისტორიკოსად მამზადებდა, ზუცურ კითხვას მასწავლიდა და სისტემატურად მამოწმებდა. ისიც მახსოვს, საქართველოს მუზეუმში რომ მუშაობდა, შინ დაბრუნებული ღამის 2-3 საათამდე იჯდა საწერ მაგიდასთან. ჩვენი ბინის პირდაპირ შალვა ნუცუბიძე ცხოვრობდა, შუქს ხედავდა გვიანობამდე და დიდედაჩემს დაურეკა ერთხელაც, — გადაეცი ლენკოს (მამას შინაურულად ასე ეძახდნენ), თავს გაუფრთხილდესო...

ბავშვობიდანვე მახსოვს, როგორ დადიოდა ივანე ჯავახიშვილი ჩვენს ოჯახში, როგორც პაპაჩემის, ვახტანგ მუსხელიშვილის კარგი ნაცნობი. მამას სწორედ სტუდენტობისას მიუპყრია ივანე ჯავახიშვილის განსაკუთრებული ყურადღება და შემდგომ მართლაც გამხდარა მისი უსაყვარლესი მოწაფე. მაგონდება, როგორ თქვა 1990-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის იუბილეზე გამოსულმა ჩვენმა ცნობილმა მეცნიერმა ალექსანდრე (ლალი)

მარჯვნიდან პირველი ლევან მუსხელიშვილი, მარცხნიდან მეორე ზის კონსტანტინე გამსახურდია

ჯავახიშვილმა — მგონი, მამაჩემს შვილებზე უფრო ლევან მუსხელიშვილი უყვარდაო...

დედა მიამბობდა, როგორც ხვრეტდნენ 1924 წელს დაჭერილებს. ვაკეში ხვრეტდნენ. 1933 წელს მოძრაობა იყო კონდრატიევშჩინა. კონდრატიევი ცნობილი ეკონომისტი იყო. ახლა კი აღიარებენ, დიდი ეკონომისტი იყოო. ამ მოძრაობისას არასანდო ხალხს იჭერდნენ. 1931 წელს აქაც გავრცელდა დაჭერები. ვიღაცებს აკრიტიკებდნენ, ჯავახიშვილი რექტორობიდან მოხსნეს. პაპა დაიბარეს, როგორც მეფის რუსეთის დროინდელი ექიმი.

1936 წელს მამა დაიჭირეს, გერმანიაში რომ იყო ნამყოფი, იმის გამო. მახსოვს, მე და ჩემი უფროსი ძმა წაგვიყვანა შეხვედრაზე დედამ შინსახკომის შენობაში. ცნობილი ფეხბურთელი რომ იყო, ლევან აბაშიძე, გამომძიებლად მუშაობდა. მის ოთახში იყო შეხვედრა. ლევან აბაშიძე გვისმენდა. მამა დედას ელაპარაკებოდა. დროდადრო გამომძიებელი უყვიროდა: — Громче!

სხვათა შორის, ლევან აბაშიძე არ ყოფილა ცუდი კაცი. ერთგან წამოსცდენია, უდანაშაულო ხალხს ვიჭერთო და დახვრიტეს.

მამასთან რომ ვიყავით შეხვედრაზე, მახსოვს, დააბრუნა შავი ქლიავი, რომელიც დედამ შეუგზავნა ადრე, ამას არ ვჭამო. შინ რომ მოვედით, დედა ეცა ჩანთას და ქლიავს ხსნიდა. ერთ-ერთში კურკის ნაცვლად პურში გახვეული პატარა წერილი იდო. თურმე ლაპარაკში მამა გერმანულად რთავდა სიტყვა ქლიავს. დედა მიხვდა, რომ რაღაცას უგზავნიდა ქლიავში გახვეულს.

მამას პატიმრობის გამო, დიდედამ დაურეკა ბერიას. სხვათა შორის, ბერია ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა, მინახავს კიდეც, თავისი „კადილაკით“ დადიოდა. დიდედას რუსულად უთქვამს: მე პროფესორ მუსხელიშვილის ქვრივი ვარო. ბერიას გასცინებია და სასაცილო აქცენტით უპასუხია: „ასვაბოდიმ, ასვაბოდიმო“... მამა მართლაც გაათავისუფლეს.

მამას ტუბერკულოზი ჰქონდა. პაპას ჰქონია ხარკოვში და მისგან გადაედოო. პაპა კი განიკურნა, მაგრამ მამას გაურთულდა. 30 წლისას გამოუმჟღავნდა ღია ფორმა და 42 წლისა გარდაიცვალა.

მე და ჩემი ძმა ობლად რომ დავრჩით, საკმაოდ დუხჭირად ვცხოვრობდით. მამას პერსონალური პენსია დაგვინიშნეს მისი გარდაცვალების შემდეგ.

„პარადოქსი იყო: ორტომეულში არ მომცეს და ნახევარ დისერტაციაში მომცეს დოქტორობა“

შემოსავალი, ფაქტობრივად, არ გვქონდა. დიდედა და ჩემი ძმა დადიოდნენ ახლანდელი სპორტის სასახლის ადგილას ბაზრობაზე, გარეუბანი იყო, დასახლებაც არა... გადასაკარგავად ითვლებოდა. ცვლიდნენ რაღაცას პროდუქტებზე. მოიტანეს შაქარი, გახსნეს, მარილი აღმოჩნდა.

სკოლაში კარგად ვსწავლობდი, თუმცა ვცელქობდი კიდეც. ჩემს კლასში სწავლობდნენ ინტელექტუალთა შვილები ნოდარ ნათაძე, გურამ ასათიანი, კარლო ღლონტი, მიშა გედევანიშვილი... ვგრძნობდით, რომ მაინცდამაინც არ ვუყვარდით. ჩხუბიც მოგვდიოდა. ის კი მახსოვს, ერთხელ რაღაც დავაშავეთ და ფიზკულტურის მასწავლებელმა დაგვაყენა და გვიბრძანა: სმირნა! არ დავდექი სმენაზე... ისევ სმირნა! მოვიდა, მომარტყა ფეხი და დამიყვირა: ტროცკისტ!

სკოლა რომ დავამთავრე, ვიცოდი, ისტორიკოსობა მინდოდა.

მამას დავყავდი ექსპედიციებში სამშვილდეში, გუდარეხში, მასწავლიდა ძველი ქართულის კითხვას. მაინტერესებდა. ამან განაპირობა ჩემი არჩევანი.

უნივერსიტეტში რომ შევედი, ჩემი დეკანი იყო იასე ცინცაძე, მამას მეგობარი. ჩვენთან შინაც დადიოდა. მასწავლიდა ნიკო ბერძენიშვილი. მსგავსი გონების კაცი სხვა

მარიკა ლორთქიფანიძე, დგანან როინ მეტრეველი, დავით მუსხელიშვილი, მარჯვნივ ზის ანდრია აფაქიძე (1997 წ.)

არც მინახავს. ისიც მიცნობდა ბავშვობიდან. ბოლო კურსი ჩვენი იყო, ვისაც ლექციები წაუკითხა. დათიკო გვრიტიშვილი იყო დეკანი, როცა უნივერსიტეტი დავამთავრე. მარქსიზმში ოთხიანი დამიწერეს. დეტალურად მეკითხებოდნენ, ყრილობაზე სტალინმა რა თქვაო. ზეპირად უნდა გეთქვა. არ დამიწერეს ხუთიანი. გვრიტიშვილმა არ მომცა ნება, რომ ნიკო ბერძენიშვილთან ასპირანტურაში მესწავლა. გამანაწილა ბორჯომში.

უნივერსიტეტის რექტორი იყო მათემატიკოსი ვიქტორ კუპრაძე, მასთან მივიდა ჩემი საცოლის დეიდა, უთხრა, რა ხდებოდა. და მისი ჩარევით დავრჩი ასპირანტურაში.

ახალგაზრდები ვიყავით. ვის ჰქონდა იმის ძალა და სურვილი, ბევრი ემეცადინა... ბევრი დრო დამიკარგავს. თუმცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბევრი რამ ვისწავლე კიდეც.

საკანდიდატო 1951 წელს დავიცავი, 1973 წელს — სადოქტორო. მოსკოვს უნდა დაემტკიცებინა. არ დამიმტკიცეს. თემა იყო საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ეს ახალი დარგი იყო, ნიკო ბერძენიშვილი ნერგავდა. არავის აძლევდნენ იმ პერიოდში უფლებას. დაბეჭდილიც კი იყო პირველი წიგნი, მაგრამ მაინც არ მომცეს უფლება, რომ ხარისხი დამეცვა. შემდეგ ამ შრომის ფრაგმენტი ავიღე, იმაზე მოვამზადე თემა და ის დამიმტკიცეს. პარადოქსი იყო: ორტომეულში არ მომცეს და ნახევარ დისერტაციაში მომცეს დოქტორობა.

1953 წელს, 25 წლისამ ვიქორწინე. შეგვეძინა ორი ვაჟი: გიორგი და ვახტანგი. ახლა ვახტანგი ამერიკაში ცხოვრობს, მხატვარია, გიორგი გერმანიაში ცხოვრობდა და შარშან ჩამოვიდა, აგრარულ უნივერსიტეტში კითხულობს ბიოლოგიაში ლექციებს.

ასაკის მიუხედავად, ჯერჯერობით თავს მხნედ ვგრძნობ, წარსულს ვიხსენებ... ბევრი საინტერესო რამ მინახავს და მსმენია.

ლელა ჯიქაშვილი

ვახტანგ დავითის ძე მუსხელიშვილი

ᲮᲝᲒᲮᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲚᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ?

არგენტინისა და ჩილეს ტერიტორიაზე ადამიანები 16 ათასი წლის წინ უკვე ცხოვრობდნენ. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ არქეოლოგები ბუენოს-აირესიდან. მათი კვლევა ჟურნალ Plos One-ში გამოქვეყნდა.

ამ დასკვნის საფუძველს მეცნიერებს სამხრეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილში აღმოჩენილი მასალა აძლევს: ცხოველების ნაშთები, რომელთა ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი ადამიანის მსხვერპლი გახდნენ; შრომისა და სანადირო იარაღები, რომელსაც უძველესი ადამიანები იყენებდნენ. ამ ტიპის მასალებს პირველად 1980-იან წლებში მიაკვლიეს ჩილეში, კერძოდ, მონტე-ვერდეში.

ამერიკაში ადამიანის განსახლების პოპულარული თეორიის თანახმად, უძველესი ადამიანები პირველად ჩრდილოეთ ამერიკაში გამოჩნდნენ, დაახლოებით 23 ათასი წლის წინ, ხმელეთის წვრილი ზოლის საშუალებით, რომელიც ბერინგის სრუტეში ორ კონტინენტს — აზიასა და ამერიკას აკავშირებდა და მოგვიანებით დაიძირა. შემდეგ ადამიანი ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე განსახლდა. ამით ხსნიან მეცნიერები უძველესი ადამიანის ათამდე სადგომის არსებობას, რომელთა ასაკიც 13,2 ათასი წელია. მაგრამ ამბობენ იმასაც, რომ ჩრდილოეთ ამერიკიდან სამხრეთ ამერიკაში აღარ გადასულან — წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად



მონტე-ვერდეში ნაპოვნი პირველყოფილი ადამიანის იარაღები

გათხრები მონტე-ვერდეში

მიაკვლევდნენ უძველეს სადგომებს, სადაც ისინი გზად ჩერდებოდნენ.

მეცნიერთა აზრით, ეს ნიშნავს, რომ უძველესი ადამიანები სამხრეთ ამერიკაში ჩრდილოეთ ამერიკიდან არ მოხვედრილან და ისინი აქ სხვა გზით აღმოჩნდნენ.

მომზადებულია Fox News-ის მიხედვით

ისტორიული ამბები ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან

გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან. ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი 1877 წლის 3 მარტს დაიბეჭდა თბილისში. „ივერიის“ დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე. თანარედაქტორი იყო სერგეი მესხი. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „დროება“ 1866 წლის 4 მარტს თბილისში დაარსდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ შტაბად, ეროვნული კულტურის ცენტრად გადაიქცა. მისი პირველი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი. საცენზურო წესდების დარღვევის გამო, დახურეს 1885 წლის 16 სექტემბერს.

ჯუმათის მონასტერი 1877-1878 წლებში (დიმიტრი ერმაკოვის ფოტო)

* * *

ს. ბოგილი (ოზურგეთის მაზრა) შეადგენს ჯუმათის ერთ საზოგადოების კუთხეს, რომელიც მდებარეობს მდინარე სუფსის პირათ. მაღლობ-ვაკეზე აქ აგებულია ძველის ძველი ხის ეკლესია, წმ. ნიკოლოზის სახელობაზე, რომელიც საზაფხულო საწირავ ეკლესიათ ჰქონდა განსვენებულს გურიის ეპისკოპოზს გაბრიელს. რაც ნეტარ ხსენებულმა ეპისკოპოზმა დატოვა ეს ეკლესია და გადაბრძანდა ნაგომარში, მისი გაუმჯობესობაც მიყუჩდა. თუმცაღა მრავალი მღვდლებიც გამოიცვალა აქ, მაგრამ ეკლესიის გაუმჯობესობაზე არავის არ უფიქრია: ეკლესია დაძველდა ისე რომ 1894 წელს თითქმის ინგრეოდა; ფიცრის ძველი იატაკი ისე ჩალპა რომ შიგ შესვლა საშიში იყო; საძირკვლები გამოლპა, ეკლესიაში წვიმა ჩამოდიოდა. ამ დროს (ოთხი წლის წინეთ) აქ დაინიშნა მღვდლათ მამა იოსებ დარჩია, რომელმაც ახედ-დახედა ეკლესიის მდგომარეობას და თქვა: „ან მოვკვდები და ან ეკლესიას გავაუმჯობესებო“?!. მართლაც და აზ. კანდელაკები და სხვა შეგნებული პირები, მღვდლის დარჩიას ჩაგონებით, შეუდგნენ ეკლესიის გაუმჯობესობას და მათი ბევრითი მეცადინეობით წინ წავიდა საქმე, ერთი წლის განმავლობაში შეიძინეს: შვენიერი კანკელი, მრავალი ხატები, საეკლესიო წიგნები და სხვა. ყველა ამაების შესრულება მრევლისათვის საძნელო იყო, მაგრამ მღვდელმა იოსებ დარჩიამ იკისრა, ეთხოვა შემწეობა სხვა-და-სხვა პირებისაგან, რომლებიდან შედგა მრავალი შემოწირულება და მით მიეცა საშუალება ზემო ხსენებული ნივთების შეძენისა. მადლობის ღირსია მღვდელი მამა იოსები დარჩია, ასეთი კეთილი საქმისათვის.

ს. ი. ჩ-შელი.

„კვალი“, 1897 წ. №25

* * *

მარტვარჭა

ამ პირუტყვზე ბევრს რასმე საკვირველებას ლაპარაკობენ ჩვენი ძველები. დღემდისაც დარჩენილია ხალხში ეს ამბავი, რომ მარტორქის რქა იფარავსო კაცს ყოველნაირ ეშმაკეულობისაგან: თვალის ცემისაგან, გაღალვისაგან და ანაყოლისაგანო. ინდოელები ამტკიცებენ, რომ მარტორქას რომ რქა მოაჭერხო და მისგან თასი გააკეთებინო, ვეღა-

რავინ მოგწამლავსო. რა საწამლავიც უნდა ჩაასხა შიგ, მაშინვე შიშინს დაიწყებს თასი და პატრონს შეატყობინებს, რა უბედურებაც ეწია მის თავსაო. მარტორჩა ცხოვრობს ინდოეთში და აფრიკის ქვეყნებში, ცხვირზე აქვს ამოსული არშინ ნახევარი სიგრძე მსხვილი რქა. ისეთი სქელი ტყავი აქვს, რომ ტყვია ვერ გაატანს და ზედ მიეტყლიჟება.

დღისით წევს წუმპიან ლექში და ბუზანკალებს თავს არიდებს. საღამოთი გამოდის ტალახით შემურული და საზრდოობს ნარეკლით და ხის ძირებით, რომელსაც ამოთხრის მიწიდან, როგორც ღორი ჩიჩქნის თავის დინგითა. მარტვარქა სიგძით ორი საჟენია, სიმაღლით ერთი საჟენი და ძალით სპილოს არ ჩამოუარდება. ვერც ლომი, ვერც ვეფხვი მას ვერ შეებრძოლება და რაკი იციან მისი გამხეცებული ზნე, თავს არიდებენ. მარტვარქა საკვირველი მოყვარულია თავისი შვილებისა. ნახატი წარმოადგენს მარტვარქას თავისი ხბოთი, რომელიც დედას ჩამოშორებია და ამ დროს ვეფხს დაუჭერია. ხბოს ბღავილზე გამოქანებია გამწარებული დედა შვილის დასაფარავად. ზედვე ეტყობა, რომ ვეფხი შეშინებულა, აპირებს მსხვერპლის თავდანებებას და გაქცევას.

„კვალი“, 1894 წ. №22

* * *

გრიგოლ ორბელიანის ფინასწარმეტყველება „ბოლშევიზმი“

1879 წელს პოეტი გრიგოლ ორბელიანი მეფე ალექსანდრე II -ის მკვლელობის გამო შემდეგ სწერს ბარბარე ორბელიანისას: „უგუნურს (იგულისხმება მეფის მკვლელი) დაჰვიწყებია საშიში ძალა რუსი გლეხების ცულისა, რომელიც სისხლეურად გაიფლიდა ორენბურგიდან პეტერბურგამდე და პირველი წაცვივნული თავები იქნებოდა თავები ინტელიგენტ მასწავლებლებისა და მაშინ დამყარდებოდა ბნელი სისხლიანი სამეფო მუჟიკებისა და ჩაიხშობოდა რუსეთი განათლებულ ევროპისაგან მეცნიერებისათვის, ხელოვნებისათვის, ყველაფრისათვის, რაც ამაღლებს ადამიანს სულიერად და რუსეთის ბარბაროსობის განუჯვრეტელი წყვლილი მოიცავდა საუკუნოდ.

„სამუსლიმანო საქართველო“, 1920 წ. №490

გაზეთ „კვალის“ ილუსტრაცია (1894 წ.)

* * *

სახელდახელო

(არა-ყბად-ასაღები და არა-წყალ-წასაღები)

— განათლებული ხალხი ვართ, განათლებულიო, დაგიჟინიათ! არა, რასშია თქვენი განათლება? ქართული ენა თქვენ თურმე არ იცით, ისტორიას ხომ რაღა თქმა უნდა, ჩვენს ცხოვრებას სულ არ აკვირდებით და სადაა მაშ თქვენი უპირატესობა და განათლება? თან ხუმრობით და თან წყრომით ეუბნებოდა ერთი ძველებური კახელი თავადიშვილი ერთს ჩვენში ჩამოსულს განათლებულს ნემეცს. თუ იმას იკვეხით, ჩემო ძამია, რომ ზარბაზნები გვაქვს და ბისმარკი გვყავსო, — ძალიან ცუდად გინებებიათ. ზარბაზნები ჩვენც გვიწყვია არსენალში... რომ აგიღერიათ თავი და ბაქიობთ, ვითომ და რაო? — ერთი დრო ვის არა ჰქონია, შენ ისა სთქვი, რომა... და სხვანი.

ერთის სიტყვით კახელის გულის წყრომას სამზღვარი არა ჰქონდა და სულ იმის გამო, რომ როგორ თუ ქართულ ენას არ ასწავლიან გერმანიაში, როცა ჩვენი ყმაწვილები ზოგიერთს სასწავლებლებში თავს ატეხენ ნემცურსაო.

— ჰე! ისიც ვერაფერი წითელი კოჭი ყოფილა, ი თქვენი ბისმარკია თუ ვიღაცა! დააბოლოვა მან დასასრულ ხელის ქნევით და მოშორდა გაოცებულს ნემეცს.

„ივერია“, 1886 წ. №114

მოამზადა თეა ცაგურიშვილმა



ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

სკანვორდი ჟურნალ „პარუსელისგან"

უფრო მეტი სკანვორდი, ყრილსკორდი, თავსატეხი და სიანგარიშო ამბები იხილეთ შემდეგნებით - გასართობ ჟურნალში



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:
1. ჯონკა; 2. ოდალისკა; 3. კართაგენი; 4. ნაირა; 5. სემი; 6. „რუფიზორი"; 7. სილიკატები; 8. ლეონე; 9. მგოსანი; 10. ლაჟა; 11. კაენი; 12. იანვარი; 13. კუზი; 14. დრო; 15. გემო; 16. ირაო; 17. ახო; 18. გოდარი; 19. შტორი; 20. გობი; 21. ვადა; 22. ნიკე; 23. იგი; 24. არი; 25. ბონი; 26. იდილია. სწორპასუხი: ჯონ მაკენინი.

6 მარტიდან მონეტა №10

სპილენძი. თამარი
(1184-1207, 1210, 1213).

დაუტოვე საგანძური თაობებს

შეაგროვე 24 უძველესი ქართული მონეტა, განათავსე წიგნ-ალბომში და გახდი უნიკალური განძის მფლობელი

თვეში ერთხელ 1 ახალი მონეტა გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

მონეტის სპეციალური ფასი 3.5 ლ
გაზეთთან ერთად 5 ლ

წიგნი ალბომი და მონეტები იყიდეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების ჯიხურებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674 და www.elva.ge ადგილზე შეგართმევენ.

პატრიარქის ცხოვრების გზა

4-ტომეული



ტომი IV

ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

უნმინდესის განცდები, ტკივილი, სიხარული, რეალური ამბები. დოკუმენტები და ფოტოები პირადი არქივიდან. ეს საქართველოს შეულამაზებელი ისტორიაა!

ფიქსირებული საფასური ფასი
18.50 ₾
გაზეთთან ერთად
20 ₾

თვეში ერთხელ გაზეთ
„კვირის პალიტრასთან“
ერთად

20 მარტიდან

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში და პრესის გავრცელების ჯიხურებში ან დარეკეთ ნომრებზე:
0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.

Palitra L Publishing www.palitral.ge